

ჩ 12. 852
4

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიკალური ფაკულტეტის ქართული ენის კათედრის შრომები. 9

ცალკე გამოცემა

ავტორი შანიძე

ანტონი I-ის გაულენა
საღიგობრობით ქართულზე

თბილისი — 1964

উফাৰ অনুমানসমূহ
কিছাৰ অনুমানসমূহ
১৩/১১/৬৬

30, XI, 1966.

ა. შანიძე

ანტონი I-ის გაუღენა სალიტერატურო ქართულზე
და

ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება

ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში.¹

(ნარკვევი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან)

შესავალი

ახალი აღთქმის წიგნები — სახარება და სამოციქულო — უძველესი ძეგლებია ქართული ენის ისტორიისათვის. მათი თარგმნა ქართულად, იოანეს განოცხლების გარდა, ქართული სალიტერატურო ენის უძველეს პერიოდს განეკუთვნება, IV — V საუკუნეებს, მაგრამ მათი ბეჭდური სახით გავრცელება გვიან დაიწყო, მეთრამეტე საუკუნის დასაწყისში. ვახტანგის დაარსებულ სტამბაში პირველად სწორედ ახალი აღთქმის წიგნები დაიბეჭდა 1709 წელს. ამის შემდეგ ეს წიგნები (სრულად ან ნაწილობრივ) რამდენჯერმე გამოიცა სხვადასხვა ქალაქში (მოსკოვს, თბილისს, ქუთაისს, საჩხერეს), უკანასკნელად კი 1912 წელს თბილისში.

როდესაც ახლოს ვეცნობით ამ წიგნებს, ადვილად ვამჩნევთ, თუ როგორ დაიბეჭდა ისინი პირველად და როგორი ცვლილება განიცადეს მათ ორი საუკუნის განმავლობაში. თუ არ იქნა გათვალისწინებული, რაც მოხდა მე-18 საუკუნის ქართულ მწერლობაში, გაუგებარი იქნება მე-19 საუკუნის ქართული ენის განვითარების გზები და ზოგი რამ დღევანდელ სალიტერატურო ქართულშიც კი. ამ საკითხის შესწავლა საუკრძაალებოა ქართული ენის კულტურის ზოგადი ისტორიის თვალსაზრისითაც.


სახარებისა და სამოციქულოს პირველი გამოცემა 1709 წელს დიდი მოწოდება იყო ქართული კულტურის ისტორიაში: ორი დიდი წიგნის დამთავრება და გამოცემა ერთ წელს ახლად დაარსებულ სტამბაში და იმდროინდელ პირობებში სწორედ გასაოცარია ამბავია.

არაფერი დაუშურებიათ, რომ გამოცემა უნაკლო ვოთილიყო; კარგი ქაღალდი ევროპული წარმოშობისა², ახლად ჩამოსხმული შრიფტი, დამზადებული მე-12 საუკუნის ხელნაწერთა ასოების მოხაზულობის მიხედვით, მშვენიერი შავი წაშალი

¹ აქ ნახსარი ლიტერებისა და შემოკლებათა მნიშვნელობის შესახებ ნახეთ ამ გამოკვლევის ბოლოს.

² როგორც ჩ. პეტარიძემ გამოარკვია.

1. ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები მ.



- 1) ქართული წა
- 2) ანკონ I

ტექსტისთვის (ეს ტექსტი სახარებაში ორ სვეტად არის წარმოდგენილი), ხოლო შავი და წითელი — სამოციქულოს საძიებლისთვის, თავებად და მუხლებად დაუყოფა ტექსტისა, მხატვრული გაფორმება სამკაულებისა და სურათების საშუალებით (ოთხთავეში მახარებლები, სამოციქულოში სული წმიდის მოფენა, მოციქულები პავლე და იოანე, ორივე წიგნის დასაწყისის თავსამკაულებში მედალიონები და შიგ ღვთისმშობელი, მაცხოვარი და ნათლისმცემელი; სურათებზე უფლებიანი გამოთხოვილია შეწყალება ან მეოხება ვახტანგისთვის) — უფრო ეს უთუოდ დიდი მიღწევა იყო იმ დროს.

მთავარია მაინც ტექსტი, რომელიც მოცემულია ამ გამოცემაში. როგორც სახარების, ისე სამოციქულოს გამოცემის ხელმძღვანელი ყოფილა მღვდელ-მონაზონი ნიკოლაოზი ორბელისძე¹ (მშა სულხან-საბასი, რომელსაც ორბელიანობით ფიცნობთ). ნიკოლაოზი სახარების წინასიტყვაობაში ამბობს, რომ ვახტანგის სტამბის დაარსებამდე საღვთო წიგნები ხელსთ წერაში გარყვნილიყო და მას უბრძანეს გასწორება და ვერ ურჩ ექმნა. იგი დასძენს: „და ეს წმ. სახარება დიდის ჭირითა ბერძენთა და ბეჭდის სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტ-ნაკლები გავმართეო“². სამწუხაროდ, ნიკოლაოზი არას ამბობს იმის შესახებ, თუ რა ქართული ხელნაწერები დაუდო მან პირველ გამოცემას ან რომელი იყო ის „ბერძენთა და ბეჭდის სახარებანი“, რომელთა მიხედვითაც მან სახარების ქართული ტექსტი შეამოწმა. სამოციქულოს ტექსტის შემოწმების შესახებ მღვდელ-მონაზონი ნიკოლაოზი სულ არაფერს ამბობს, მაგრამ უჭველია, რომ სამოციქულოს გამართვისასაც ის იმავე წესს მისდევდა, რასაც სახარების გამართვისას. თვით ტექსტის შესწავლა კი ამჟღავნებს, რომ ნიკოლაოზი დიდის პასუხისმგებლობით მოჭკილვებია მისთვის დაკისრებულ მეტად საპატიო საქმეს. იგი ცდილა, ტექსტი უნაკლოდ დაებეჭდა, ძველი ხელნაწერების ენის ნორმები დაეცვა, მაგრამ ამ მიზნის მთლიანად მიღწევა ვერ მოუხერხებია. როგორც ჩანს, სტამბაში ასაწუობად ძველი ხელნაწერი კი არ მიუციათ, არამედ იქიდან გაღანაწერი, რომელიც თავებად და მუხლებად დაუყვიათ. დამუხლვა შეიძლება თვით ძველ ხელნაწერში მოახდინეს, როგორც ეს უქნიათ პარხლის ოთხთავეში ცოტა უფრო გვიან, 1739 წ...³ ამის შესახებ სახარების პირველ გამოცემაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ორბელისეულ გამოცემაში, რომელიც 1786 წ. გამოვიდა, მოხსენებულია წიგნზე მომუშავე პირები და, მათ შორის, მწერალი კარის ეკლესიის ხუცესი დავით. მწერლის მოვალეობა იყო, ალბათ, ძველი ხელნაწერიდან გადმოწერა ტექსტისა, მისი დაზუსტება, სასწენი ნიშნების დასმა და სხვა, ერთი სიტყვით, მონზადება სარედაქციოდ. გადამწერლებს, რაც უნდა მომზადებოდა ქქონოდათ და რაც უნდა კარგად ცდილიყვნენ, უთუოდ გაეპარებოდათ შეცდომები. რედაქციორიც („გამმართველი“) ყოველთვის ვერ შეამჩნევდა გადამწერის შეცდომებს და ძველი ტექსტის

¹ იგი თავის თავს ხან ო რ ბ ე ლ ი ს ძ ე ს უწოდებს (სახარების წინასიტყვაობაში), ხან ო რ ბ ე ლ - ს შ ვ - ლ ს (სახარებისა და სამოციქულოს თავუბრძლებზე).
² ეს ნიკოლაოზის წინასიტყვაობა ქვემოთ მთლიანად არის მოყვანილი (გვ. 30).
³ ქართული ოთხთავეის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით 1845, გვ. 036.

შერყენას. კორინტურას საქმეც ვერ იყო, აღბათ, სათანადოდ დაუყენებელი. უო-
ვლითვე ამის გამო გამოცემაში უნდა გაჩენილიყო შეცდომები, წარმომდგარი უმ-
თავრესად ძველი ფორმების ვადმოუვანისგან ახალი ქართულზე. ბუჭდვის შეცდომების
გამო რუმინეთიდან მოუვანილი სპეციალისტი სტამბის საქმისა უნგრო-ვლახელი
მიხედვით სტეფანეშვილი ბოდიშს იხდის მკითხველთა წინაშე: „შეიძლება ცთომილი
რამზე იხსლოთ სიტყვა ანუ ასო, ნუ გამჭირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყანისა
ამის და უსშენელი სიტყვათა თქვენთა. და რომელნი ჩემნი მოწაფენი იყვნენ, ევ-
რთვე გამოუცდელი საქმისა ამისა ჩემისა (ჩინისა): ფთარცა მე ვიყავ ქართლის
უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი — სტამბისა“.

სამწუხაროდ, არც სახარებასა და არც სამოციქულოს არ ახლავს ბუჭდვის
შეცდომების ნუსხა, რომ ისინი კაცმა სათვალავში არ ჩააგდოს. ტექსტების შე-
სწავლა ეს აჩვენს, რომ ახალი აღთქმის ორსავე ნაწილში საქმად გვხვდება გალა-
ხვევები ძველ ხელნაწერებში წარმოდგენილი ნორმებისგან. აქ აღვნიშნავთ უმთავ-
რესებს¹.

პირველ ნამეჭლი წიგნების ორთოგრაფია ვინის აღრევა უმარცვლო უნთან

პირველ ფოვლისა აღსანიშნავია ვინის ხმარება უმარცვლო უნის ნაც-
ვალ².

სახელეებში: თვალი (მათ. 5, 38); თვლსა (მათ. 7, 3); თვლნი (მათ. 13,
13); თვალთა (მათ. 9, 29); თვლთა (მათ. 21, 42); ზღვსა (მათ. 6, 26 = ზღუასა);
ჯვარი (მათ. 16, 24); თვისი (მათ. 16, 25); ძველი (ებრ. 8, 13); მარჯვენითა (მათ.
25, 34); მარჯვნით (მათ. 22, 44).

ნაცვალსახელეებში: ჩვენ (მათ. 2, 10; 13, 36; ებრ. 4, 14; 8, 1); ჩენ
(ებრ. 10, 10; 10, 15); ჩენდა (მათ. 19, 27; ებრ. 12, 1); ჩენცა (ებრ. 12, 1); ჩენი
(ებრ. 4, 13); ჩენსა (ებრ. 11, 40); ჩენისა (ებრ. 2, 10); უძღურებათა ჩენთა (ებრ.
4, 15); შეცოდებათა ჩენთათუს (ებრ. 10, 26). თქვენ (მათ. 5, 14; 10, 22); თქვენისა
(მათ. 8, 14; 25, 9); თქვენითა (მათ. 18, 35); გულთა თქვენთა (ებრ. 4, 7).

ზმნეებში: თქვა (მათ. 19, 5); ითქვა (მათ. 5, 27); ქრქვა (მათ. 19, 14; 22,
43; 26, 23; 26, 31; 26, 48; 26, 50; 27, 11); ქრქვეს (მათ. 22, 42); ერქვას (მათ. 5,
19); სიტყვად (მათ. 11, 7); ესეს (= ესუას, მათ. 22, 24); მოართვა (მათ. 25, 20);
მოქვერეს (= მოქვეარეს, მათ. 9, 32); გარდახვლთ (= გარდახვალთ, მათ. 15, 3);
გამოგვითარგმანე ჩვენ (მათ. 13, 36).

უღებებში: ქვეშე (მათ. 5, 15); ვალად (მათ. 22, 24). სამავთროდ
უმარცვლო უნი იგულისხმება ვინის ნაცვლად უკლ-სა და მოკლუდენ სიტყვებში:

¹ მაგალითებს მოგვუყავს მხოლოდ სახარების პირველი წიგნიდან (მათეს თავიდან) და სა-
მოციქულოს უკანასკნელიდან (კადეს ეპისტოლიდან ებრაელთა მიმართ). ამ ცალს, რომლითაც
ესარგებლობდი, აკლდა ებრ. 12, 20-იდან ბოლომდე.

² ტექნიკური მიზეზის გამო შემოკლებულად მოუვანილი სიტყვებში აქ არ არის ნაჩვენები
ქარაგმის ნიშანი.

მისცეს ... მამაშან შული და აღდგენ შეიღნი მამა-ღვთისა ზედა და მოკლუ-
ღენ მათ (მათ. 10,21); შულთაგან (მათ. 11,19).

• 0

ეს ასო სისტემებზე მხოლოდ უც დაჯგუფებაში იხმარება: წუშლი, მტუშრი, მსხუშრბლი, კუშროთხი, შუშნის, მეზუშრე, გუშმითა, მოიკუშთე, ერუშნო, უკუშ, ქუშზე და სხვ. ეს წესი XII საუკუნიდანაა გამტკიცებული, თუ ტექსტს ძველი ასოებით წერენ. ე-ზე გათავებული სახელის ფუძეები სახელობითში ე-ს გვიჩვენებენ: ბადე, ბზე, ღლე, კლდე, მზე, სიძე, ძე, ხე და სხვ.

ეს არ ჩანს აღმატებითი ხარისხის ფორმებში: უადვილეს-ი, უმეტეს-ი, უმოლსინეს-ი, უმჯობეს-ი და სხვ.

გამონაკლისის სახით შეიძლება სახელობითში საღმე შეგვხვდეს: მწულ ჰერიათა (მათ. 2,2).

• 2

ამ ასოს ძველი სახე, ა, მე-18 საუკუნის დაძვევის ქართულისათვის, რომელიც ძველი ქართული შრიფტით დაწერილ წიგნებს ეკითხულობდა, აღარ წარმოადგენდა რომელიმე ბგერის ნიშანს. იგი იწერებოდა ზოგჯერ, მაგრამ არ იკითხებოდა. რომ აგრეა, იქიდან ჩანს, რომ პირველ ნაბეჭდ წიგნებში იგი გვხვდება თითქმის მხოლოდ სიტყვის შემოკლებით დაწერისას:

ა) სახელობითში: რა (= რა, გვხვდება ხშირად), კა (= კმა, მათ. 2, 18), მა (= ნება, მათ. 6, 10), სხა (= სხუა, მათ. 25, 17), დიდება (მათ. 2, 12), ბრძანება (მათ. 2, 12), წა (= წმიდა, ებრ. 7, 26).

ბ) მითხრობითში: მხოლამან (მათ. 24,36, იეითხე: მხოლომან).

გ) მიცენითში: სახარებასა (= სახარებასა, მათ. 4, 23), ზღასა (= ზღუასა, მათ. 14, 18), სხასა (= სხუასა, მათ. 8, 19); რასა (= რასა, მათ. 17, 25); წმიდასა ქალასა (= წმიდასა ქ., მათ. 27, 53); უძღურებასა (= უძღურებასა, მათ. 6, 15). დიდებასა (= დიდებასა, მათ. 6,28) და სხვ.

დ) ვითარებითში: სიტყად (= სიტყუად, მათ. 9, 5).

ე) ანზე ფუძე-გათავებულ სახელთა მრავლობითში: სხანი (= სხუანი, მათ. 4, 21), შეცოდებანი (= შეცოდებანი, მათ. 6, 15), ანგელოზნი ღანი (= ღმერთნი, მათ. 22, 30).

ვ) სიტყვის შიგნით, უკვე ფუძეში, ცალკეულ სიტყვებში: შესაწირავ-ი (= შესაწირავი, მათ. 23, 18), მღებარე (= მღებარე, მათ. 9, 2).

ზ) გან-ღართული სახელის მსაზღვრელთან: პირისაგან ღისაჲ (მათ. 4, 2), სადაც მისი ხმარება უმართებულოა.

ი) კითხვის ა-სთანაც, სადაც მას არავითარი გამართლება არა აქვს: არა-მე დაუტუნესაჲ? (მათ. 18, 12).

თ) ზმნის ფორმებში, რომლებიც ა-თი თავდება: თქა (= თქუა, მათ. 8, 17); ათქა (= ათქუა, მათ. 5, 21), ქქა (= ქრქუა, მათ. 8, 7).

ამიტომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ *ა* იწერებოდა, მაგრამ საზოგადოდ არ იკითხებოდა; მაგ., და *ქა* იყო ზეცით (მათ. 3, 17). აქ, რა თქმა უნდა, „ქა“ იკითხებოდა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ეგვიპტე სიტყვა შეუწყობ-სრულიად ნორმალურია, რომ მასთან შეთანხმებულს ნათ.-ში დაუყენებულ განსაზღვრებასაც არ ჰქონდეს *ა*: *ქა* კრამათ ისმა გოჯებისა და ტირილისა და ტყებისა მრავალი (მათ. 2, 8); ამგვარივეა: თიფა იგი ველისა (მათ. 6, 29), სარტყელი ტყა-ვისა (მათ. 3, 4), ქამი იგი გამოჩინებისა ვარსკულავისა (მათ. 2, 7), სასუფეველი ცათა (მათ. 4, 17) და მისთ.

და თუ სპორადულად მაინც გვხვდება *ა* ასეთ სიტყვებსა და გამოთქმებში: აღთქმაჲ (ებრ. 9, 15), კურთხევაჲ (ებრ. 12, 17), წიგნის წერაჲ (ებრ. 9, 16), ხისხლი იგი ზუარაკთა და ფაცთაჲ (ებრ. 9, 19), ხისხლი იგი ფაცთა და კურთთაჲ (ებრ. 10, 4), ანრდილი... კეთილთაჲ (ებრ. 10, 1), წინამსწარ (ებრ. 11, 40) და მისთ... ეს ხელნაწერთა ტრადიციას უნდა მივაწეროთ და განვიხილოთ, როგორც გაღ-მონათობი ოდესღაც არსებული ნორმისა. იგივე ითქმის უფროდს უფროდს შესახებ (ებრ. 12, 9) და აგრეთვე უფროდს (ებრ. 11, 25; 12, 13) და უფროდს (ებრ. 11, 26) ფორმებისა, რადგანაც სხვა შემთხვევაში ეგვიპტე სიტყვები უ-ა-ოდ არის წარმოდ-გენილი: უფროს ხოლო (მათ. 10, 6), არა არს უფროს (მათ. 10, 24), უფროსი (მათ. 9, 16). ერთი უნდა შევნიშნოთ მაინც: *ა*-ს ნაცვლად ამ სიტყვაში ერთხელ ი გვხვდება: რაჟღენ უფროსი (ებრ. 9, 14), რაც დამაფიქრებელია. შესაძლებელია, იყვნენ პირები, რომლებიც გარკვეულ შემთხვევაში *ა*-ს კითხულობდნენ და ამ ნი-დაგზე წარმოიშვა უფროსი. უაჭველია მხოლოდ ერთი: *ა* უთუოდ გამოითქმოდა *აა* სიტყვაში, რომელიც ხშირად გვხვდება, და შეიძლება ვინაჟცა-შიც (ებრ. 7, 25), თუმცა საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა ვინათუ *ა* ნ (ებრ. 4, 6; 5, 2).

ა-ს საშუალებით წარმოქმნილი დიფთონგებიდან (*აა*, *ეა*, *ოა*, *უა*) ეჲ უაჲ XI საუკუნიდან აღარ უნდა ყოფილიყო ცოცხალ ენაში, უა იშვიათად იხმარება; რჩება *აა* და *ოა*. როგორც ანზე და ოსზე ფუძე-გათავებულ სახელები გვიჩვენებენ, პირველ ნაბეჭდ წიგნებში სახელობითის ნიშანი აღარ მოიპოვება (და, ძმა, დედა, მამა, აღთქმა, ბრძანება, ზღუა; ოქრო, კალო და სხვ.), არ მოიპოვება არც მათთან შეთანხმებულ ნათეს. ბრუნვაში დაუყენებულ მსაზღვრელებში, რო-გორც ზემოთ ენახეთ; ამიტომ ასეთი მსაზღვრელი, მაგ., სახელი მაძისა, ასეთ ფორმას მოგვცემს მოქმედებითში: სახელითა მაძისათა (მათ. 28, 19), ასეთვე მა-გალითებია: სამოსლითა ცხოვარათათა (მათ. 7, 15); მთაერითა ეშქათათა (მათ. 9, 34); კიდით ქუშქანისათ (მათ. 12, 42) და მისთ.

უკანასკნელ, უნდა აღვნიშნოთ, რომ *აა* დიფთონგის მეორე ნაწილი (*ა*) და-კარგულია *ა*-ზე გათავებულ საკუთარ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითში: ქუშქანა ეგე იუდა-ს-ი (მათ. 2, 6); გალილეა-თ (ში. 27, 55), არიმათია-თ (მათ. 27, 57); პრატა-თ (მათ. 2, 18). ძველ ტექსტებში მათ ნაცვლად იყო: იუდა-ას-ი, გა-ლილეა-ათ, არიმათია-ათ, კრამა-ათ.

სხვა მოვლენებს რომ თავი დავებნოთ და მარტო მოვევანილო მასაქლის ნი-ხედვით ვიმსჯელოთ (ზოგ რამეზე ქვემოთაც ვვექნება საუბარი), ახალი აღთქმის

ძველი ტექსტი საკმაოდ გაახლებულია პირველ გამოცემაში, მაგრამ საერთოდ მაინც კარგად იგრძნობა ძველი ქართული ენის ძირითადი ნორმები.

მოსალოდნელი იყო, რომ შემდგომ გამოცემებში თანდათან გამოსწორდებოდა რამდენადმე წამსდარი საქმე, მაგრამ, როგორც ახლოს ვაქნობა გვარწმუნებს, გამოსწორების ნაცვლად საქმე თანდათან გაუარესდა.

ცვლილებანი, რომლებიც ძველი ქართული ენის ძველებმა განიცადეს 1709 წლიდან 1912 წლამდე, ორგვარი ხასიათისაა: ორთოგრაფიული და ენობრივი (ენობრივი თავის მხრივ იყოფა ორ ნაწილად: გრამატიკულად და ლექსიკურად). ორივეგვარი ცვლილება უმთავრესად ანტონი I-ის სახელთანაა დაკავშირებული.

ანტონი I და მისი სკოლა

ანტონი I (1720 — 1788) საკმაოდ მსხვილი ფიგურაა მე-18 საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში¹. მისი მრავალმხრივი და ენერგიული მოღვაწეობიდან ჩვენს უურადლებას ამჟამად იპურობს მისი გავლენა სალიტერატურო ქართულზე. გულდასმითი შესწავლა იმ სალიტერატურო ძეგლებისა, რომლებსაც მის გრამატიკულ შეხედულებათა ბეჭედი აზის, ნათლად გვიჩვენებს, თუ რა შემოიტანა მან ქართულ სალიტერატურო ენაში და რა სახე მიეცა მისი განკარგულებით ან მისი სკოლიდან გამოსულ მოწაფეთა მიერ დაბეჭდილ ძველი ქართული ენის ძველებს. ვაშობთ „ანტონის გრამატიკული შეხედულებანი“, მაგრამ მსჯელობა ვაქვნება ორთოგრაფიული საკითხების შესახებაც, რომლებიც იმდროინდელი ვაგებთ „ღრამმატიკის“ საგანს შეადგენდა: ანტონის აზრით, „ღრამმატიკა არს შემძლებელობა შართლ-უბნობად და წესიერ-წერად“ (გვ. 153).

¹ ლიტერატურა ანტონი I-ის საერთო მოღვაწეობის შესახებ:
ბ. ბოხელიანის წინასიტყუაობა ანტონის „წეობილ-სიტყუაობასა“, 1853.
თ. ქორღანიძე, Антоний I, католикос Грузии и архиепископ Владимирская и Ярославская (Духовный вестник Грузинского экзархата. 1891—1892); იგივე ქართულად (თარგმანი კ. ანთაძისა); მოგზაური 1901, 1902, 1903.
ბ. კარბელაშვილი, მკითხველთა მიმართ (ანტონის „შა-მეტყუელების“ წინ. 1892).
კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. ძველი შწერლობა. 1960, გვ. 372—385; მისივე, ანტონი კათალიკოსის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან (1914 წ.), რომელიც გადმობეჭდილია წიგნში: „ეტიუდები ძველ ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. VI, 1957.
ამ. როგავა, ხახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონი I-ის როლი. 1950.

ანტონის „ქართულ ღრამმატიკას“, რომლის პირველი რედაქცია ავტორმა 1753 წელს დაასრულა, ხოლო მეორე, გადამუშავებული და შევსებული—1767 წელს, ვრცელი გამოკვლევა უძღვნა კ. ცაგარელმა: О грамматической литературе грузинского языка. Критический очерк. СПб. 1873, გვ. 1—35.

ღრამმატიკის მეორე რედაქცია გამოიცა თბილისში 1865 წელს რაფიელ ერისთავის სედაშვილელობით. სამწესართოდ, გამოცემაში შეცდომებია და საჭიროა მისი ხელახლა გამოცემა. ანტონის გრამატიკის საკითხებს ეხება ლ. ლეჟავასი, თ. ბეროხაშვილის, ე. ბაბუნაშვილისა და მ. შატავაძის კოლექტიური ნაშრომი „ანტონ პირველის გრამატიკა XVIII საუკუნის გრამატიკულ აზროვნებასთან დაკავშირებით“ (თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტის „სტუდენტთა საშუალოთ შრომების კრებულა“, წ. III, 1948 წ., გვ. 24—55), აგრეთვე ჯ. ბაბუნაშვილის სამი სტილის თეორია ქართულ შწერლობაში: თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 98 (1983), გვ. 23 — 38.

ანტონი I-ის გრამატიკულ შეხედულებათა მიხედვით წიგნების სწორების ამ-
 ადგს პირველად ვხედებით 1764 წელს თბილისს დაბეჭდილი კურთხევის ანდერძში,
 სადაც მიხაილ ილუმენი შემდეგს მოგვითხრობს: „ოდეს მეუობდა საქართუქლოსა
 შინა კურთხევით მოქსენებული მეფე ვახტანგ, დროსა მას გამართულ იყო წიგნი
 ესე, რომელ არს კურთხევანი, უოვლად სამღუღელოსა სამთავნელ ეპისკოპოსისა
 კაბრიანესაგან ბერძულსა კურთხევანსა ზედა, ვითა ღედანი კურთხევნისა ამას
 მოუთხრობდა და დაბეჭდილ იყოცა. და აწ, დროსა ამას, ბრძანებითა მისისა მის
 კეთილ მსახურებისა მეფისა ჩუქნისა **საჩხუხუნტ** განახლდა რა და წარმოდგა
 ბეჭელი სტამბისა ამის და დაიბეჭდა პირველად ფსალმუნი, მეორედ კონდაკი, მე-
 სამედ კვალად ფსალმუნი და ეგრეთვე მცირედნი წიგნნი რომელნიმე სახმრად
 ვაკლესიისა ჩვენ ქართუქლოსა, შემდგომად გუცხრძანა ბეჭდუა კურთხევანისა
 და, ვიწყევით რა ვითა ღედანსა ეწერა და ორი და სამი ფურცელი დაიბეჭდა,
 იხილა უწმიდესობამან სანატრულისა მამათ მთავრისა ჩუქნისა **СВЯТЫМЪ**,
 რომელ გარეგან ღრამმატიკისა კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი
 ჩუქნი და ღედანიცა, რომელსა ზედა ვქსწერდით, და მოახსენა მასა თვისსა და
СВЯТЫМЪ და ამისთვის ებრძანა მისისა მეფობისა უმაღლესობისაგან და
 მისის უწმიდესობისაგან მათის უწმიდესობის გლახაკს ბერს ილუმენს მხატურის
 ძეს მიხაილს და გაიბართა მისგან კანონსა ზედა ღრამმატიკისა-
 სა და დაბეჭდილ იქმნა, რაოდენ ახალ შესტამბეთაგან შეიძლებოდა. და ეგრეთვე
 პრობისა მმართუქლოცა იგდვე იყო“.

შემდეგ ანტონის ორთოგრაფია გატარებულია პარაკლიტონში, რომელიც
 დაიბეჭდა ტფილისს 1772 წელს.

თბილისის სტამბის გადბეჭდვებისა და გაფართოების შემდეგ (1781—82 წწ.) ჩვე-
 ულებრივია დაბეჭდილი საეკლესიო წიგნების ანდერძებში იმის აღნიშვნა, რომ წიგნი
 გამართულია „ღრამმატიკისა კანონსა ზედა“, რაც ანტონი I-ის ღრამმატიკით შე-
 მოღებულ წესების გატარებას გულისხმობდა.

თბილისში წიგნის ბეჭდვა შეწყდა 1801 — 14 წლებში. სამაგიეროდ წიგნები
 ბეჭდებოდა ქუთაისში 1800 — 10 წლებში (იმერეთი ჯერ კიდევ არ იყო შეერთე-
 ბული რუსეთთან). ქუთაისის გამოცემებშიც აღნიშნულია წიგნის გამართვა „ღრამ-
 მატიკისა კანონსა ზედა“.

ანტონის მოწაფეთაგან, რომლებიც გულმოდგინედ ცდილობდნენ თავისი მას-
 წავლებლის წესების გატარებას ცხოვრებაში, მიხაილ ილუმენს გარდა¹, ცნობილი
 არიან: იოანე ოსესძე, ტრიფილე არქიმანდრიტი, ზაქარია არქიმანდრიტი და ვარ-
 ლამ არქიეპისკოპოსი, შემდეგში პირველი ექსარხოსი საქართუქლოსი².

¹ ირაკლი მეფე ანტონისთვის იყო არა მკვიდრი ძმა, არამედ ღედამის შვილი, ხოლო
 ანტონი ირაკლი მეფისთვის — მამიდაშვილი. ანტონი ირაკლი მეფეს უოველთვის მას უწოდებდა
 შეძლება რუსულის გავლენით, სადაც брат მასაც ნაშნავს (родной брат) და პიძაშვილ-მამი-
 დაშვილ-ღედამიშვილ-ღეიდაშვილსაც (двоюродный брат).

² ეს მიხაილ ილუმენა, აღმათ, იგივე პირია, რაც პ. ოსელაიანის მიხაილ თბილელი (ან-
 ტონის „წუობილ-ხიტე“, გვ. XV).

³ აქ ჩამოთვლილთ გარდა, პ. ოსელაიანი ანტონის მოწაფეებად თვლის კიდევ გა-
 ბის, რომელიც პირველი რექტორია იყო თელავის სემინარიისა, და დავით აღუქსიშვილს, იმეფე

იოანე ოსესძეს გაუმართავს: კონდაკი (1783), ლოცვანი (1784), სახარება (1786), ზატყი (1888), სამოციქულო (1791). ეს იოანე უმცროსა ძმა იყო იესე ოსესძისა, რომელმაც შეტად საეურადღებო ავტობიოგრაფიული ცნობები დაგვიტოვა, საიდანაც ვტუობილობთ, რომ მისი ძმა იოანე დაბადებულა 1750 წელს. აქ იკითხება: „ქორონიკონს უღმ (438) იოანე ჩემი ძმა დაიბადა. მაშინ ვიყავე მე წლისა ოცდამორისა და მესამესა ვმეწოდებდი“¹, როცა იოანეს კონდაკი გაუმართავს და დაუბეჭდავს (1783), ის იქნებოდა 28 წლისა. 1786 წელს იგი ხუცესია, 1791 წ. კი — სიონის იკონომოს-დეკანოსი.

ტრიფილე არქიმანდრიტი² თავის სახელს უფრო ჭარბით წერს (ტრიფილე). მას გაუმართავს: მარხვანი (1793), მცირე ლოცვანი (1793), ქაშნი (1791), სამსაგალობელი (1793), კურთხევანი (1794).

ზაქარია არქიმანდრიტი გაუმართავს: კურთხევანი (ქუთაისს 1803), ვნების კვირიაკის სახარება (ქუთ., 1803), სახარება (საჩხერეს 1817).

ქუთაისს 1800 წ. დაიბეჭდა დავითნი, სადაც აღნიშნულია, რომ იგი „ღრამ-მატიყისა კანონსა ზედა შესწორებულ იქმნა ტფილისის დაბეჭდილს დავითნზედ-როგორც ის იყო, ისე დავბეჭდეთ“-ო, მაგრამ არ ჩანს, ვინ იყო შემსწორებელი.

ვარლამ არქიეპისკოპოსს, ქსნის ერისთვის დავითის ძეს, დაუბეჭდავს (მოსკოვს, 1805 წელს) სადღესასწაულო, დიდი ტანის 802 გვერდიანი წიგნი. მუსტაფა ვოფილა ვაიორჯი პაიჭაძე, რომელსაც 4 წელი მოუნდომებია ამ წიგნის ბეჭდვისათვის. მოკლე წინასიტყვაობაში ვარლამ არქიეპისკოპოსი დიდი კრძალვით იგონებს ანტონი I-ს და ამბობს, რომ წიგნი ისე დაბეჭდვდეს, როგორც თვით ანტონიმ გამართავს: „წინააღმდეგე ოცნებებსა და მოთხოვნებსა საქართველოსამან ცნობნი, შეფის სესეს ძემან, მრავლითა ღწნითა და გულს-მოღვივებითა ისწრაჟა განკმევენება წნათა საქართველოსათა, და მრავალნი წიგნი ურიად სახმარ-სასარგებლონი თვით-ქმნნა და მრავალნივე წიგნი საჩილოსოქოსონი, საღუთის-მეტეჭქლონი და საეკლესიონი სხუათაგან ენათა ქართულსა ენასა ზედა ვარლამ-მოღებულ-ქრო ურიადითა კეთილ-შეწყობილებითა და ვინააფგან ესეცა წიგნი სადღესასწაულო მისითა შრომითა იყო განმართულ და შეწყობილ ქართულსა ენასა ზედა, ამისთვის მესა ვერლარა კაღნიერ ვიქმენ შესებად და შეცვალებად რაასამე. და ვითარცა მის მიერ იყუნეს განმართულ, ყოვლითურთ ესრეთ უცვალე-ბელად დაბეჭდულ-იქმნა, სადღებელად წმიდისა სამებისა და სასარგებლოდ სულისა, ყოველთა მეთა წმიდისა გულსისა საქართველოსათა. სინოდის ჩღუნი რაჩხცა ცაქრუსსადასან“.

სემანარის რექტორს ვაიორჯი შემდეგ („წვობილ-სიტყვაობის“ წინასიტყვაობა, გვ. XV). ა. კარ-ბელაშვილი სხვაგვარ ასახელებს („სქიოთხველთა მამართ“-ზე ანტონის „მზა-მეტეჭველებს“ წინ).
¹ ესე პარამაშვილ-ის ცხოვრება-ანდერძი. ტექსტი ვაშობცა შეხედით, შენაშენებო, ღწნითა და სხვაგვარ თეთანდელ ოსესძისა. თბილისს 1850 წ. (=მასალები საქარ-თველოს და ქვეყნის ასტორიისათვის, ნაკვეთი 28), გვ. 14.
² ტრიფილეს სახელი ერობაში ვოფილა ტიმონი, დიაკონი ვოფილა და ანტონის ქსელ-თა ჩუხუაში. „მას ეწოდა მერეთ ბერობაში ტრიფილე“ (პ. ოსხელაძე, წინასიტყვაობა ან-ტონის „წვობილ-სიტყვაობისა“, გვ. XII).

გარნა მრავალნი უკმონი თუნიერ კმოვანისა ვუხილან¹ მღებარედ მრავალსა აღვილსა. ვინაჲცა იიმულებით თქუენ კიდურ-მღვმოობისა² გამოუქანებად და თქმად: მაშასაღამე, ასალი ესე ასოჲ, რომელაჲ, საჭირო არს უოჟად³ (ჭ 157 ბ. ე).

ანტონის შეხედულებათა თანახმად, ჯ არის ხმოვანი, რომელიც მარცვალს ქმნის. იგი ამბობს: „თუხება მარცვლისა არს, რათა აქუნდეს კმოვანი ძალითად ანუ მოქმედებითად, მაგრა მოუშელებითად უხშირეს.

მოქმედებითად, მაგალითებრ: მა-რი-ამ.

ძალითად, მაგალითებრ: ბრ-ბე-ნი.

აქა უკუე მარცვალნი სამნი: პირველნი იგი მოქმედებითად არა დაკლებულ არიან თუსისაგან ნაწევარ-მყოფელისა, მაგრა მეორენი სამნი მარცვალნი — პირველი დაკლებულ არს ნაწევარ-მყოფელისა და აქუს იგი ძალითად, მაგალითებრ, ბერ ხოლო მეორე და მესამე შქონებ არიან მოქმედებითად“ (ჭ 161).

შემდგომ პარაგრაფში კიდევ უფრო აზუსტებს ანტონი მის მიერ შემოღებულ ი ჯ ასოს ხმარების შემთხვევებს: „ვჰსოქნათ კუალად ასოჲსა ამისთვის, რომელაჲ ჯ ჰხშირად უოჟაჲ ამისი ძალითად არა არს დასაუენებელ, გარდა ტაუბის დასაბამთა შინა და დასასრულთა, და ოდეს ბუნება სიტყუსა სათანადო-ჰყოფდეს მოქმედებით დადებასა მისსა მაგალითისათჳს ანუ სხუსა რაჲსათჳსმე“ (ჭ 162).

მაშასაღამე, ჯ ასო არ იწერება, მაგრამ იგი იგულისხმება ხშირად („ძალითად არს“) და ეს წესი მისი დაუწერლობისა შეიძლება დარჩეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სიტყვა გადაბქეთ ტაუბიდან ტაუბზე (ე. ი. სტრიქონიდან სტრიქონზე), სადაც, თანხმოვანთა თავმოყრის შემთხვევაში, სიტყვის ბუნება მოთხოვს მის „მოქმედებითად დადებას“ (ე. ი. დაწერას), ან კიდევ მაგალითებში და სხვა რამისთვისო.⁴

იგივე აზრი ანტონის გამოთქმული აქვს მისი გრამატიკის III ნაწილის ბუდა-დართვაში (დამატებაში) მსჯელობისას ქუენაშთის (ე. ი. დეჟისის) შესახებ: „სადაცა დასაბამსა შინა ტაუბთასა⁵ მოვალნი ნაწილნი ლექსისანი⁶, მრავალნი უკმონი⁷, სათანადო არს მუნ ასოჲთა ამით ჯ ქმნად მარცვალი და ესრეთ დადებად დასაბამ ტაუბისა. ევ-სახედ დასასრულსაცა ტაუბისასა თუ სადამე მოვალნი მრავალნი უკმონი, სათანადო არს ასოჲთა მით ქმნად მარცვალი და ესრეთ დადობად იგი“ (გვ. 294, ჭ 53).

ეჭვი არ არის, რომ ჯ ნიშნის შემოტანა ქართულში სომხური ორთოგრაფიის მიზანძვის ბრალია. ანტონი I-მა სომხური ენაც იცოდა. შემასმენლო

¹ აგრეთა, მოხილოდნელი თუ: ვუხილვან.

² კ ი დ უ რ მ ღ ვ მ ო ო ბ ა — დასკვნა (*სკვრისკვირქანი*).

³ ეს ანტონის მსჯელობა მოდის მხითარის გრამატიკის იმ ადგილიდან, სადაც იგი ე (ე=ასოს უხება (I გამოცემა, 1730 წ., გვ. 226). მხითარს მაგალითებად აღებული აქვს *მარყარს* („ნაწევარ-მყოფელი“) და *უოჟს* („მოქმედა-მოქმედა“). უკანასკნელის შესახებ იგი ამბობს, რომ მარცვალ მარცვალს ხმოვანი აქვს ძალითად (*ყოილქნიძე*, რომელიც მწკარის ბოლოს მწკარისაგან დადება მოქმედებითად — *ხხრეყრბიძესადრ*).

⁴ ტ ა უ ბ ა — სტრიქონი, მწკარის.

⁵ ლ ე ქ ს ი — სიტყვა.

⁶ უ კ მ ო ნ — თანხმოვანი.

ბიძი ბრუნვის შემოღების გამო იგი ამბობს, რომ, როცა პირველად შევადგინე ქართული გრამატიკა, მაშინ არ ვიცოდი, თუ რა ვითარება იყო სხვა ენებში, მაგრამ, „მიეჭხედენ რა სამისა მიმართ ენისა, ე. ი. ელინთა, ლათინთა და სომეხთასა...“, საჭიროდ ვჭკონე მაშინ დადებად შემასშენლობითი ბრუნვა“-თ (§ 201).

ამ სამ ენათაგან ჯ ნიშნით გადმოცემული ბგერა მხოლოდ სომხურშია და ამ ენის ორთოგრაფიის მიბაძვით აიხსნება ის თავისებურება, რომელიც ახლავს ჯ ნიშნის ხმარებას ანტონისა და მისი მიმდევრების ქართულში. ეს ჯ ნიშანი იგივეა, რაც სომხური *ძ*. სომხურში კი ბგერა, რომლის გამოსახატავად იხმარება ნიშანი *ძ*, ისე გამოითქმის, როგორც ის ბგერა, რომელიც ისმის ქართულში ცალკეული თანხმოვნის წარმოთქმის შემდეგ: ბჟ გჟ ღჟ თჟ ტჟ ძჟ წჟ და სხვ. ქართულში ის არ გვხვდება, როგორც ფონემა, მაგრამ ჩვეულებრივია იგი სვანურში, სადაც „მაგარი“, „მალალი“ და „წითელი“ იქნება (შესაბამისად): „ბჟი“, „კლ-თხი“ და „წრ-ნი“. მაგრამ, თუ აგრე დაეწერთ მათ, გამოვა, თითქო ისინი ერთ-მარცვლიანი სიტყვები იყვნენ. არა, ისინი სვანურში ორ-მარცვლიანი სიტყვებია: ბ-ჟი, კლ-თხი, წრ-ნი, ოღონდ დასაწყისი თანხმოვნების შემდეგ უნდა ჩაისვას ხმოვანი ჯ, რომელიც სვანურ წარმოთქმაში აუცილებელია: ბჟ-ჟი, კლ-თხი, წრ-ნი.

უკვე ბგერა მოიპოვება შვედურშიც: ტესურის პირელი მჭვრელი ვირს ექანის გირინ-ს (ვირინ-ი), ინგურის პირელი კი — გჯრჯნ-ს: ვი-რი-ნი — ვჯ-რჯ-ნი. ასეთი ბგერა სომხურშიც არის და მას იქ თავისი ნიშანი მოეპოვება, რომელსაც შერეუ ადგილი უჭირაფს ანბანში: *ძ*. იგი მოიპოვება მრავალ სომხურ სიტყვაში, მაგრამ ყოველთვის არ იწერება. მაგ., ნახევარი საუკუნის წინათ თბილისში იყო გაზეთი, რომელსაც მშაკ-ი (*შაკ*) ერქვა. ჩვენ ვამბობთ „მშაკი“-ო, თორემ სომხები ამ სიტყვის წარმოთქმისას პირველ თანხმოვანთან ოღონდ შეჩერდებიან (მ-შაკ), რადგანაც სიტყვა ორ-მარცვლიანია; რომ სრულად დაიწეროს, იქნება *შაკ* მშაკ. სიტყვის გადატანისას ეს ჯ დაიწერება *შაკ-შაკ* (მშ-შაკ). სხვა მაგალითი: კარგად ცნობილია საკუთარი სახელი შიკირტის, მაგრამ სომხური გამოთქმა არის არა შიკირტი, არამედ მშ-კრ-ტი, ე. ი. სიტყვა სამ-მარცვლიანია, ორ წინა მარცვალს ჯ ქმნის, მაგრამ სომხურში ჩვეულებრივ არც ერთი არ იწერება: *შკრტი* (შკრტი). მხოლოდ სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის ღრთს არის საჭირო სათანადო ნიშნის დაწერა: *შკ-კრტი* (მშ-კრტი) ან *შკრ-ტი* (მშკრ-ტი). მაგალითი ლიტერატურიდან: ფრინველს სომხურად ჰქვია *ქიჯი* თრჩუნ (იკითხება ორ მარცვლად: თჯრ-ჩუნ). აქ პირველ მარცვალს *ქ* ქმნის, მაგრამ იგი არ იწერება (მაგ., მათ. 13,4 ბიბლიის მისხლდით, რომელიც ამსტერდამში გამოცა 1666 წ.), მაგრამ გადატანა რომ დასჭირდა ამ სიტყვას, ხმოვანი აღნიშნეს: *ქრ-ჯი* (მარკ. 4,4 იმავე გამოცემით). სხვა მაგალითი: ჯაჯა სომხურად არის *ჯაჯა*. ნსტავ (იკითხება ორ მარცვლად: ნჯს-ტავ). პირველ თანხმოვანს ახლავს ხმოვანი, ოღონდ ჩვეულებრივ იგი არ იწერება (მაგ., მათ. 5,1), მაგრამ, როგორც კი სიტყვის გადატანა დასჭირდა, ხმოვანიც აღნიშნეს: *ჯრ-ჯა* (მათ. 21,7 ზოჭრაბიანის გამოცემით, ჟენევა 1805). ამგვარი მოვლენები უამრავია

სომხურში და გრამატიკებსა და ლექსიკონებშიც არის აღნიშნული, რომ *ქ* ასო ხოგვერ არ იწერება, მაგრამ იგულისხმება კიო¹.

სომხური ლექსიწერობა სილაბურია, *ქ* ხმოვანი მარცვალს ქმნის² და სომხურ ლექსში იგი უოველთვის ზღვებულია მსუდველობაში, დამოუკიდებლად იმისა, დაწერილია (ან დაბეჭდილია) სიტყვაში, თუ არა. ხშირად დიდი უხერხულობაა სომხური ლექსების კითხვის დროს, როცა ეს ასო არ არის დაბეჭდილი (ან დაწერილი) და უნდა წარმოითქვას კი. ამიტომ გასაგებია განსვენებული ლეონ მედიქსეთ-ბეგის მოთხოვნა, რომ საჭიროა, შემოღებულ იქნეს წესად, რომ *ქ* ასო ლექსებში უოველთვის იწერებოდეს და იბეჭდებოდეს, თუ კი მისა შესატყვისი ბგერა სიტყვაში იმისო.

სომხურ ენაში თანხმოვანთა თავმოყრა სიტყვის დასაწყისში მოქვეყნებითა და მხოლოდ ორთოგრაფიის თავისებურებას უნდა მიეწეროს; იგი არსებობს მხოლოდ წერაში, ენაში კი (წარმოითქმის დროს) — არა. მაგ., იწერება ბღრცჳან (გვარია), მაგრამ გამოითქმის სამ მარცვლად: ბღ-ღრ-ცჳან. ქართულ ენაში კი ჩვეულებრივია თანხმოვნების თავმოყრა როგორც თავში, ისე შუაში და ბოლოში, ქართული ორთოგრაფია ისეთია, რომ, თუ ფონემა არის, იგი უთუოდ იწერება; აქ არა გვაქვს შემთხვევა, რომ ხმოვანი წარმოითქმოდეს, მაგრამ არ იწერებოდეს. *ქ* ნიშნით გამოხატული ბგერა ქართულმა სალიტერატურო ენამ არ იცის. ანტონი კი ვიქრობდა, იცისო, და შექმნა ნიშანი და გზა ვაუხსნა მის ხმარებას, რაც უთუოდ სომხური ორთოგრაფიის თავისებურებათა ქართულ ნიადაგზე მცდარად გადმოხერხვის ბრალი იყო.

ქ ნიშანი ანტონის უკვე მისი გრამატიკის I რედაქციაში აქვს ნახმარი, რომელიც 1753 წ. არის დასრულებული. მაგალითები (მოგვეყვას 1754 წ. გადაწერილი ხელნაწერიდან, A—531): კქწრღ-თხ, სარღ-წუუნოებისა, ქარღ-თქქლთა, ცცცბღ-ლი, მქქმღ-ნეს, ლექსღ-თა, უხრღ-წხელსა და სხვ. მაგალითებიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი ამ ასოს ხმარების წესი.

ანტონის *ქ* ნიშნით საშუალო ხმოვნად ც-სთან ერთად³, მაგალითად (მოგვეყვას ნაბეჭდი გრამატიკის მიხედვით): ვიქემ (გვ. 23, 84), ვქსტუნეჯღ (გვ. 44), ვქრეცჳს, მსურღს (გვ. 59), მწურღს (გვ. 65), ვასუქებღღ, ვქსწუხღღ (გვ. 73), მქრწამღს, ვქხეთქ, ვქრეცჳს (გვ. 84), მწადღს, გწადღსთ, ქსწადღსთ (გვ. 85), ვქბორღღ, ვქბორღღღ, ვქბორღღღღ (გვ. 89), დავადღღ, ვქსღღღღღ, დავქსღღღღღ, ვესეჯღღ, განვქბანღღ (გვ. 266), მიქემღს, მიღღღღს (გვ. 278), მღღღღღღღ (გვ. 179), ლექსნი იგი ნათხზნი (გვ. 155), გაბღღღღღღღღღღ (გვ. 157), ზღღღღღღღღღ (გვ. 285) და სხვ.

ანტონი თავის შემოღებულ ნიშანს მარტო გრამატიკაში კი არ ხმარობდა, — უმთავრესად სიტყვათა გადატანის დროს, — არამედ სხვა ნაწერებშიც. მაგალითები მისი „მარტირიკიდან“, რომელიც ნუსხური ხელით გადაუწერია პროტოპრეზვიტერს ნიკოლოზს 1769 წ., ე. ი. ორი წლის შემდეგ გრამატიკის მეორე რედაქციის საბოლოო შემუშავებიდან (მოგვეყვას რამდენიმე ნიმუში Q—78 ხელნაწერის

¹ მაგალითი: „Буква *ქ* часто не пишется, а произносится, подразумеваема.“
A. Даргваши, Полный армяво-русский словарь, Тифлис, 1911, 33, 275.
² ც-ს ნაცვლად რ. ურისთვის გამოცემაში ჩ იკითხება, ე. ი. ქ ნიშნითაა ქღ (გვ. 23).

მიხედვით): ტერ-ფიალებით 326,2; ქემ-ნილი 338, 17; ბერ-ძანა 274, 23; 344,10; მემ-ლაურმან 353, 10; კერ-ძალულებითრე 368, 10; ბერ-ძოლად (371, 6); ზერ-უნვიდა 425, 23 და მისთ.

უფრო საყურადღებოა აღნიშნული ორთოგრაფიული წესების ვატარება ნაბეჭდ წიგნებში, რომლებიც ფართოდ გავრცელდა საქართველოს ეკლესიებში. ამ მიზნით ჩვენ განვიხილავთ უმთავრესად ახალი აღთქმის წიგნებს, რომელთაგანაც სამოციქულო დაიბეჭდა თბილისში 1786 წ. თბილისში, ხოლო ცოცხალი (გარდაიცვალა 1 მარტს 1788 წ.). როგორც ამ წიგნების ბოლოს დართული ცნობიდან ჩანს, ორივე გამართული უოფილა „ღრამშატივისა კანონისა ზედა“ იოანე ოსესძის მიერ, რომელიც, როგორც ვიქვით, 1786 წ. იყო ხუცესი, ხოლო 1791 წ. — სიონის იკონომოს-დეკანოსა. იგივე პირი უოფილა ორივე წიგნის პრობის მმართველიც, ე. ი., დღევანდელი სტამბის საქმის ტერმინოლოგიით, თითქო კორექტორი.

იოანე ოსესძეს დიდი გულმოდგინებით გაუტარებია ანტონის ორთოგრაფია ახალი აღთქმის ორსავე კრებულში, როგორც ამას გვიჩვენებს შემდგომი მაგალითები, რომლებიც მოგვყავს ცალკეული გამოცემების მიხედვით, რადგანაც ეს ასოს ხმარება დაკავშირებულია სიტყვის გადატანასთან ერთი სტრიქონიდან მეორეზე. ერთსა და იმავე სიტყვას კი სხვადასხვა გამოცემაში შეიძლება მოუწიოს გადატანამ, ან არა. სიტყვის გაწყვიტის ადგილს აქ დეფინიით აღნიშნავთ, რომელიც სიტყვას ორ ნაწილად ქუთვს: პირველი ნაწილი სტრიქონის ბოლოს არის, მეორე — შემდგომი სტრიქონის დასაწყისში. ამით ისიც ნათლად ჩანს, თუ სად არის ნახმარი ეს ასო: გადატანილი სიტყვას პირველ ნაწილში (წინა სტრიქონზე), თუ მეორეში (შემდგომ სტრიქონზე).

სახარება (ტფილისს 1786 წ.) [ბ, ბჟ]

მნება-ვგს (მათ. 9, 13); მომკუდარა-რეს (მათ. 9, 24); ჰუა-ფთ (მათ. 12, 33; 15, 8; 23, 3); მუჟ-რინქელნი (მათ. 13, 32); შეურა-ცეს (მათ. 13, 57); განვა-ლეს (მათ. 15, 17); ღმერ-თისა (მათ. 15, 16); ჰუა-ფენ (მათ. 16, 24; ლუკ. 3, 11); იუა-ფენ (მათ. 23, 11); შიანჰსთქა-მეთ (მათ. 23, 24); უბრძანე-ბეს (მარკ. 1, 27); ჰზრახა-ფეთ (მარკ. 8, 17); უთეხ-რეს (ლუკ. 9, 36); დაქსუც-სრა (ლუკ. 8, 44); ფა-რეთ (ლუკ. 17, 10); ელა-ფენ (ლუკ. 17, 24); განჯ-რძალულად (ლუკ. 23, 10); შეიბჟე-რეს (ლუკ. 23, 26); ერეთ-მან (ლუკ. 24, 18); იჯეს-ნეს (ლუკ. 24, 21); ხა-რეთ (იო. 15, 14); გჰრწა-მეს (იო. 16, 30).

ეს ასო ამავე წიგნში სახარების ტექსტს გარეშეც გვხვდება: დაქსუც-ფეს (მარკოზ მახარებლის შესხმა ღორთოთეს მიერ, გვ. 93), ერთის ზე-ტეს (გვ. 390).

სახარება (ტფილისს 1791 წ.) [ბჟ]

ეს სახარება დაიბეჭდა, როცა ანტონი I ცოცხალი აღარ იყო, და ეს ასო ზოგ ნაკლებად გვხვდება:

* სიტყვის გაწყვიტის ადგილი აქ დეფინიით არის აღნიშნული.

თქ-ჟუნდა (მათ. 23, 34); გრწა-მეს (იო. 10, 25); ებრაელე-ბერ (იო. 10, 25); არგე-ბეს (მათ. 27, 24 ფნების კვირიაკის განგებაში, გვ. 264, 19—20).

სამოციქულო (ტფილის 1791 წ.) [ბ].

ურთიერთა-რეს (საქმე 7, 26; ვალატ. 5, 15); გულის-ჰმა-ვჰყა-ფთ (საქმე 16, 10); ყოფლითუ-რეთ (2 პეტრე 1, 5; ებრ. 7, 25); ზომა-რეთ (რომ. 8, 19), ვა-რეთ (რომ. 14, 10); ქურაასტა-ნეს (რომ. 15, 31); ჰუო-ფეს (1 კორ. 7, 36); მიმა-რეთ (2 კორ. 8, 17; 1 ტიმ. 1, 16); გვი-ჰემს (1 თეს. 5, 1); ქლოცე-ვლ (1 ტიმ. 5, 1); მიილე-ბეს (ებრ. 6, 7); მკვ-რეცხლ (ებრ. 11, 23).

სამოციქულოს ტექსტს გარეშე: აუწყე-ბეს (ორჯერ: უწყებათაში ეფესელთ. მიმართ, გვ. 216, და ტიტეს მიმართ, გვ. 227); შეცთომა თუ რაჲმე იხილოთ, ნუ გწყუე-ვთ (სამოციქულოს გამოცემის გუშაკთა მიმართებაში მკითხველებისადმი საძიებლის უკანასკნელ გვერდზე).

ფნების კვირიაკის სახარება (ქუთაის 1803 წ.)

ქსოჯქთ (გვ. 11, 15 = იო. 13, 13; სიტყვა არ არის გადატანილი, მაგრამ ე მაინც არის), დაჰბერ-კოლდეთ (გვ. 17, 6 = იო. 16, 1), ვქსცე-ვლ (გვ. 20, 12—13 = იო. 17, 12); ჯუა-რეს-აცუ (გვ. 28, 13 = იო. 19, 15); ჯუა-რეს-აცქთ (გვ. 46, 21 = იო. 19, 6; ალაშენე-ბელ (გვ. 32, 2-3 = მარკ. 15, 29).

სადღესასწაულო (მოსკოვს 1805 წ.)

წინასწარ უნდა აღუნიშნო, რომ წიგნი 800 გვერდზე მეტია. მე განვიხილე მხოლოდ რამდენიმე გვერდი აქა-იქ და დაერწმუნდი, რომ ე ასოს ხმარება მთელ წიგნშია გატარებული. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგანაც წიგნი თვით ანტონი I-ის მიერ უოფილა გამართული. მაგალითები: მეს-ხჰქრპლმან (1 b/2 a), ქსუფე-ვთ (8 a, 16), ვილადალე-ბეთ (10 b, 5 ქვ.), ვლადალე-ბეთ (11 a, 17), სემ-ალი (18 a, 23), ქბერ-წყინეველ (19 a, 5), ხერ-წნილებისაგან (24 b, 17), უგალო-ბეთ (404 a, 4 ქვ.), შეურა-ცხ-ჰუქს (422 a, 8 ქვ.), მემ-ლაერთაგან (423 b, 21) და სხვ.

სახარება (საჩხერეს 1817 წ.)

მათეს სახარებიდან: თქ-ჰქნი 6, 21; რქ-ჰა¹ 9, 6; უუერ-ოსი 9, 16; ბა-რეთ-ლომე 10, 3; უბერ-ძანო 13, 30; წინა-მმელ-ჰარნი 15, 14; შევა-ლეს 15, 17; ჰერ-ქქს 21, 33; 22, 21; არა ზერ-უნავ 22, 16; ქეს-ჯული 22, 40; თქ-ჰქნცა, 23, 32; თქ-ჰქნგან 23, 38; საზერ-ლელო 23, 45; მისეთ-ანათა 24, 49; უქემ-არი 25, 30; სეთ-ქჰა 26, 27; მელ-ჰლელო-მთაფრისა 26, 58; მელ-ჰლელო-მთაფართა 27, 3; სისეს-ლისა 27, 6; წარსენ-უმილონ 27, 20.

მარკოზის სახარებიდან: რქ-ჰქს 2, 37; უთეს-რეს 5, 14; წეუ-აროთა 5, 25; შეფ-ოთი 5, 40; უერ-მისა 5, 41 (მაგრამ იქვე: მამაჲ მის ყრმი-სა, ყრმაო); ურქ-მუნოება 6, 6; ეტეუ-ოლა 6, 10; ეშემ-აკნი 6, 13; ლადალე-ქს 6, 49; და

¹ ამ გამოცემაში ხშირია უკანონო ფორმები: რქა, რქს.

დასცხ-რა 6, 51; ბერ-მასა 8, 23; იმერ-უშა 10, 11; უგრ-მებსა 10, 14; შემოხ-
ტევალ 10, 32; აღეს-ღვეს 10, 34; უბერ-ძანა 11, 6; თქ-უწინი 11, 26; ზერ-უნეა
12, 14; არა შო-რეს 12, 34; მერ-ავალ-სასუიდეისა 14, 3; დაჯბ-რქოლდე 14, 29,
ქრწემ-ენა 16, 13.

ლოქას სახარებიდან: მცენ-უბათა 1, 6; ქერ-თებოლა 1, 41 (მაგრამ იქვე
ქერთებოლა 1, 44), აღემ-ოვიდაიან 2, 41; განვე-ღენ 4, 36; სარჯწ-მუნოუბაა 5,
20; დაიმარტხ-ნენ 6, 38; ვნება-ვს 6, 31; ესა-ვვთ 6, 34; სჯამს და სტა-მეს 7,
34; არა დასცხ-რების 7, 45; შემოღვ-ობად 9, 24; აძერ-წოლებდა 9, 43; აღ-
სერ-ულებასა 9, 50; მოიკითხა-ვვთ 10, 4; ფერჯ-თა 10, 39; სისხლადღმ-დე 11,
51; სუთ-ქქას 12, 10; სთა-ვვს 12, 27; სუთ-ქქთ 13, 55; ფერ-თეთთა ქქქვე 13, 34;
ერჯ-ასისი 16, 6; ბერ-წუნქალულ 16, 19; აღეს-ღვეს 17, 31; ბერ-ძანა 19, 15;
ფვლ-ტოლენ 21, 21; მეს-ხლომარეთა 21, 35; სუთ-ქქა 22, 56; ბრჯწ-უნვალე 23,
11; რქქ-ქქს 24, 5.

იოანეს სახარებიდან: განანათლე-ბეს 1, 9; გერ-წმენეს 3, 12; ქემ-ნულ არი-
ან 3, 21; აღეს-რულებულ-არს 3, 29; ბრემ-ვები 5, 3; წუ-ლისასა 5, 4; არა
ეძიე-ბუთ 6, 44; მქ-ტდრისამან 11, 39; ურთიერთა-რეს 12, 19; მქც-ნება 12, 60;
დაბანად ფერჯ-თა 13, 14; ნუ შესძერ-წუნლებიან 14, 28; მელ-ტდელ-მთავარმან
18, 19; არასადა მერ-წმენ(ე)ს 20, 25; და ვერ-წმენე 20, 29; ესერ-ეთ 21, 1.

როგორც ანდერშიდან ჩანს, რომელიც იოანეს სახარების ბოლოს იკითხება,
სამიებლების წინ (გვ. 544), ამ გამოცემაზე ფრიადი შრომა თავს უღვია გაენათის
(გელათის) არქიმანდრიტს ზაქარიას¹. ეს სახარება, ზაქარია არქიმანდრიტის მიერ
დაბეჭდილი, უფრო მეტ მაგალითს გვაძლევს ენიშნის ხმარებისას, ვიდრე იოანე
ოსესძის დაბეჭდილი სახარება ან სამოციქულო. ჩანს, ზაქარია კარგად გაწვრთ-
ნილი პირი უთუილა. იგი ენიშნის შეგნებულად ხმარობს სიტყვის გადატანისას.
ამ მხრივ ეს ოთხთავი ძალიან გამოირჩევა სხვებისაგან.

ახალი აღთქმა (მოსკოვს 1816 წ.) [7]

ე ასოს ხმარებაში ახალი აღთქმის 1816 წ. გამოცემა კბაძავს 1786 წლისას:
იგი სახარების ტექსტში იმეორებს უფელა ფორმას, სადაც ე არის ნახმარი, გარ-
და ორისა: არა მომკუდარარეს (მათ. 9, 24) და მუფრინტქლნი (მათ. 13, 32).
მაგრამ ო-ში ე ასოს ხმარება გარკვეულ წესებს ემუარება: იგი ქყოფს ორს ან
ორზე მეტ თანხმოდანს, რომლებიც გადასატანი სიტყვისაგან რჩება წინა სტრი-
ქონზე ან გადადის შემდგომზე. აქ კი ასეთი რამ დაემთხვა მხოლოდ ორ ადგი-
ლას: განვა-ღეს (მათ. 15, 17) და ელა-ვენ (ლუკ. 17, 24), სხვაგან კი უოველ-
თვის ე ასოიანი სიტყვა გაუყოფელია, არ გადადის სტრიქონიდან სტრიქონზე. ეს
ენიშნავს, რომ 7 (1816 წლის გამოცემა) ბრძალ მისდევს ო-ს (1786-ისას).

აღსანიშნავია, რომ ორი მაგალითი მე გამომჩინოდა ო-ში (შეურა-ცხს,
მათ. 13, 57; ეა-რუთ, ლუკ. 17, 10), ისინი პირველად 7-ში შეენიშნე და, როცა
ო-ში შევამოწმე, იქაც აღმოჩნდა.

¹ იგივე ცნობა მოიპოვება სამიებლის ბოლოსაც (გვ. 76-77), მაგრამ აქ არ არის ნა-
თქვამი, რომ ზაქარია გელათის არქიმანდრიტია.

რაც შეეხება იმ წილს 1816 წ. გამოცემისას, სადაც სამოციქულოს წიგნებია, 2 ასო ნაკლებად არის ნახმარი, — სულ სამი მაგალითი ვიპოვე: გულის-გმავაჟუავეთ (საქმე 16, 10); მიმარჯთ (2 კორ. 8, 17); ურთიერთარეს (გალ. 5, 15). ეს სიტყვები აქ ყველა გაუწოფელია და ყველა 1816 წლის გამოცემიდან გაღმოსულა.

ახალი აღთქმა (პეტერბურგს 1818 წ.) [7]

ეს წიგნი დაბეჭდილია მხედრული ასოებით. იგი გადაბეჭდილია 1816 წლის გამოცემიდან [7-დან]. რომ აგრეა, იქიდან ჩანს, რომ ერთ აღგილას 7-ში შეცდომაა: მიიღებს კეროსს, კურთხევისა და მისა მიერ (ებრ. 6, 7). აქ კეროსებს ზედმეტად იგი აუწყვიათ 1818 წლის გამოცემაშიც, მაგრამ შეცდომა შეუნიშნავთ კორექტურის დროს და ამოუღიათ. სამაგიეროდ მისი აღგილი გაუწილებიათ მომდევნო სიტყვებს შორის, რომლებიც უფრო მეტად დაშორებულია ერთმანეთისაგან, ვიდრე საჭიროა. მიუხედავად ამისა, შიგ 2 ასო არ მოიპოვება.

სახარება (მოსკოვს 1823 წ.)

ეს სახარება ძველი ქართული ასოებით არის დაბეჭდილი და შიგ ბრძანად გადაუბეჭდავთ ის სიტყვები, რომლებიც 2 ასოს გვიჩვენებენ 1786 წ. გამოცემაში. მაგ., სიტყვა „ელაფენ“ (ლუკ. 17, 24) ამ სახარებაში არ არის გადატანილი, მაგრამ მაინც არის 2. მარკოზის შესხმაში დოროთეს მიერ „დაქსდევს“ სიტყვა არ არის გადატანილი, მაგრამ 2 იქაც არის.

ამ მიმოხილვიდან ჩანს, რომ 2 ასო, შემოღებული ანტონი 1-ის მიერ, იხმარება როგორც მის სიტოცხლეში და მისი ხელმძღვანელობით გადაწერილსა და გამოცემულ წიგნებში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ დაბეჭდილებშიც. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ეს ასო იხმარებოდა ყველა საეკლესიო წიგნში, რომლებიც ძველი ასოებით იბეჭდებოდა, დაშოვილებლად იმისა, თუ სად იბეჭდებოდა იგი: თბილისში, ქუთაისში თუ მოსკოვში. 1818 წ. პეტერბურგს მხედრულად დაბეჭდილ ახალ აღთქმაში იგი არ ჩანს. ოცდაათიანი წლებიდან მისი ხმარება საზოგადოდ გადავარდა, იგი აღარც საეკლესიო წიგნებში იხმარებოდა¹.

2 ასო ოსურისთვისაც გამოიყენა იოანე იალალუხიძემ, რომელმაც ქართული ოსური წიგნები დაბეჭდა თბილისსა და მოსკოვში (1820 — 24 წწ.).

შემდეგში იგივე ასო პროფ. ალექსანდრე ცაგარელმა გამოიყენა მეგრულისთვის (Мингрельские этюды, СПб. 1880), ხოლო ამჟამად ჩვეულებრივია მისი ხმარება როგორც ჭანურ-მეგრულის, ისე სვანურისა და აფხაზური ტექსტების ჩაწერისა და დაბეჭდვისას.

¹ საკითხი 2 ასოს ხმარების შესახებ მერმინდელ დაბეჭდილ წიგნებში საგანგებოდ არის შესასწავლი და დასაზუსტებელი.

ჭ ა ს ო

სულხან-საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონში უკანასკნელი ქართული შ ასოს შემდეგ მოათავსა ორი მხედრული ასოს შეერთებისაგან წარმომდგარი ჯ, რომელიც წარმოადგენს უი-ს შერწყმას, ხოლო სულ ბოლოს მოაქცია ჭ, თანაც აღნიშნა შემდეგი: „ესე ჭა ძველს წიგნებში იჯდა და მწერლებს უგულებელს ექმნათ და ახლა მე ჩაუმატე“-ო. ამ ასოზე მან რამდენიმე გეოგრაფიული სახელი და ორი ოდეს საზოგადო სახელი მოიყვანა, მათ შორის ჭ ი ლ ა ს ო ჭ ო ს ი, და დასძინა ბოლოს: „ესე ჭა ჩვენს ენაში ევოლენ საკმარ არა არს, მაგრამ სხუათა ენის თარგმანებისათვის დიდად საკმარია და ამისის ქმარებით ღია გაშენიერების სიტყუა ვითარცა უე ვინისა და უნის საშუალოა სათქმელად, აე—ინისა და ანისა, ეგრეთვე ესე ვინისა და ფარის საშუალო არს. განიხილე გულის-ხმიერო“.

ამ ცნობას დავით რექტორმა თავის მსრფე სულხანის ლექსიკონის ერთ ცალში, რომელსაც მან რედაქცია უყო და რომელიც ტარასი არქიმანდრიტს გადაუწერია¹, ასეთი განმარტება მიაწოდა: „ძველს ქართულთ მწერალთ ეს ჭა ამ შესახედავით და ამ ნაკვეთით ესხათ წერილში, როგორც ამ ლექსიკონშიაც სხელს. ახლა ამ ქაშებში ჭ ამგუარის ნაკვეთისა და შესახედავისა შემოვიდა და უფრო ანტონი კათალიკოზის მეფის იესეს ძის დროს. იმ ქაშებში სანატრელმან ირაკლი მეორემან, სრულიად საქართველოსა მეფემან, თუიშურაზ მეორისა მეფის ძემან, რა იშრომა და საფასისა წარგებითა ტფილისს სამეფო ტახტსა თვისსა სტამბა წიგნთა გამართა და გააკეთა და კონსტანტინუპოლიდამ მოაყვანინა კელოვანი კაცი ვინსე, განსწავლული სტამბისა, ქამსა მას, რაჲცა ოდენ საეკლესიო წერილნი ხუცურის ასოთი დაიბეჭდა, მას წიგნებსა შინაცა, სადაცა ეჭირებოდა და საკმარ იყო, ძველი ესე ჭა არ დაბეჭდეს ამ ნაკვეთისა, არამედ ჭა ამგუარი დაბეჭდეს. და რაჲცა მას ქამსავე კელნაწერი ფილოსოფიის წიგნები მხედრულად თუ ხუცურად მწერალთაგან იწერებოდა, Φ ამისთანა და ϕ ამისთანა იწერებოდა“.

სიბრძნის მოყვარენო ქართულენო, ეს ჭ ძველიცა და ეს ამგუარი Φ ჭ ა ხ ა ლ ი — ორივე თქვენთვის წინამდებარედ დამისხავს. რომელიც გენებოსთ წერილში, იმ ნაკვეთისა დასხით. რეკ. დავით“. (ხელნაწ. A—288, ფ. 283 v).

მშვენიერი ცნობაა, რომელიც სწორად გადმოგვცემს ჭ ასოს შემოღების ისტორიას. ირკვევა, რომ სულხან ორბელიანს უურადლება მიუქცევია იმ ვარჯიშობისთვის, რომ ძველ ქართ. ხელნაწერებში გვხვდება ბერძნულის გავლენით შემოსული ასო ჭ, რომელიც ბერძნული ფ ასოს ხელნაწერ ვარიანტს წარმოადგენს. ძველისძველად ბერძნული ფ წყვილ-ბაგისმიერი ბგერა იყო და ისე გამოითქმოდა, როგორც ქართული ფ. ლათინურ ენაში მას შესატყვისი არა ქონდა და გადასცემდნენ ორი ასოს საშუალებით: $\phi\eta$ (φιλσοφία — philosophia), მაგრამ შემდეგში ბერძნულ ენაში მისი გამოთქმა შეიცვალა და იქცა კბილ-ბაგისმიერ ბგერად, რომელიც ლათინურსა და ევროპის ენებში გამოიხატება f ასოს საშუალებით. იგივე ბგერა მრავალ ენას აქვს: არაბულს, სპარსულს, თურქულს.

¹ გადაწერა დასრულებულია 1816 წ. 25 იანვარს.

² მოყვანილია ორივე სახე ასოსი: მთავრული და მცირე.

2. ძველი ქართ. ენის კათედრის შრომები. 9.

სომხები გარშემორტყმული იყვნენ ამ ენებზე მოსაუბრე ერებით და სომხურმა, რომელსაც ქართულის მსგავსად [ბგერა პირველად არ გააჩნდა, თანდათან შეითვისა მისი გამოთქმა და სათანადო ნიშანი სალიტერატურო ენაშიც გაჩნდა. სომხურში კაი ხანია ეს ბგერა ანბანის კუთვნილებაა და იგი გამოიხატება ჭ ნიშნით, რომელიც ბერძნულია წარმოშობით. აი, მაგ., ერთი და იგივე უცხოური სიტყვა, რომელიც ქართულში ფ-თი გამოითქმის და იწერება, სომხურში კი — ჭ-თი: ფანატიკოსი — ჭანატიკოს, ფაკულტეტი — ჭაკულტეტი. ფედერაცია — ჭედერაცია, ფერმა — ჭერმა, ფირმანი — ჭირმანი, ფიზიკა — ჭიზიკა, ფიზიოლოგია — ჭიზიოლოგია, ფირმა — ჭირმა, ფორმულა — ჭორმულა, ფრანკი — ჭრანკი, ფონოგრაფი — ჭონოგრაფი, ოფიცერი — ოჭიცერი, ეფექტი — ეჭექტი და სხვა¹. ანტონიმ უკუაგლო ბერძნულიდან ჩვენში შემოსული ჭ ასოს მოხაზულობა, რადგანაც იგი ბერძნული პალეოგრაფიის საკითხებს არ იცნობდა და ჭ ასო, ალბათ, სომხური ეგონა. მან ამჯობინა ის მოხაზულობა, რომელიც ამ ასოს რუსულში ჰქონდა. ამგვარად, ერთი კბილ-ბაგისმაერთი ბგერის გადმოსაცემად ქართულში გაჩნდა ორი ნიშანი: ერთი უშუალოდ ბერძნული ხელნაწერებიდან მომდინარე, მეორე — რუსულიდან შემოსული (რუსულშიც, ბოლოს და ბოლოს, იმავე ბერძნულიდან მოდის ძველი სლავურის გზით).

ანტონისეულ წიგნებში ეს ჭ იხმარება უცხო ენებიდან შემოსულ საკუთარსა და საზოგადო სახელებში, როგორცაა: ჭრიდერიკოს (გვ. 451), აჭროდიტი (გვ. 289), ჭილოსოქოსი (გვ. 441), ჭისიკა, ჭისიკოსი (გვ. 449), პარალრაჭი (გვ. 3, 4, 5) და სხვ. სწორედ გასათვარია, რომ ჭარების ხმარება შემოიღეს კარგად ცნობილ სახელებში, რომელთაც ქართული ენა ძველათგანვე ფართოდ იცნობდა: ფარნავაზ, ეფრემ, ფილაპე, თეოფილე, ფილიპონ და სხვ. აი რამდენიმე მაგალითი: ჭარნავაზ (ღრამ. გვ. 156, 174), ჭავსტო (3 აგვ.), ჭარეზ (მათ. 1, 3), ჭანოელ (ლუკ. 2, 36,) ჭებრონია (17 იფნ.), ჭილიპონ (22 ნოემბ.), ჭილიპე (მარკ. 3, 18; ლუკ. 6, 14; იო. 1, 45; 14, 9), ჭილონ („ჭილონ მოიხილვდა ეკლესიათა აღუქსანდრიისათა“, შესხმა სოფრონის მიერ წმ. მარკოს მახარებელისა), ჭლორო (18 აგვ.), ჭოტი (12 აგვ.), ალჭე (იაკობ ალჭესი, მათ. 10, 3; მარკ. 3, 18; ლუკ. 1, 3; მარკ. 2, 14), ამჭილოჭე (23 ნოემბ.), ეპაჭრა (ფილიპ. 1, 23), ეპიჭანე (12 მაისს), ეჭრემ (28 იანვარს, 7 მარტს), თეოჭანე (12 მარტს), თეოჭილე (ლუკ. 1, 3), თეოჭილაკტე (8 მარტს), იოსაჭატ (მათ. 1, 8), ვარლაპ და იოსაჭატ (19 ოქტ.), ნეოჭიტე (28 ოქტ.), ნეოჭთალემ (მათ. 4, 15), ნიკიჭორე (9 ჭებ.), ნიჭალორა (10 სექტ.), ნუჭკა (კოლას. 4, 15), ონისიჭორე (9 ნოემბ.), ონოჭრი (12 იფლ.), პორჭირი (9 ნოემბ., 28 მარტს), როჭოს (რომ. 16, 13), სოჭია (17 სექტ.), სტეჭანე (24 მარტს, 28 მარტს), ტროჭიზე (15 აპრ.).

საზოგადო სახელთაგან შეიძლება დავიმოწმოთ: ჭილოსოქოსი (საქმე 17, 18), ჭარისეული (მათ. 3, 7; 5, 20; 7, 29; 23, 29; მარკ. 8, 11; 10, 2; 12, 13; ლუკ. 5, 17; 5, 30; 14, 3; 15, 2; იო. 3, 1; 9, 16; საქმე 23, 6 და სხვ.), ჭე-

¹ მაგალითები ამოღებულია დადბაშიანის სომხურ-რუსული ლექსიკონიდან (თბილ., 1912) და სტ. შალხასიანის ლექსიკონიდან (ტ. IV, ერევ. 1945). (სომხური სიტყვები აქ ქართულ ასოებით არის მოყვანილი).

ბერვადი (საკითხავთა სამიებელში ბევრგან) და წარმოშედლობის სახელი ჩინიველი (მარკ. 7, 26).

სისტემებზე ჭარის ხმარება არ უხერხდებათ, მაგრამ ძნელია იმის გარკვევა, რისი ბრალია: დაუღუერობისა კორექტურის დროს, თუ ძველი ჩვეულებისა. მაგ., სახარების I გამოცემის ბოლოს, 391 ვერსზე, იკითხება: „მებრძანა... ზისის უმად-ღუსობის კარის სუცესს ქრისტეჭორეს დაბეჭდუა“. იგივე პირი თავის სახელს სამიებლის ბოლოს (გვ. 88), მაგრამ სამოციქულოს ტექსტის ბოლოს (გვ. 301) და სამოციქულოს მოთავსებულია მატხოვრის სურათი, რომელსაც ქვეშ აწერია: „ქრისტე, ქრისტე-ფორე შემინწყალე დღესა მას განკითხვისასა“!

ეფესო ჭარითაც არის დაბეჭდილი და ფარითაც: ეფესო (საქმე 18, 24; 19, 26; 1 კორ. 15, 32; 16, 8; 1 ტიმ. 1, 3; 2 ტიმ. 1, 18; 4, 12); ეფესო (საქმე 18, 19; 18, 21; 19, 17; 20, 16). სამაგიეროდ წარმოშედლობის სახელი უველგან ფარით არის (ეფესელი: დოროთეს შესხმა ითანე მახარებლისა, საქმე 19, 24; 19, 25).

ზოგჯერ, წარმოიღვინეთ, ქ ასო შეიძლება აღმოჩნდეს საკუთრივ ქართულ სიტყვაშიც: ქერი შავი (ღრამ. გ 597). ასეთი აღრევა ძველ ხელნაწერებშიც იპოვება. მაგ., S — 2562-ში გვხვდება: უმოსწრაჩესად, განჭუოჭენ 71 (73), მყოჭ-თათუს 73 (75), უჭროას 75 (77), ოთხჭერკი 97 (99) და სხვ.

1818 წ. პეტერბურგს გამოცემული ახალი აღთქმა (H) არ ხმარობს ქ ასოს, არც შემდგომი მხედრული გამოცემები (NH), თუმცა მისი ხმარება ქართულში დიდხანს დარჩა. რამდენიმე მაგალითი: „საქართველოს გახეთის“ პირველი ნომერი გამოვიდა „მარტის 5 დღესა ჩუით წელსა ტჭილისში“. გენერალ კადეიევის აზრი ქართველებზე (ივერია 1884, № 2), დ. ბაქრაძე, ბიბლიოგრაფიული ცნობა (ქილიდა და დამანას შესახებ: ივერია 1886, № 27) და სხვ.

ცალკეული სიტყვების ორთოგრაფიის შეცვლა

როდესაც ახალი აღთქმის წიგნები პირველად იბეჭდებოდა, ქართული სალიტერატურო და სასაუბრო ენა საკმაოდ დაშორებული იყო იმ ენას, რომელიც წარმოდგენილია იმავე წიგნების ძველ ხელნაწერებში და, მიუხედავად ნიკოლაოზ ორბელსძის ცდისა, ებეჭდა ძველი ნორმების მიხედვით, ზოგიერთ ცალკეულ სიტყვაში ახალი ქართულის ფორმებმა იჩინა თავი; ასეთებია:

ა) უკეთუ. ეს სიტყვა ახალი აღთქმის წიგნებში მრავალჯერ გვხვდება და C-ში ხშირად შემოკლებულად არის დაბეჭდილი (უკთუ), მაგრამ, თუ სრულად არის, ჩვეულებრივ შუა უ, უმარცვლო, აღარ არის: უკეთუ იკითხება, როგორც, მაგ., მათ. 4, 6; 5, 13; 12, 26; 27, 40; ლუკ. 4, 7 და სხვ. უ-მ უფოვანოდ მიიღო ეს ახალი ქართულის ფორმა და მომდევნო გამოცემებს გადასცა იგი.

ბ) უკუანა, უკუანასკნელი. ამ სიტყვებსაც დაეკარგა უმარცვლო უ კანის შემდეგ ახალ ქართულში, ამასთანავე უკუანასკნელს ა-ც დაეკარგა და მივიღეთ უკანა, უკანასკნელ-ი. სწორედ აგრე იკითხება იგი პირველ გამოცემაში: მრავალნი იყვნენ პირველნი უკანა და უკანანი წინა (მათ. 19, 30) C; ესრეთ იყვნენ წინანი

უკანა და უკანანი წინა (მათ. 20, 16) ო. არიან უკანასკნელნი, რომელნი იუვნენ პირველ, და არიან პირველნი, რომელნი იუვნენ უკანასკნელ (ლუკ. 13, 30) ო.

ქვემოთ ო-ში ახალ ფორმას დაუჭირა მხარი. დამახასიათებელია, რომ ქვემოთ კი სადაც ო-ში ძველი ფორმა იყო შემთხვევით გადარჩენილი, ო-ში ახალზე გადმოიყვანა, მაგ., აქ: მრავალნი იუვნენ პირველნი უკანასკნელ და უკუკანასკნელნი პირველ ო (მარკ. 10, 31) ო-ში ასეა წარმოდგენილი: ... პირველნი უკანასკნელ და უკანასკნელნი პირველ. შემდგომ გამოცემებში, რა თქმა უნდა, აღარაფერი უჭირბის უმარცვლო უნის აღდგენაზე.

3) მდგელი — მღუღელი ცალკეულ სიტყვათა ორთოგრაფიის შეცვლის მაგალითის წარმოდგენს აგრეთვე მდგელ სიტყვის გაახალქართულება. ძველი ხელნაწერებსა და I გამოცემაშიც უფლებან მდგელ-ი არის, ო-ში კი — უფლებან მღუღელ-ი, მაგ.: მათ. 8, 4; 12, 4; 12, 5; მარკ. 1, 44; 2, 25; ლუკ. 1, 5; 6, 4; 17, 14; იო. 1, 19; ებრ. 5, 1; 6, 20; 7, 1; 7, 22 და სხვ. მღუღელი ან მღუღელი გვხვდება ო-შიც (ებრ. 7, 11; 7, 17; 7, 27 და სხვ.). შემდგომი გამოცემები უნდა ო-ს მისდევს.

გასარჩევი ნიშნები

ანტონის ორთოგრაფიული მოღვაწეობიდან უფრო ახალ საფურცელზე გასარჩევი ანუ დიაკრიტიკული ნიშნების შემოღება.

გასარჩევი (დიაკრიტიკული) ქვეია ნიშანს, რომელიც დაესმის ასოს ზემოთ ქვემოთ ან გვერდით, რომ ბგერობლივ გაარჩიოს ნიშნიანი უნიშნოსაგან. ასეთია მაგ., სვანური ა ა ა ა, რომლებიც სხვადასხვაგვარი ანებია, ერთი შეორისაგან განსხვავებული. მაგალითები სხვა ენებიდან: ფრანგული e é e ê, ჩეხური s š c ž, გერმანული a ä o ö u ü, რუსული и ъ, არაბული ع غ ت ث, სპარსული ك گ და მისთ. ნ. მარის ლათინური ტრანსკრიფციით დაწერილ ქართულ სიტყვებში t t t იყო ტ წ ჭ (შესაბამისად). აი ეს წერტილები და სხვა ნიშნები ასობის თავზე, ქვეშ ან გვერდზე მოწერილი სხვა ბგერითი მნიშვნელობის მისაღებად, არის გასარჩევი ანუ დიაკრიტიკული ნიშნები.

ანტონი I-ის შემოღებულ დიაკრიტიკულ ნიშანთაგან, რომელთაც პრაქტიკული გამოყენება პოვეს, აღსანიშნავია სამი: სბრჯგუის ნიშანი, კლებული და მახვილი.

სბრჯგუის ნიშანი

ანტონის შეხედულების თანახმად, თანხმოვნები (მისი ტერმინოლოგიით „უნიშნო“) საზოგადოდ ბრჯგუ ბგერებია: „რომელნიცა არიან უკნონი, ითქმიან წინადა და ბრჯგულ, რომელთაცა ზედა ნიშანი(ნი) ესე სბრჯგუსანი დაგუსხამნ“ ან ღრამად უხმოდ, არათუ არა-რამგესა მნიშვნელობისათუს, არამედ თავით თუსა ვერ გამოღებისათუს ქმისა“ (გ 156, დ), ე. ი. თანხმოვანი თავისთავად ვერ უნდა

1 წ ა გ ნ ი — ასო.
2 მისაღობლივი იყო: დაგუსხამან.

მოითქმისო და ამიტომ იგი ბრჯგუ არისო. სხვანაირად რომ ფოქვათ, შეუძლებელია თანხმოვანი წარმოითქვას, თუ ხმოვანი არ ახლავსო. აი ეს არის ანტონის გამოსავალი ღებულება, როცა ის უმარცვლო უ-საც ბრჯგუს ეძახის, რადგანაც თანხმოვანთაებრ ცალკე ის ვერც წარმოითქმის და ვერც ქმნის მარცვალს.

სიბრჯგუის ნიშანი წარმოადგენს მარცხნიდან მარჯვნივ ირიბად ამავალ ხაზს, რომელსაც შუაზე მარცხნიდან მარჯვნივ ირიბადვე დამავალი ხაზი ეხება. ხაზების შეხებისას ქვემო ნხარეს კუთხეები კეთდება. ეს ნიშანი დაესმის უმარცვლო უ-ს თავზე, რომ განასხვავოს იგი მარცვლიანისაგან, რომელსაც არაფრითარი ნიშანი არა აქვს. ამ შემთხვევაში სულ ერთია, მართლა უმარცვლო იყო იგი ძველად, თუ, მცდარი თეორიის წყალობით, უნს ვინის ადგილი უჭირავს (მაგ., ქართულში, ლოცუასა, ლუკ. 9, 29). ძველ ქართულში მარცვლიანი და უმარცვლო ერთნაირად იწერებოდა. ანტონიმ საჭიროდ დაინახა, რომ განესხვავებინა ისინი და შემოიღო სიბრჯგუის ნიშანი, რომელიც გვხვდება, თუ უმარცვლო უ-ს მოსდევს ა ან ე, ან კიდევ უმარცვლო უ თანხმოვნებს შორის არის მოქცეული. მაგ., სიტყვა, ზღუასა, ქსთქა, სიკუდილი, გულარძნილი (მათ. 17, 17) და სხვ. უნს ნაცვლად XII საუკუნიდან უწ-ს წერა დამკვიდრდა; ანტონიც შეატრად იცავს ასეთ ორთოგრაფიას, ოღონდ უ-ს სიბრჯგუის ნიშანს უწერს ზემოდან: მეზუტრე, გუტრლი, გუტლი, განქუტეთოს (მათ. 24, 51) და სხვ. ყი (უი) ჯგუჯის ნაცვლად ყ (უ) იწერება.


K 12.852
405

ანტონის ასე აქვს გამოთქმული აზრი უბრჯგუს ხმარების შესახებ: „ძალიან უკუწე ესე ასოსა ამას¹: „თუ საღამე ლექსსა შინა ოღესმე შეხუდების ა (მაგალითებრ, წქა), გაბრჯგუედების მცირედრე და იჭმევს ნიშანსა ბრჯგუისასა და, დაბრუნდების რა სახელებრ, იქმნების უ უ-ედ ნათესაობითსა და მოქმედებითსა და დაწუებითსა ბრუნუასა, მაგალითებრ: წუსა, წუსთა, წუსაგან... და ოღეს იქმნების მიმღეობად, ნაცულად ა-ისა მიიღებს ც-სა, მაგალითებრ, მწუტლი“ (§ 157, ბ).

ძველ ქართულში მკვეთრად გარჩეული იყო უმარცვლო უ ვინისაგან, მაგრამ მე-17 საუკუნიდან (და ზოგჯერ უფრო ადრეც) მათ რვედნენ ერთმანეთში. ვახტანგის გამოცემულ ვეფხისტყაოსანში უმარცვლო უნის ნაცვლად ხშირად ვინია ნახმარი. ანტონიმ ვინი თანხმოვნის შემდეგ უმარცვლო უნს გაუთარაბრა და ზედ სიბრჯგუის ნიშანი დაუსვა: ქა, მარხუა და სხვ.

სიბრჯგუის ნიშანი ანტონის სომხურიდან უნდა ჰქონდეს გადმოღებული. სადაც იგივე ნიშანი თავზე დაესმის უმარცვლო უ-ს, რომელიც ორი ნიშნისაგან შედგება (უფრო ზუსტად: იგი დაესმის უ-ს მეორე ნაწილს, ე-ს: ია);² ს კახლ ვარ კოლაქი ს იუ კოლან (და სმენად, რომელი გესმის, და არა ისმინეს“, მათ. 13, 17), მოლა კანბ („მომეტა მე“, მათ. 11, 27); ატყ მოლაქ ჯ კახლ („თქვენ-და მოცემულ არს ცნობად“, მათ. 13, 11) და სხვ. რუსულში ამ ნიშანს უუნქციით სიმთკლის ნიშანი უღრის, რომელიც დაესმის ი-ს თავზე: რუს. II მარცვლიანი, II კი—უმარცვლო. მაგ., ТИХИИ სიტყვაში სამი ი არის, ორი მარცვლიანი, ერთი უმარცვლო.

¹ საუბარია უ ასოსე
² სათანადო ნიშანი სტამბას არ მოეებოვება, ამიტომ ნახეთ სურათი (ტაბ. 11).



კლდეები

ძველ ქართულში საკუთარ სახელებს არ ქქონდათ გარჩეული სახელობითი (ანტონის წრფელობითი) და მოთხრობითი, ამიტომ, როცა გარდამავალი ზმნის ფორმა წინადადებაში II სერიისა იყო, სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ფორმები ბგერობლივ ერთმანეთს ემთხვეოდა. მაგ., აბრაჰამ შვა ისააკ, — ნათლად არ ჩანს, რომელია მშობელი და რომელია შობილი.

ამიტომ ანტონიმ შემოიღო ნიშანი იმის აღსანიშნავად, რომ ფორმა მოთხრობითად მიღის, ე. ი. რომ სათანადო საკუთარი სახელი სუბიექტია წინადადებაში. ეს ნიშანი, რომელსაც ის კლდეულს ეძახის, წარმოადგენს რგოლაკს, რომელიც დაესმის სათანადო სიტყვის უკანასკნელ ასოს; მაგ., ვითარცა იხილეს მოწაფეთა მისთა იაკობ და იოანე (ლუკ. 9, 54); ჰრქუა მას მართა (იო. 11, 24); ჰრქუა მას იესო (იო. 11, 23); ამან იროდი შეიპყრა იოანე (მათ. 14, 3) და მისთ.

ამგვარად, ეს კლდეული არ არის ჩვეულებრივი ტიპის დიაკრიტიკული ნიშანი, ვინაიდან იგი განასხვავებს არა ერთი რომელიმე ასოს გამოთქმას იმავე ასოს გამოთქმისაგან, თუ მას ეს ნიშანი არ უზის (ან სხვა ნიშანი უზის), არამედ აღნიშნავს, რომ სიტყვა მოთხრობითი ბრუნვის მნიშვნელობითაა ნახმარი წინადადებაში და, მაშასადამე, ეს სიტყვა სუბიექტია, ქვემდებარეა.

ეს კლდეული ანტონის თავისი სომეხი მასწავლებლის გავლენით შემოუღია ქართულში, როგორც ამას თვით მოგვითხრობს: „ოდეს პირველსა მას ვიქმოდი ღრამშატიკასა, მაზრახა სომეხმან ღრამშატიკოსმან, რათა, სადაცა წრფელობითი სახელი დაიდუა სიტყუასა შინა¹ ნაცუღად მოთხრობითისა, ბრუნვილისა მხოლოობითად, ანუ მრავლობითად მქსგავსი მიცემითისა ბრუნუსა, დაიდუასმცა ზედა ლექსისა ესეჯუარი ნიშანი რაჲვე პროსოდიად, რომელა კლდეული, მაგალითებრ: მომცა ფარნავაზ, ჰსთქუეს ქართუცლთა და სხუანი“ (გ 206, ლ). აქ უნდა აღვნიშნოთ,

ჯერ ერთი, რომ რ. ერისთვის გამოცემაში მოყვანილ მაგალითებს სსენებული ნიშანი აკლია, მაგრამ ხელნაწერებში მოიპოვება;

მეორე: ანტონის აზრით, კლდეულის ხმარება საჭირო ყოფილა თანაზ მრავლობითშიც, მაგ., თუ ცალკე, კონტექსტის გარეშე, ავიღებთ ამ წინადადებას: მოქმედთა მათ სცემეს (ლუკ. 20, 10), არ იქნება ნათელი, თუ რად უნდა გავიგოთ აქ სიტყვა მოქმედთა. სუბიექტად თუ ობიექტად, ე. ი. მუშებმა სცემეს, თუ მუშებს სცემეს. სწორედ ასეთ შემთხვევაში იქნებოდა საჭირო კლდეულის გამოყენება, თანახმად ზემოთ მოყვანილი დებულებისა, რადგანაც კონტექსტის მიხედვით ჩანს, რომ მუშებმა სცემეს (მოქმედთა ქვემდებარეა, სიტყვა მოთხრობითი ბრუნვაში იგულისხმება და არა მიცემითში), მაგრამ მე ვერ ვიპოვე მაგალითი, რომ კლდეული სადმე გამოყენებული ყოფილიყოს ო-ში თანაზი მრავლობითის შემთხვევაში. სხვათა შორის, ოთხთავში მოწაფეთა ხშირად იხმარება სუბიექტად წინადადებაში, მაგრამ არსად კლდეული არ უზის უკანასკნელ ასოს;

¹ ანტონის წრფელობითი უღრის სახელობითს, ხოლო სიტყვა წინადადებაა.

მესამე: ამავე ნიშანს ანტონი სხვაგან მოკლეს ეძახის (ზედა-დართ. § 12, 14, გვ. 286) და ექვს ასოს უსვამს თავზე; ეს ასოებია: $\text{P} \text{ } \text{A} \text{ } \text{Z} \text{ } \text{Z} \text{ } \text{P}$, რომლებიც „მოკლ-ხმოვანად იზედ-წოდა ჩქონ მიერ, რომლისა ღრამნიშანი არსი“. თანაც ავტორი დასძენს: „ღრამნიშანი ესე კიდურისა ასოასა ზემო დადებად კმეულ-არს ყოფ-ლისა სახელისა მოთხრობითისა, რომელიცა არა მოთხრობითად იყოს ბრუნვილ“.

მ ა ხ ვ ი ლ ი

მახვილი წარმოადგენს მარჯვნიდან მარცხნივ ირიბად დამავალ ხაზს, რომელიც ასოს თავზე იწერება. მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს.

ა) ბ ი რ ვ ე ლ ი მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ა . მახვილი აღნიშნავს, რომ სახელი, რომლის ტონის გრამატიკამ არ იცის, იგი მას „საძიებოს“ ეძახის, რომელიც შემასმენლობითში უკანასკნელ ასოს ის აზის, პირდაპირი ობიექტია წინადადებაში. „პირდ. ობიექტი“ ან-დგას. ამ ბრუნვას მეოთხე ადგილი უჭირავს ანტონის გრამატიკის ბრუნვათა სისტემაში: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწვებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, წოდებითი. პირველი ბრუნვის შესახებ ის ამბობს: „დასაბამ ბრუნვათა არს წრფელობითი, რომელიცა უფრორე სამართალ არს, რამეთუ ეწოდებოდესმცა¹ სახელობითი“-ო (§ 196). რაც შეეხება შემასმენლობითს, ანტონიმ იგი გრამატიკის პირველად შედგენისას შემოიღო, მაგრამ შემდეგი კვლევა-ძიების დროს დარწმუნებულა, რომ შემასმენლობითი „თავითი თვისთ არა ბრუნვა არს“ (§ 201, თ), რომ იგი ფორმის მიხედვით იგივეა, რაც წრფელობითი (ანუ სახელობითი), მაგრამ მაინც დატოვა გრამატიკაში, თანაც საჭიროდ დაინახა, გაერჩია ერთნაირი ფორმები მათი ფუნქციის მიხედვით. გასარჩევ საშუალებად ანტონიმ მახვილი გამოიყენა: „ზემო დასხმად მახვლთა ვასწავებთ გან-რჩევისათვის შემასმენლობითისა წრფელობითისაგან“-ო, აცხადებს ის (§ 201, ფ).

წრფელობითისა და შემასმენლობითის ფორმები ასეა გარჩეული პარადიგმების მიხედვით (§ 1 — 7), რომლებიც მოცემულია ანტონის გრამატიკაში:

წრფ. მარიამ, არსება, მზე, ტაძარი, ოქრო, ქუ

შემასმ. მარიამი, არსებაჲ, მზეჲ, ტაძარი, ოქროჲ, ქუჲ. როგორც ვხედავთ, ხმოვანზე ფუძე-გათავებულ სახელებს შემასმენლობითში ა აქვთ, სახელობითში კი — არაფერი. ამიტომ, რაკი ა ბრუნვათა განმასხვავებელი ნიშანია და მარჯვენა-ბელია შემასმენლობითისა, მას მახვილი არ უნდა; სხვა შემთხვევაში კი, სადაც წრფელობითის ფორმა შემასმენლობითის ფუნქციით იხმარება (ე. ი. საძიებოა, პირდ. ობიექტია), უოფელთვის საჭიროა მახვილის დასმა. მახვილია საჭირო რო-გორც არსებით სახელებში (საზოგადოსა და საკუთარში), ისე ნაცვალსახელებში; იგი დაესმის როგორც ხმოვანს, ისე თანხმოვანს, როგორც მხოლობითის ფორ-მას, ისე მრავლობითისას. მაგალითები: ტბრაამ კშუა სსაჲ. სსაჲ კშუა სკობ, ს-

კობ კშუა სუდ, და მმანი მისნი. ღოლო სუდ კშუა ქარეზ და ხარა მამარისგან (მათ. 1, 2—3). მოსალოდნელი იყო, რომ აქ მმანი სიტყვასაც ექნებოდა მახვილი,

¹ დაბეჭდილშია ეწოდებოდესცა.

მაგრამ შემთხვევით გამოჭრენიათ. საერთოდ კი მახვილი მრავლობით რაცხეშიც იხმარება, როგორც ამას შემდგომი მაგალითი გვიჩვენებს: უოფელმან რომელმან დაუტევა სახლი, ვინა ჰმანს, ანუ ნანს, ანუ შამას, ანუ ნოდს, ანუ შულნს (მათ. 19, 29). აქ შამას-სა და დედს-ს ბოლოში α არა აქვს, მაგრამ წინადადებაში „საძიებოა“, ობიექტებია; მათ, ანტონის შეხედულების თანახმად, შემასმენლობითის ფუნქცია აქვთ, ამიტომ მათს უკანასკნელ ასოს მახვილი უნდა ჰქონდეს ვიდეც. სამაგიეროდ ამ შერწეულ წინადადებაში: შეიმოსეთ უკუწ ვითარებაა, სიმდაბლქ, სიმშუღქ, სულ-გრძელებაა (კოლ. 3, 9) ექვსი პირდ. ობიექტია, რომელთაგანაც ოთხი ანზე გათავებული სახელია, ორი—უნზე. ანზე გათავებულებს α აქვთ ბოლოში და ამიტომ მახვილი არ არის დასმული, ენზე გათავებულებს კორიფეს მახვილი აქვს (სიმდაბლქ, სიმშუღქ). საზოგადოდ, თუ ხმოვანზე გათავებულ სახელს α აქვს, მას მახვილი არ უნდა: და შექსწირეს მისსა ძლქწნს, მქროა, უნდრუკს და შურს (მათ. 2, 11). აქ α -ზე დაბოლოებულ მქროს-ს მახვილი არ ახის, თუმცა იგიც ისეთივე ობიექტია, როგორიც ძლქწნი, გუნდრუკი და შური. ასეთივე მაგალითია: განქსწმოდოს კალოა თუსი და შექკრიბოს იფქლს საუნჯესა, ხოლო ბზეა დაქსწქას ციცხლითა მით უშრეტითა (მათ. 3, 12; ლუკ. 3, 17).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მახვილი დაესმის ნაცვალსახელსაც: რ დაქფარე ესე ღრძენთაგან (მათ. 11, 25); რომელმან წარიწყმიდოს სულს თუსი ჩესთუს, მან ჰპოვოს იგრ * რომელმან შეგვიწყნარნეს თქნ, შე შემიწყნარა და რომელმან შე შემიწყნაროს, შეიწყნაროს რომავლინებულს ჩემი (მათ. 10, 39—40).

საერთოდ, მახვილი უკანასკნელ ასოს დაესმის, მაგრამ შეიძლება იგი ჰქონდეს არა უკანასკნელ ასოს, არამედ უკანასკნელ ხმოვანს, რომელსაც თანხმოვანი მოსდევს: და ჰპოვეს შარინამ და სოსტბ, და ყრმან ზგი (ლუკ. 2, 15).

ბ) მეორე მნიშვნელობა. მახვილი ზმნის პირიან ფორმაზედაც დაესმის. ამ შემთხვევაში იგი აღნიშნავს, რომ ფორმა წართქმითა ბრძანებითა, მაგრამ, თუ ბრძანება უკუთქმითია (ე. ი. აკრძალვითია), მაშინ იგი დაესმის უარყოფით ნაწილაკს (არა-ს, ნუ-ს). აი, მაგ., როგორ არის წარმოდგენილი ბრძანებითის ფორმები „მამაო ჩუენო“-ში: წმიდა-იყანს სახელი შენი, შოუდონს სუფუვა შენი, იყანს ჩება შენი... პური ჩქქნი ტრსობისა, მომქც ჩუქნი დღეს * ნა მომიტევენ ჩუქნი თანა-ნადებნი ჩუქნი... ნა ნუ შემიყუანებ ჩუქნი განსაცდელსა. არამედ მიქსნენ ჩქქნი ბოროტისაგან (მათ. 6, 8—12). სხვა მაგალითები: სისოვდრთ, და მოვეცეს თქნ. ეძიებდრთ და ჰპოოთ. ირეკდრთ და განგელოს თქნ (მათ. 7, 7); სრქუ

მას სესო, წარვედ და მოქხადქ ქმარსა შენსა და მოვედ აქა (იო. 4, 16), ტრა ხაც-ჰკლა. ტრა იპარო. ტრა იმრუშო. ტრა ცილი-ჰსწამო * სატიფ-ქც შამასა შენსა და შედასა შენსა (მათ. 19, 18—19); ნუ მიქსცემთ სიწმიდესა ძაღლთა. ნქცა დაუფენთ შარგარიტსა თქუქნსა წინაშე ღორთა (მათ. 7, 6).

გ) სხვა შემთხვევები მახვილის ხმარებისა. მახვილი ახლავს „არა“ ნაწილაკს (პირველ ანზე) მაშინაც, როცა იგი თსრობითი კილოს

ფორმასთან ან ვაუშირებობითთან არის ნახშიარი; არა დაქმთეს აქა ქუა ქუასა ზედა, რომელი არა დაირღვეს (მათ. 24, 2-3).

მახვილი მოუდის აგრეთვე „ვერ“ ნაწილბეს და უფლა რთულ სიტუვას, რომლებშიც „არა“ და „ვერ“ შედის; არლა, არცა, არლარა (მათ. 19, 5), ვერ, ვერვის (მათ. 8, 28) და სხვ.

მახვილი აქვს ზოგჯერ აგრეთვე აჭბ (მათ. 1, 23; 2, 13) და ვაბ სიტუვბს; მათ. 11, 21; 18, 7; 23, 13; 23, 14) და სხვ.

მახვილის ფუნქციას ასე განსაზღვრავს ანტონი: „არიან სხუანიცა ღრამნი, დამნიშნულნი წერილთა შინა რამეთუანი, მაგალითებრ: ამას უკუწმ ზელ-წოდებულ ოქსიბ და ჩუქნებრ მახვლი... რომელსაცა ბრძანებითისა მიმართ ვიქმევთ. ევ-სახელ ზმნის საძიებოესა მიმართ სახელისა წრფულობითისა“ (ზედადართ. გ 49). ანტონი დასძენს: „ამას უკუწმ მახვლსა ისმარებდენ ძუქლნი მწერალნი ჩუქნნი, დამდებნი საკუთარ ხმოვანთა ზედა“ (იქვე).

სამწუხაროდ, სასვენი ნიშნების ხმარება ძველისა და საშუალო ქართულის ძეგლებში გამორკვეული არ არის, რომ გამორიცხულ იქნეს ამ შემთხვევაში სომხურის გავლენა. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ მახვილს სომხურშიც ატარებს აკრძალვითი მწ (ნუ) ნაწილაკი. მახვილი ხმარება ზოგჯერ წართქმით ბრძანებითზედაც; მაგ., *მართ* („შეწირე“, მათ. 8, 4), *მით* („მატადე“, მათ. 7, 4) და სხვ¹.

სასვენი ნიშნები

სასვენ ნიშნებად პირველი ნაბეჭდ წიგნებში (C-ში) გამოყენებული იყო: მერტილი, ორწერტილი და ექვს-სხივიანი ვარსკვლავი, რომელსაც შუაში რგოლაკი აქვს. ამათგან წერტილი დაახლოებით იმასვე აღნიშნავდა, რასაც დღევანდელი მძიმე, მაგრამ მას ზოგჯერ უადგილოდ ხმარობდნენ, ხოლო ორწერტილი იხმარებოდა დღევანდელი ორწერტილის მნიშვნელობითაც, მძიმისაც, წერტილ-მძიმისაც. რაც შეეხება ვარსკვლავს, იგი მუხლის დასასრულს დაისმის, ხოლო თავების დასასრულს ორწერტილს ახლავს ტეხილი ხაზი, რომელიც სასვენ ნიშნებში არ შედის. არ შედის სასვენ ნიშნებში არც დღესასწაულების საკითხავთა დასაწყისის ნიშანი, რომელიც წარმოადგენს რგოლაკზე დაგებულ სამყურას ოთხივე მხრით. ეს ნიშანი გვხვდება მერმინდელ გამოცემებშიც, რომლებიც ეკლესიაში სახმარებლად იყო განკუთვნილი (ე. წ. „სამღებდელი“ სახარება და სამოციქულო, როგორიცაა, მაგ., 2 და 3). საკითხავები დანობრილია და წიგნის ბოლოს დართული საძიებლიდან ჩანს, თუ რომელი საკითხავია განკუთვნილი ამა თუ ამ დღესასწაულისთვის და სად უნდა ვათავდეს იგი. არც მძიმე და არც ვადატანის ნიშანი (დეფისი) პირველმა ნაბეჭდმა წიგნებმა არ იცის. აი, მაგ., 22 თავის დასაწყისი მათუდან (ქარაგმების გახსნით):

ა ბ ჳა მერმე მიუგო მათ უესო ივაეთი და ქრქუა * მძსვაესა სასუფეველი იმბით
 გ ისა. კაცსა მეუფესა. რომელმან ეთ ქორწილი ძესა თუსისა. ჳა წარაველნა მთ
 ნანი თუსნი. მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას. და არა ინებეს მის

¹ მაგალითები მოყვანილია ანტონის დამში 1886 წ. გამოცემული პაბლიდან (ტაბ. 11)

* ღვად * სვალად წარავლინნა სხუანი მონანი და ჰრქუა. არქუთ ჩინებულთა
 მათ: აჰა ესერა პური ჩემი მზა მიყოფიეს. ხუარაკები და უსხები ჩემი დაკლულ
 არიან. და ყოველივე მზა არს. მოვედით ქორწილსა ამას * ღოღო მათ უღეს
 ყვეს და წარვიდეს რომელიმე თვისა აგარაკსა. რომელიმე სავაჭროსა თვისსა *
 * ხოლო სხუათა შეიპყრნეს მონანი იგი მისნი. ავინეს და მოსწევდნეს * ღოღო
 შეუფე იგი განრისხნა ესმა რამ ესე და მიავლინა ერი თვისი. და მოსრნა 'კაცის
 მკლავლნი იგი. და ქალაქი იგი მათი მოწუა ცეცხლითა * შაშინ ჰრქუა მონათა
 თვისთა. ქორწილი ესე მზა არს. ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იფუნეს *
 * წარვედით მეზობირთა გზათსა. და რაოდენიცა ჰპოოთ მოუწოდეთ ქორ
 წილსა ამას *

მძიმე

სამოციქულოში, რომელიც დაიბეჭდა 1765 წ. მოსკოვს (L), იგივე სასუნენ
 ნიშნებია გამოყენებული, რაც L-ში, ოღონდ ორწერტილი აქ უფრო სისტემებრ
 იხმარება დღევანდელი წერტილის მნიშვნელობით. იმავე წიგნში უკვე მძიმეც
 გვხვდება და ქვენაშიც (ე. ი. გადატანის ნიშანი, ანუ დეჟისი), მაგრამ მძიმე
 გვხვდება სამოციქულოს წიგნების ტექსტში კი არა, არამედ შესავალსა და უწვე
 ბათაში. მაგალითი: „ხოლო სახელები ესენი არიან, სიმონ რომელსა ეწოდა პეტრე
 და ანდრია მამა მისი. იაკობ და იოანე. ფილიპე, და ბართლომე. თომა, და მათე
 მეზფორე. იაკობ აღფესი, და სიმონ კანანელი. და იუდა იაკობისი. და მატათა
 რომელი აღირაცხა ათერთმეტთა მოციქულთა მიმართ იუდას წილ განსცემელისა.
 ხოლო რომელნი დაიდგინნეს დიაკონად სახელები ესენი არიან. სტეფანე, ფილიპე,
 პროხორე, ნიკანორა, ტიმონა, პარმენა, და ნიკოლაოზ (გვ. 22).

აღსანიშნავია, რომ აქ ჩამოთვლილი საკუთარი სახელების პირველი ასო არ
 არის მთავრული, მაშინ როდესაც თვით სამოციქულოს ტექსტში საკუთარი სახე
 ლები საზოგადოდ მთავრული ასოთი იწყება, მაგალითად: და ოდეს შევიდეს აქ
 დეს ქორსა მას სადაცა იყოფოდეს სეტრე საკობ. სოანე და სნდრეა. ფილიპე და
 თომა. ღართლომე და მათეოს. საკობ სლფესა. და სიმონ მოშურნე და სუდა
 საკობისი (საქმე 1, 13). აქ ყველა საკუთარი სახელი მთავრულით იწყება, გარდა
 ორისა (მათეოს, სიმონ).

როგორც ეხედავთ, არც წერტილი და არც მძიმე აქ არ იხმარება რაიმე
 გარკვეული წესით. ამ სამოციქულოზე აღრე მძიმე ნახმარია პარაკლიტონის წინა
 სიტყვაში, რომელიც ანტონის დაუწერია 1760 წელს, მისი არქივისკოპოსად ყოფ
 ნის დროს ვლადიმირში. მაგრამ დაბეჭდვით ეს პარაკლიტონი დაიბეჭდა 1772
 წელს ტფილისში. ეს წინა-სიტყვა საუცხოო ნიშნებია ანტონის ენისა. იგი ის
 ტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისითაც არის საინტერესო. აქ ნახმარია
 ანტონის მიერ შემოღებული სხვა ნიშნებიც: კლებული, მახვილი, გარემორთხმუ
 ლი. მოგვეყავს იგი მთლიანად.

სარდამოლებასა და განსწორებასა შინა არა მცირედი იყო შრომაჲ ჩემი, და
 თანა შშრომელთა ჩემთა. მით რ სლავენურიცა სარაკლიტონი სხუა გუარ არს,
 და არა ვითარ იგი ღერძული, და მე ვმეტადინო-ბჯდ¹ რათა არა ღერძულისაგან

¹ სიტყვა გადატანილია ერთი სტრიქონიდან მეორეზე.

სხვა-გუარობაა რაამდისა შინა აქუნდამცა წიგნსა ამას, და ამის თვის სროთობაა ვინმე უპარხიისა ჩემისა, კაცი განსწავლული და მეცნიერი წერილისა ყურბუნთა-აა ბრძანებით თარგმან-ექუაუ, და რააცა არა იძუებოდა ჩინთა შინა სლავენურ-ბაგან გარდამოვილეთ, და რააცა არცა სლავენურსა შინა პოენილ-იქნა, იგი სროთობაჲმან მან წნდრეა თარგმნა, და რააცა ჩინსა შინა სარაკლიტონსა ექმოეთ ჩნი დამიდვიეს და ესრეთ განძიმართავს, და სრულ-მიუთვიეს, და სწორ, და იგი უდ ვითარ იგი არს ყურბული სარაკლიტონი: ღლო სერობასა ზუდა კანონნი იის-მშობელისანი ყურბულსა შინა არა არიან, არცა მე დაესდქენ. მათ რ კანონნი იის-მშობელისანი ორნი არიან საზოგადოდ, ერთი კანონი იგი სარაკლიტონისა, და მეორე კანონი იის-მშობელისაჲ, ქმნილი ხეთილ-მსახურისა შეუისა თეოდორე ბუკა ხასკარისა, რომელიცა გვთარგმნიეს: და ვერ კადნიერ-ვიქმენ მე რათა სხვა რაამე შემომელომცა რომელი აქმსუე წმოსავალისა უკლესისა: წმისთვის არცარა შემატებაა, არცაღა დაკლება რაამე მიილო ახლად განმართულ-მან ამან წერილმან ნუგეშინისციემითმან:

საზოგადოსათვის მამულისა მშრომელი,
 მიქქენ შორის უნდოი თანა მსახური,
 СРЕДНІ Трбијепископски Улаდიშირისა და
 სერობოლისა:

ჩენს აქეთ: ინი

აქედან ჩანს, რომ ანტონის აღრე შემოულთა დიაკრიტიკული და სხვა ნიშნები, მაგრამ ბეჭდურ ნაწარმოებში გვიან დაწუებულია მათი გამოყენება.

მოხრილი

მოხრილი წარმოადგენს კაუჭს, რომელსაც თავი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული. იგი დაერთვის სიტყვის ბოლო ასოს. თუ ეს არის შუა ასო ან ქვედა, მოხრილი თავზე დაესმის: *z' n' r' m'*. თუ იგი ზედა ასოა, მაშინ გვერდით უღვას მარჯვნივ, მაგრამ მასზე მაღალაა ბეურად: *z' n' m'*. იგი შეიძლება უკანასკნელ ხმოვანს ქონდეს, რომელსაც თანხმოვანი მოსდევს შემდეგ (შაბოუჩ'ა, მათ. 22, 36). რაღვანაც ს ასოს მარჯვენა ხაზი დაბალია, შეიძლება მოხრილი ზედ იყოს შემჯდარი (მაშასადამე, ასოსთან ერთად იყოს ჩამოსხმული): *uq's'* (მათ. 22, 31).

მოხრილი კითხვითა შინა კმეულ არს-ო, ამბობს ანტონი (ზედა-ღართ გ 10), მაგრამ, როგორც დაბეჭდილი წიგნებიდან ჩანს, იგი კითხვითი ნიშანიც არის და ძახილისაც.

ა) მოხრილი კითხვითია. ამისი მაგალითებია: ვინ არს ზედა ჩემი? ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი? (მათ. 12, 48); რა ვითხოვთ? (მარკ. 9, 24); რაღა ბაკლს მე? (მათ. 19, 20); ვინ ვარ მე? (მარკ. 8, 29); ვინ ხარა შეუუე აყრათა? (მარკ. 15, 2); არარას მოუგება? (მარკ. 15, 4); რომელსა ქამსა უმოლხინეს იქნა? (ით. 4, 52) და სხვ.

ბ) მოხრილი ძახილის ნიშანია. მოხრილი დაესმის საკუთარ სახელებს, რომელთაც წოდებითში ნიშანი არა აქვთ და გარეგნულად არ განსხვავ-

დებიან სახელობ. და მოთხრობითის ფორმისგან. მოხრილის ხმარება ამ სახელებთან აჩენს, რომ, თუ კითხვა არ არის, მიმართვის ფორმასთან გვაქვს საქმე. მაგრამ იგი არ იხმარება საზოგადო სახელებთან, რომელთაც ბრუნვის ნიშნად იმ მოულის, სამაგიეროდ იგი მოულის იმ საზოგადო სახელებს, რომელთაც წოდებითში ნიშანი ი არა აქვთ: მოძღუარ, სატანა, რაბი. მაგალითები: წარვლ ჩეზგან მართლ-უკუნ სატანა (მათ. 4, 10); მოძღუარ მივლევდე შენ (მათ. 8, 19; ავრეთვე: მათ. 12, 38; 22, 16; 22, 24; 22, 36; 26, 49; მარკ. 4, 38; 9, 17; 9, 17; 9, 38; 10,

35 და სხვ.); ხაზარე ვამოედ კარე (იო. 11, 43); სრქუა მას სესო შარამ (იო. 20, 16); გეტუჟ შენ სეტრე (ლუკ. 23, 34); ღოლო შენ ხაპერნაუმ ნქ ცაღმდე აქმადლღები (მათ. 11, 23) და სხვ.

როდესაც წოდებითში დასმული სახელი მეორდება, შეიძლება მოხრილი ორივეს ქქონდეს: სერუსალიმ სერუსალიმ (მათ. 23, 37; ლუკ. 13, 34); შართა შართა (ლუკ. 10, 41); ძაბი ძაბი (მათ. 23, 7), მაგრამ შეიძლება ერთს: საულ საულ რასა მღევნი მე (საქმე 9, 4). უკანასკნელ მაგალითში ორი მოხრილია, რომელთაგანც პირველი დღევანდელი გაგებით ძახილის ნიშნად მიდის, მეორე კი კითხვითია. ასეთივე ვითარებაა აქაც: გვწინასწარმეტყულებდ ჩქქნ ქე ვინ არს, რომელმან გცა შენ (მარკ. 14, 75); გრწამსა მეფე ღარიბა წინასწარმეტყულებთა (საქმე 26, 27), — აქ კი მოხრილს ჯერ კითხვითის მნიშვნელობა აქვს და მეორე მე ძახილისა.

მოხრილი დაესმის წოდებითის შ-საც: შ ღელაკაცო (მათ. 15, 28); შ ნათესავი ურწუნო, და გულარძნილი (მათ. 17, 17); შ უცნობელნო და მიიმენო გულითა (ლუკ. 24, 25).

ამგვარად, მსგავსი ფორმები საკუთარი სახელებისა სამ ბრუნვაში: სახელობითსა (ანტონის წრფელობითსა), მოთხრობითსა და წოდებითში ასეა გარჩეულანტონის შემოღებულ ნიშანთა წყალობით: თუ სახელობითი იგულისხმება და პირლობაექტია, მახვილი უნდა, თუ მოთხრობითი — კლებული და თუ წოდებითი — მოხრალი; სხვანაირად რომ ვთქვათ, საკუთარი სახელი, გარდამავალ ზმნასთან პირლობაექტად დაუენებული, მახვილს მიიღებს, სუბაექტად დაუენებული — კლებულს, ხოლო თუ იგივე საკუთარი სახელი მიმართვის ფორმად იგულისხმება, მოხრილი უნდა.

მოხრილი, როგორც კითხვითი ნიშანი, სომხურშიც იხმარება. საჭიროა, გამოვრკვეულ იქნეს, ამ შემთხვევაშიც დამოკიდებულია ანტონი სომხურისაგან, თუ არა.

გ ა რ ე მ ო რ თ ხ უ ლ ი

„ღრამმატიკის კანონთა“ მიხედვით გამართულ წიგნებში იხმარება ნიშანი, რომელიც აერთებს რთული სიტყვების (რთული სახელისა და რთული ზმნის) ნაწილებს და რომელსაც „იპოდიასტოლი“, ხოლო ჩქქნებრ გარემორთხმული“ ქქვია“ (ხელა-ღართ. § 50). „ნიშანი ესე ქქოფს შეერვასა ორთა ანუ

• ანტონი — იპოდიასტოლი; ს. ს. ორბელიანით — ეპოდიასტოლი.

სამთა მარტივთა ლექსთა შედგმასა¹ (იქვე). „ქვენაშთი“ (ანუ დეფისი) სწორი ქორიზონტალური ხაზია და იხმარება სიტყვების ვადატანის დროს ერთი სტრიქონიდან მეორეზე. გარემორთხმული კი წარმოადგენს მცირე რკალის ქვემო მოცემებში: მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი, ნ. შარი, ხოლო უკანასკნელ ხანებში — ბლუიკი და ბრიერი (წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანის გამოცემაში). ჩვენებურ გამოცემებში, საეკლესიო წიგნების გარდა, გარემორთხმულის ნაცვლად იგვე ნიშანი იხმარება, რაც სიტყვათა ვადატანის დროს, ე. ი. ქვენაშთი.

„ქრთული“ სიტყვა, ანუ კომპოზიტი, ფართოდ ესმის ანტონის და მის მოწაფეებს, კერძოდ იოანე ოსესძეს. მრავალ შემთხვევაში კომპოზიტის ნაწილების მანერთებელი ნიშანი, გარემორთხმული, იქ არის ნახმარი, სადაც ჩვენც ვხმარობთ დღეს ძველი ტექსტების გამოცემისას, როგორც, მაგ., ცემა და კოფათი შედგენილ ზმნებში¹: პატრ-ქც, ნათელ-ქსცა, ნათლის-ცემა, ნუგეშინის-ქსცა, ია-ვარ-ქუოს (მათ. 12, 29), შეურაცხ-ქუნ (მათ. 12, 5), უარ-გუო (მათ. 26, 35), უარ-უყოფეს, სათნო-ყოფა, თაფ-ყოფად (ევგეს. 1, 10) და სხვ.

გარემორთხმული იხმარება აგრეთვე სხვა რთულ ზმნებში, როგორცაა: ჯერ-არს, ჯერ-ივო, ჯერ-მიჩნს, ნათელ-ილო, ნათლის-ღება, ქელ-მეწიფუბის, ძალ-მიძს (მათ. 26, 54), ძალ-უძს, ძალ-ელჭა, თანა-ელჭა (მათ. 18, 28), თანა-გუშ-ღჭა, (ლუკ. 17, 10), თანა-ნადები (მათ. 18, 34), თანა-წარვლეთ (საქმე. 3, 27), არა კაც-ქელა (მათ. 19, 19), კჭალად-ავოს (მათ. 17, 11), ჯუარს-აცუან, თავს-იდჭას, თავს-მღები (საქმე 17, 9), წინა-დაქსცუთა (საქმე 7, 8) და სხვ.

გარემორთხმული იხმარება ტმესის შემთხვევებშიც, მაგრამ ზმნასა და ზმნის-წინს შუა ჩასმული სიტყვა ან ნაწილია კი უფრო ხშირად ერთი მხრივ არის გამოყოფილი: აღვინმე-ქსღგეს (საქმე 15, 5), გამოოდენ-ვიდეს, წაროდენ-სრულ-იყუნეს (საქმე 27, 9), წარმო-უკუშ-გვულ-ინებიან (საქმე 15, 27), განვე-ამისოჯს-გეშორა (ფილიმ. 1, 15) და სხვ.

რთულ სახელებში: ოთხ-ფერტი, არა-რაა, ორ-შაბათი, სამ-შაბათი, ოთხ-შაბათი, ხუთ-შაბათი, ათ-ერთ-მეტი, ათ-ორ-მეტი (მაგრამ ასეც: ათორ-მეტი), შუა-მდინარე (საქმე 7, 2), გულს-მოდგინე, ასის-თაფი, ათასის-თაფი, ერის-კაცი, ნავის-უფალი, სიტყუს-გება, ქუშლის-საქმე, გულის-თქმა, გულის-სიტყუანი, მამათ-მთავარი, მღჭღელთ-მთავარი, ნავთ-სადგური, კაცთ-მოყუარება, წინა-მძღუარი, წინასწარ-მეტუქშელი, წინა-მორბელი (დასასრული წინა-მორბელისაა: საქმე 13, 32-ს შემდეგ), წინა-აღმდგომებითა ქართათა (საქმე, 27, 4) და სხვ.

გარემორთხმული იხმარება აგრეთვე სიტყვის გაორკეცებისას: დიდ-დიდნი, ფერად-ფერადი, კაცალ-კაცალი, პირად-პირადთა (ებრ. 8, 10), ცისად-ცისად ფუქშების და მისთ.

კომპოზიტებად მიაჩნდა ანტონის და მის მოწაფეებს შემუფელ-ზმნიანი ფორმები: ერთ-არს, წერილ-არს, შესრულ-არს, (1 იო. 1, 5), სახელღებულ-არს (ევგეს. 1, 21) შესაძლებელი-ყო და სხვ.

¹ გარემორთხმულის ნაცვლად აქ დეფისს ვხმარობთ.

აღსანიშნავია, სხვათა შორის, რომ სიტყვის გადატანისას ერთი სტრიქონიდან მეორეზე გარუმორთხმული გაწვეტილი სიტყვის პირველ ნაწილსაც აქვს ბოლოში და მეორესაც თავში, მაგ., ჰელ-|-ეწიყების (მათ. 7, 18); ძალ-|-მძის (მათ. 9, 28), ინაკ-|-იღგმიდეს (მათ. 8, 11); ჰელით-|-ქმნული (მარკ. 14, 58); შურაცს-|-ჰვაფთ (იაკ. 2, 8); ნუგეშინის-|-ცემა (2 თეს. 2, 16) და სხვ. ასეთ შემთხვევაში ქვედაში (დეფისი) აღარ იხმარება.

საკითხი კომპოზიტების დაწერილობის შესახებ ანტონისეული ორთოგრაფიით გამართულ წიგნებში მეტად საუურადღებოა და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. აქ ამით დავემაყოფილდებით.

მთავრული ასოები

მთავრული ასოები ჯერ კიდევ პირველ ნაბეჭდ წიგნებშია ნახმარი, თუმცა არა სისტემატრ. იქ მთავრული ასოთი იწყება ყოველი საკუთარი სახელი (პირისა და გეოგრაფიული) და ყოველი მუხლი. ზოგ შემთხვევაში საპატიოდ მიჩნეულ სახელთა პირველი ასოც მთავრულია. აი, მაგ., როგორ არის დაბეჭდილი სახარების წინასიტყვაობა, რომელიც ეკუთვნის მის რედაქტორს მღვდელ-მონაზონს ნიკოლაონ ორბელიძეს:

მღეს განაგებდა საქართველოსა. ძმისწული კეთილ შორწმუნის მეფის ტრილისა. და სახელოვანის შეფის ლიორგისა. და ძე ზეფანისა იწმომოუფარე განათლებული ზახტანგ. ზგულსმოდვინა და მოილო სტამბა ზღახეთით. რომელ აროდეს უოფილიყო საქართველოში. და ჰელით წერაში ჩვენი საღეთონი წერილნი გარუფნილიყო. და მე ღედის ძმისწულსა ამა შეფეთასა და მოსამართლეთუხუცის მრბელის ძეს ცოდვილს მღვდელმონაზონს ნიკოლაონს მიბრძანა წიგნების გასწორება. და ვერ ურჩ ვექმენ. და ეს წმიდა სახარება დიდის ჭირითა ღერძენთა და ღეჭდის სახარებათა შემოწმებითა. სიტყვა და ასო მეტ ნაკლები გავმართე. და ეს სამიებელი არც ერთს ზნაში არ თეთ. სიადვილისა და ადრე პოვნისათვის ახლა მე გავაკეთე: და თუ გულის ჰმაა ყოფთ დიად აღვილია. თავისა და შუკლების ანგარიში ნაბირზე უსხედს¹. და სხვა ჩიშნები შიგ ჩართულია. და სამიებელი სწორად იქ მიასწავებს და მას მიჰყევით. ვინც ჩემნი ნაშრომი წიგნები ნახოთ იწმინდვარულისათვის მენდობას მიბრძანებდეთ. მე დიდად შემეწევის და თქვენ უზრუნველ იქმნებით:~

აქედან ჩანს, რომ მთავრული ასოთი იწყება საკუთარი სახელები. ამას გარდა, მთავრული ასოებით იწყება ზოგი საზოგადო სახელიც. არსებითი სახელების უმეტესობა მცირე ასოთია დაბეჭდილი. წინასიტყვაობა არ არის კარგად დანაწევრებული სასყენი ნიშნებით, მაგრამ ცხადია, რომ ზოგი საზოგადო სახელი, რომლებიც მთავრულით იწყება, წინადადების თავში ვერ მოხვდებოდა.

თვით სახარებისა და სამოციქულოს ტექსტში მთავრულები ნახმარია, როგორც წესი, საკუთარი სახელების თავში და მუხლების დასაწყისში. ამას გარდა, მთავრული ასოებითაა დაბეჭდილი სახელები: იმერთი, მკფალი, შეფე (ზოგ შემთხვევაში), ტნგელონი, წინასწარმეტყუელი და ზოგი სხვა.

¹ დაბეჭდილია: უსხეთს.

ითანე ოსესპის დაბეჭდილ წიგნებში მთლიანად დაცულია ნიკოლოზ ორბელიანის მიღებული წესი და, თუ რაიმე შეცდომაა ამ მხრივ პირველ ნაბეჭდში (ტ-ში), ო ასწორებს მას. მაგ., პირველ ნაბეჭდში იკითხება: 'ჩაა მათდა, რ გზასა მას კაენისასა ვლენან. და საცთურსა მას ბაღამის სასყიდლისასა აღერიხეს. და ცილობითა მით კორესითა წარწემდეს (იუდა 1, 11). აქ მოყვანილი სახელები ტ-ში მთავრულით იწეება ყველა: კაენისასა, ბაღამის, კორესითა. პირველსავე ნაბეჭდში იკითხება: დამაკლებს მე ქამი ესე მითხრობად უდლონისთვს, ყარაკისთვს და სამფსონისთვს და უფთავსთვს, ბავითისთვს და სამოულისთვს და წწყლთა (ებრ. 11, 32). აქ ყველა საკუთარი სახელი მთავრულით იწეება, გარდა სამოულისა, რომელიც ტ-ში გასწორებულია.

მთავრული ასოების ხმარების არე დიდად გავრცობილია ტ-ში, სადაც არსებითი სახელებიც უმთავრესად მთავრულით იწეება. მაგალითი: ო მოვედ ვინოფად ხაცისა შამისაგან თვისისა, და ცსული ბედისაგან თვისისა, და სძალი ბუდამთილისაგან თვისისა * ბა მტერ-იუტნენ ხაცისა სახლეულნი თვისნი (მათ. 10, 35 — 36). მოყვანილ ნაწყევტში ყველა არსებითი სახელი მთავრულით არის დაწეებული, გარდა მტერ და სახლეულ სიტყვებისა, რომელთაგანაც პირველი შედგენილ შემასმენელში შედის. სხვა მაგალითები: ბა იყო ფიდრე იტყოდალა იგი ამას. აღვინმეილო ბუდაკაცმან ჳმა ორსა მას შორის და კრქუა შას. ნეტარ-არს შუცელი რომელმან გიტურთა შენ და ბუძენი რლთა ჳსწოვდი (ლუკ. 11, 27).

რა თქმა უნდა, გარკვეული სისტემა მთავრულების წერაში მხოლოდ საკუთარი სახელებისთვის დასტურდება, რაც უკვე ვახტანგის გამოცემებშიც არის გატარებული, საზოგადო სახელებს კი მთავრული ასო შეიძლება იწეებდეს და შეიძლება არაც. ეს წესი გატარებულია ყველა შემდგომ გამოცემაში, რომლებიც ძველი ქართული ასოებით არის ნაბეჭდი, და, მათ შორის, საჩხერულ ოთხთავშიც (1817 წ.).

გამოსარკვევია, საიდან მოდის წესი, რომ საზოგადო სახელი მთავრულით იწეებოდეს, წესი, რომელიც გერმანულშია გავრცელებული. სლაურიდან იგი არ უნდა მოდიოდეს, რადგანაც მე გადავხედე სლაური ასალი აღთქმის რამდენიმე გამოცემას (1732, 1745, 1765 და 1778 წწ.), მაგრამ მსგავსი რამ იქ არ აღმოჩნდა.

რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს ანტონის შემოღებულ დიაკრიტიკულ და სხვა ნიშნებზე, ამ წერილთან დართულ ტაბულებზე რამდენიმე ადგილის ფოტოსურათს ვათავსებთ ტ-დან.

II. გრამატიკული ცვლილებანი

ფონეტიკის საკითხები

ანტონი არ ცნობს საჭიროდ, დაიცვას ზოგიერთი ფონეტიკური წესი, რომლებიც საუკუნეებრივი ლიტერატურული ტრადიციით იყო გამტკიცებული ქართულში, და არღვევს მათ.

თანხმოვანთა გაორკეცება

თანხმოვანთა გაორკეცება ქართულში ჩვეულებრივ მორფოლოგიური ხასიათისაა: ხუითა თითთა, ტომშან ჩემშან, ცხენი თქუენნი, გგონიეს, მმოსიეს, მშახურებს, ჰელსა პავლესსა (საქმე 28, 3), მოყუასსა თუსსა, ხხელავს (ლუკ. 6, 4 ხანშ.), სასწაულნი ქმნნა, წარიყვანნა იგინი და მისთ. ქართულ ფუძეში რომ ორი ერთნაირი თანხმოვანი მოდიოდეს ზედიზედ, იშვიათია (თთუე, ჩჩული), სამაგუროდ იგი ხშირია ზოგიერთ სხვა ენაში.

ქართული ფონეტიკური წესების თანახმად, უცხო წარმოშობის სიტყვებში ორი ზედიზედ მოსული თანხმოვნისგან ერთი იკარგება: ეკლესია (ბერძ.) და არა ეკკლესია, დალაქი (არაბ.) და არა დალალაქი, გრამატიკა (ბერძ.) და არა გრამმატიკა და სხვ.

შეიძლება თარგმნილ ძეგლებში ორი თანხმოვანი შენახულ იქნეს საკუთარ სახელებში. მაგ., ძველ ხელნაწერებში ანა, როგორც კაცის სახელი (იო. 18, 13; 18, 24), ისე ქალისა (ლუკ. 2, 36), ჩვეულებრივ იწერება ერთი ნარით: ანა (ლუკ. 3, 2; იო. 18, 13; 18, 24; ლუკ. 2, 36), მაგრამ ერთხელ აღიშურ ოთხთავეში ანნა-ც გვაქვს (ლუკ. 2, 36).

იოანე (იოვანე, იოჰანე) ძველი რედაქციის ოთხთავეებში უფელგან ერთი ნარით არის ნახმარი, როგორც ეს ჩანს ი. იმნაიშვილის სიმფონია-ლექსიკონიდან, სადაც აღნუსხულია მისი ხმარების ყველა შემთხვევა, საკმაოდ მრავალი; აგრევე ქალის სახელი იოჰანა-ც (ლუკ. 8, 3; 24, 10).

ოსანა სიტყვაც ჩვეულებრივ ერთი ნარით იწერება (მარკ. 11, 9; იო. 12, 13), მაგრამ იმავე აღიშურში ერთხელ ორი ნარითაც გვხვდება: ოსანნა (იო. 12, 13). სახარების პირველ გამოცემაში (C-ში) ეს სიტყვა ორი ნარითაც დაუბეჭდავთ (ოსანნა, მათ. 21, 9; 21, 15; მარკ. 11, 9) და ერთითაც (იო. 12, 13). მაგრამ იგი უცხო წარმოშობის სიტყვაა, იშვიათად ხმარება და გასაგებია ორი ნარით წერა. საერთოდ კი ქართულში ორი ზედიზედ ხმარებული თანხმოვნისგან ერთი იკარგება და ერთიღა რჩება, იქნება უცხო-წარმოშობის სახელი საკუთარი, თუ საზოგადო.

ანტონი კათალიკოსის შესწავლებათა თანახმად, თუ ორი თანხმოვანი არის უცხო ენაში, საიდანაც სიტყვა გადმოდის ჩვენს ენაში, ორივე თანხმოვანი უნდა

ტ ა ბ უ ზ ე ბ ი





საგარეო სახარება

პრინცე ყაყაბე ინ
 ლაუ პრინცე ივანე
 ბაბინი ივანე ცი
 ბრნიძისი ო ცი
 ბრნიძისი ყრუ ივანე .
 ივანე ყრუ ივანე . ივანე
 ყრუ ივანე ბე ბიდრისი ბიდრისი ო
 ბე ივანე ყრუ პეტრისი . ბე
 ბებრე ბებრე ბებრე : პე
 ბებრე ყრუ ბებრე . ბებრე ყრუ
 ბებრე ო ბებრე ყრუ ბებრე ბებრე .
 ბებრე ბებრე ყრუ ბებრე . ბე
 ბებრე ყრუ ბებრე ო ბებრე
 ბებრე ყრუ ბებრე ბებრე ბებრე .
 ბებრე ყრუ ბებრე ბებრე ბებრე .
 ბებრე ბებრე ბებრე ბებრე ო ბებრე
 ბებრე ყრუ ბებრე ბებრე . ბებრე
 ბებრე ყრუ ბებრე . ბებრე ყრუ

ბებრე ო ბებრე ყრუ ბებრე . ბებრე
 ბებრე ყრუ ბებრე . ბებრე
 ბებრე ყრუ ბებრე ო ბებრე ბებრე
 ბებრე . ბებრე ყრუ ბებრე ო
 ბებრე ყრუ ბებრე ბებრე . ბებრე
 ბებრე ყრუ ბებრე ბებრე . ბებრე

ტ. ვახტანგისეული სახარება (1709). დასაწყისი.
 მთავრული ასოები



ՄԱՐԿԱՆ ԳՆՈՒՄ

4
5
3
2
1
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20



րչին Յայնու Իղևս քիև, ժուր Ծե-
 դրուսև, ժուր Էլիւրէջևն օ Էլիւրէժ
 ույալք Կրեւի . Կրեւի ույալք Կրեւոյ .
 Կրեւոյ ույալք Կրեւի, Ծե սիմն յանն օ
 Է Կրեւի ույալք քրեւի, Ծե Երևի
 Ծե քրեւի ույալք Կրեւի . Կրեւի
 ույալք Կրեւի օ Կրեւի ույալք Կրեւի .
 Կրեւի ույալք Կրեւի . Կրեւի ույալք Կրեւի
 օ Կրեւի ույալք Կրեւի . Կրեւի ույալք
 Կրեւի ույալք Կրեւի . Կրեւի ույալք
 Կրեւի . Կրեւի ույալք Կրեւի օ Կրեւի
 օ Կրեւի ույալք Կրեւի . Կրեւի ույալք
 Կրեւի . Կրեւի ույալք Կրեւի օ Կրեւի
 օ Կրեւի ույալք Կրեւի . Կրեւի ույալք
 Կրեւի . Կրեւի ույալք Կրեւի օ Կրեւի

Ծե
Կրեւի

քիև Յայնու քիև Կրեւի Կրեւի Կրեւի .
 Կրեւի Յայնու օ ույալք

Պատ. 10 (* * *) Պատ. 10

ձև Նի՞ ռահ՛ ծրծրահինի Քրիստոսի իմնն պիտի. առիտայ՛
ձև Իմ պիտապ ռահ՛ ծրծրահինի զի Քրիստոս ռահ՛ լր
փայծն Կրիստոս իմ ա՞ * Լահիտայ՛ ձև Երեմի, սի Օւմա
հայ լ Քրիստոս իմնն, շծ Կրիստոս ծր Փրոպիտ ի *
Լահիտայ՛ ձև Իմ՞ լրծրահինաւ ձև ռահ՛ պիտա լրծր Քր
իստոս լ ծրծրահին, ի մի սի լր ռահն յիտ. ծր առիտ լր
լրծրահին, շծ ռահ՛ սիտոս * Երեմի Իմ՞ ծրծրահինն յիտ,
ռիտն տալն տառիտայ՛ ռահ՛ սիտ լր լրծրահին :

Երեմի լր լր լր Քրիստոս լր
Ծրծրահինն ծրծրահինն ծրծրահինն :

* * * *

ձև ռահ՛ սիտ տառիտայ՛ ծրծրահին Իմ Քրիստոս ծա-
լրծրահինն տառիտայ՛ ծառայ լրծրահինն տառիտայ՛
ծրծրահինն ծրծրահինն : ծրծրահինն տառիտայ՛ ծառայ
տառիտայ՛ տառիտայ՛ լրծրահինն * Փրոպիտ ծրծրահինն ծր
ծառայտայ՛ տառիտայ՛ ծրծրահինն լր ծրծրահինն Քրիստոս ծառայ
ձև տառիտայ՛ * Օւմա տառիտայ՛ ծրծրահինն Քրիստոս ծառայ
ծրծրահինն ծրծրահինն ծրծրահինն տառիտայ՛ տառիտայ՛ տառիտայ՛
ծրծրահինն Քրիստոս * Երեմի ծրծրահինն տառիտայ՛ տառիտայ՛
ձև տառիտայ՛ տառիտայ՛ լրծրահինն լրծրահինն ծառայ տառիտայ՛

Օւմա տառիտայ՛ տառիտայ՛ ծրծրահինն ծառայ տառիտայ՛
ձև տառիտայ՛ տառիտայ՛ ծրծրահինն տառիտայ՛ *
Պիտա տառիտայ՛ տառիտայ՛
տառիտայ՛ տառիտայ՛
տառիտայ՛ *
տառիտայ՛ տառիտայ՛ տառիտայ՛ տառիտայ՛ :

Երեմի

ցեղծոն յՅոսոսոյն Նահանգն (1803)
Պատ. 10, 2 (Երեմի-Նահանգ, 2 լր.) և Երեմի Նահանգն Նահանգն

1) ...
 2) ...
 3) ...
 4) ...
 5) ...
 6) ...
 7) ...
 8) ...
 9) ...
 10) ...
 11) ...
 12) ...
 13) ...
 14) ...
 15) ...
 16) ...
 17) ...
 18) ...
 19) ...
 20) ...
 21) ...
 22) ...
 23) ...
 24) ...
 25) ...

457
 21) ...
 22) ...
 23) ...



24) ...
 25) ...
 26) ...
 27) ...

სომხური ბიბლია (ამსტერდამს 1666 წ.)
 ქათხეთი ნაშანი, მახვილი, სოდრჯაჲის ნაშანი

შენახულ იქნეს ქართულშიც; ამის საუკეთესო მაგალითია თვით კათალიკოსის გრამატიკული ნაშრომი, რომლის შესავალში („შეუქანილებაში“) 11-ჯერ არის ნახმარი სიტყვა „ღრამმატიკა“ და უთველთუის ორი მანით; მაგ., „შეუქანილება წიგნისა ღრამმატიკაჲსა. მიწერილი ზოდღართად და მოწაფეთად ღრამმატიკაჲსათა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა უოვლისა ზემოისა საქართუქლოისასა“, „სხვათა შორის, იკითხება: „ღრამმატიკაჲ ბრძენთა კარად ქსთქტს სიბრძნისა“.

„ღრამმატიკა“ არ არის ერთად-ერთი სიტყვა, რომელშიც გაორკვებული თანხმოვანია. ასეთივეა სხვა სიტყვებიც, საზოგადო და საკუთარი:

აკალესია (ღრამ. § 3), ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეაკალესიამ ჩემი (მათ. 16, 18), ეაკალესიაჲ (ეფ. 5, 24), ეაკალესიასა (1 კორ. 14, 34), ეაკალესიისა (3 იო. 1, 9), ეაკალესიისაგანთა (საქმე 12, 1), ეაკალესიისათა (საქმე 20, 17), ეაკალესიად (საქმე 11, 26), ეაკალესიანი (საქმე 9, 31; რომ. 16, 4; 2 კორ. 11, 8), ეაკალესიათა (1 კორ. 7, 17/18); 14, 33; 16, 1; 2 კორ. 8, 1; 11, 28/29); 12, 13; 1 თეს. 2, 14; 2 თეს. 1, 4 და სხვ.).

ფილიპე (ფილიპე): ღრამ. § 4, მათ. 10, 3; მარკ. 3, 18; ლუკ. 8, 14; იო. 1, 43 (44); 12, 22; საქმე 1, 13; 8, 5; ფილიპესი, ფილიპესი (11 თქტ., 14 ნოემბ.) და სხვ. მაგრამ შეიძლება იშვიათად ერთი პარიც იყოს ძველებურად: ფილიპე (საქმე 6, 5).

გეოგრაფიული სახელიც ორი პარით არის წარმოდგენილი: ფილიპპით (საქმე 20, 6), ფილიპპეს შინა (1 თეს. 2, 2), თუმცა ერთხელ ერთი პარი-თაც გვხვდება: ფილიპედ (საქმე 16, 12). ამისგან ნაწარმოები სიტყვა ორი პარიით ახმარება: ფილიპელთა მიმართ ეპისტოლე, მაგრამ წინ წამმდგარებულ უწყებაში პირველი ასო ქ არის: ფილიპელთა მიმართ.

ასეთივეა აგრეთვე სარრა (ებრ. 11, 11), რომელიც ო-დანვე მოდის, ემკელი-ანგ (8 აგვისტოს), ელლინურისა, ელლინურითა (მათე მახარებლის შესხმა სოფ-რონის მიერ, გვ. 2).

ფილიპე-ს ბეჭდვა ორი პარით, სარრა-სი ორი რაეთი და ეაკალესიისა ორი პარით ახალი აღთქმის წიგნების ფულა შემდგომ გამოცემაშია გატარებული. ანტონის გავლენა „ეაკალესია“ სიტყვის ორთოგრაფიის საკითხში შეიძლება ბევრ ავტორს უპოვოს კაცმა, მაგ., ილია ფერაძეს, ბესარიონ ნიქარაძეს და სხვებს.

დისიმილაცია

კარგად ცნობილია უძველესი ქართული სალიტერატურო ენის ძველებიდან, რომ ორი რაესაგან ქართულ სიტყვაში ერთი დისიმილაციას განიცდის და ლასად გარდაიქმნება. ეს წესი უცხო წარმოშობის სახელებზედაც ვრცელდება. ასეთია, მაგალითად, ბერძნულიდან შემოსული „მარგალიტ-ი“ („მარგარიტ“-ის ნაცვლად, μαργαριτης). ახალი აღთქმის ძველ ხელნაწერებსა და პირველ ნაბეჭდში უველგან მარგალიტი იკითხება, მაგრამ ანტონი ერთ ადგილს მათეს სახარებიდან ასე იმოწმებს თავის ღრამმატიკაში (§ 254): ნუცა დაუფენთ მარგარიტთა თქტქნ-თა წინაშე ღორთა (მათ. 7, 6). ასევე იკითხება იგივე წინადადება იოანე ოსესის გამართულ სახარებაში (ბ-ში). სხვა მაგალითები ბ-დან: მსგავს არს სასუფე-

3. ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები. 9.

ველი ცათა კაცსა ვაჭარსა, რომელი ებიებნ კეთილთა მარგარიტთა და, კპოვის რა ერთი მარგარიტი მრავალ-სასუიღლისა, წარვიდა (მათ. 13, 45 — 46); ანუ ოქროდთა ანუ მარგარიტითა (1 ტიმ. 2, 9). ეს „მარგარიტი“ გამეორებულია მომდევნო გამოცემებშიც (1706).

საკუთარ სახელთაგან ასეთივეა გრიგორი, რომელიც კაი ხანია შემოსულია ქართულში, პირველად გრიგოლი-ს ფორმით. შემდეგ ბოლოკიდური ი, საწო-გადლო სახელთა სახელობითის ი ნიშნის ანალოგიით, მოეკვეცა და გრიგოლ გახდა: გრიგოლ განმანათლებელი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ხანძთელი და სხვა. მაგრამ ანტონისთვის არსებობს მხოლოდ გრიგორი: „თუს გრიგორისა, ახალ აბრაჰამ ზედ-წოდებულისა“ (იამბ. 804); ო სახარების ბოლოს დართულ საძიებელ-ში იკითხება: გრიგორი ნოსელი (10 იანვ.), გრიგორი დმრთისმეტყუელი (25 იანვ.).

დისიმილაციურ ფორმას უარყოფს ო აგრეთვე ლერწამ სატყვაში: სახარე-ბა-სამოციქულოს ძველ ხელნაწერებსა და პირველ გამოცემაში უფლებან ლერწამი იკითხება, ანტონისეულ ო-ში კი — ლელწამი: მათ. 12, 20; 27, 27; 27, 48; 27, 30; მარკ. 15, 36; იო. 19, 29; ლელწამსა 1 კორ. 3, 12; ლელწამისა მათ. 11, 7; ლუკ. 7, 24; ლელწამითა მარკ. 15, 19. არ არის გასაკვირველი, რომ ასეთი ფორ-მა უფელა მომდევნო გამოცემაშია გატარებული.

ფუძის უკუმშველობა

ზოგიერთ სიტყვაში ანტონი გაურბის ფუძის შეკუმშვას. მაგ., კპოვან სი-ტყვის ნათ. და მოქმ. ბრუნვის ფორმა ჩვეულებრივ იქნება კპოვნისა, კპოვნითა, მაგრამ ანტონის მიხედვით უნდა: კპოვანისა (გ 3, სტრ. 1, 6, 16; გ 4, სტრ. 1 და სხვაგან), კპოვანითა (გ 5, გვ. 11, 3 ქვ.).

წილკანი (სოფელია მცხეთის რაიონში, არაგვისა და ქსნის ხეობის შუა) იკუმშება: წილკნისა, წილკნელი; ანტონი კი წერს: „თუს წმიდათა შორის მამისა ჩუქნისა ისე წილკანის ებისეოპოსისა ათ-ცამეტაგანისა“ (იამბ. 457).

ფუძის უკუმშველობის გამოიყვანა, რომ ანტონი ვეუბისტყაოსნის ავტორად არა რუსთველს, არამედ რუსთაველს ასახელებს: შოთასადში მიძღვნილი იამბიკოს სათაურია „თუს შოთა რუსთაველისა“ (იამბ. 802). არა მარტო შოთას, არამედ ნიკოლაოს მიტროპოლიტსაც იგი რუსთაველობით ახსენებს: „თუს მამისა ნიკო-ლაოს რუსთაველისა, ჩერქეზისა“ (იამბ. 679).

აი სად არის სათავე ჩვენი უდიდესი პოეტის ვინაობის სახელის შერყენისა! შოთა იყო რუსთველი (და არა რუსთაველი). რუსთველს ეძახდა იგი თავის თავს და ასევე ეძახდნენ მას სხვებიც, იმის დროინდელი პირებიც და შემდეგ დროინ-დულებიც.

ვინის შენახვა ო-ს წინ

ჩვეულებრივი ამბავია ქართულში, რომ ვ იკარგებოდეს ო-ს წინ: ვო → ო. ამიტომ პატივ-ისაგან მივიღეთ პატიოსნანი, რომელიც ყოველთვის უფინოდ იხმა-რებოდა. ანტონისეულ ო-ში კი პატიოსან-ში ხშირად აღდგენილია ვ: რომელი იყო მისა პატიოსნან (ლუკ. 7, 2); ქუთა კეთილითა და პატიოსნითა შენებულ-

არს (ლუკ. 21, 5); დიდ-დიდნი და პატივოსანნი (2 პეტრე 1, 4); პატივოსანისა...
ნათლის-მცემელისა (7 იანვ.), პატივოსანისა დედოფლისა (24 იანვ.), პატივოსანისა
სარტულისა (31 აგვ.). მაგრამ: უპატიოსნესი (ლუკ. 14, 9).

მსგავსადვე „ნათესავ“ სიტყვისაგან ვვაქვს ნათესაობა, მაგრამ ანტონის
ღრამმატიკაში ტერმინი ნათესაობითი უმეტესად ვინიანია (ნათესაობითი): გვ. 1
(გვ. 7, სტრ. 6), 4, 5, 6, 7, 17. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა § 197, სადაც
საუბარია ამ ბრუნვის შესახებ და სადაც ვინიანი ფორმა 25-ჯერ მაინც გვხვდება.

ვინის აღრევა უმარცვლო უნთან

ძველ ქართულში კარგად გარჩეული იყო ვინისა და უმარცვლო უნის გა-
მოთქმა, ისინი ერთმანეთში არ ერეოდათ. ეს წესი რამდენადმე დარღვეულია ახა-
ლი აღთქმის წიგნების პირველ გამოცემაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, მაგრამ
სულ მოშლილია ირაკლისეულში, აქ, საერთოდ, თანხმოვნების შემდეგ ვინების
ნაცვლად უმარცვლო უნებია ნახმარი სათანადო დიაკრიტიკული ნიშნით. მაგ.,
შეე ფუძისაგან გვექონდა: შეა, შეი, შეეს, იშა, შეილი და სხვ. ამათ ნაცვლად
ნ-ში უველგან უბრჯგუიანი ფორმები იკითხება ან იგულისხმება: ტბრაამ ქშქა
შააკ' (მათ. 1, 2); რაქამს ქშეს ფრმაჲ, არღარა მოექსენის ჭირი იგი სიხარულითა
შით, რამეთუ იშქა კაცი (იო. 16, 21); აჰა ესერა შენ მუცლად-ილო და ქშქშ
ქე (ლუკ. 1, 31); მიქსცეს მამამან მამა სიკუდილად და მამამან მული და აღქსდ-
გენ მულნი მამა-დედათა ზედა და მოქკლუდენ მათ (მარკ. 13, 12).

„ქვა“ სატყვა ძველად ყოველთვის ვინით იწერებოდა: ქვა, ქვაჲ, ქვანი,
ქვასა, ქვისა, ქვითა, ქვები და სხვ. ანტონისეულ წიგნებში კი უველგან შეცვლი-
ლია ორთოგრაფია: რომელთამე ქქა დაქკრიბეს (მათ. 21, 35); არა დაქშთეს
აქა ქქა ქქასა ზედა (მათ. 24, 2); და თავადი განეშორა მათგან ვითარ ქქს-
სატყორცებელ ოდენ (ლუკ. 22, 4); ქქთა კეთილითა და პატივოსანითა შენებულ
არს (ლუკ. 21, 5); აღიღეს ქქცბი ურიათა მათ (იო. 8, 59) და სხვ.

აგრევეა სხვა სიტყვებში, რომლებშიც ე არის ფუძისეული (ხუალე, ქაალის
საქმე, ცვა). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავიან ზმნათა ორთოგრაფიის შეცვ-
ლა და დამახინჯება. ძველად ზმნები: ზრუნვა, თესვა, ლოცვა, მალვა, მარხვა,
პარვა, როკვა, ტანჯვა, ურვა, ფარვა, ხილვა და მისთ. ყოველთვის ვინს გვიწვე-
ნებდნენ. ანტონისეული გრამატიკის კანონებზე აღზრდილ იოანე ოსესძეს ვინი
უველგან მოუშლია და მის ნაცვლად უ ჩაუსვამს, რომელიც მომდევნო ინთან უ-ს
გვაძლევს (ლოცქა, ლოცქსა, ლოცქთა). ორიოდვე მაგალითი:

ღ

და სხდეს მუნ და სცვიდეს
მას და დასდევს თავსა მისა
ზედა ბრალი მისი (მათ. 27, 36—37).

ხედვით ხედვდეთ და არა ისი-
ლოთ (საქმე 28, 26).

ბ

და ქსხდეს მუნ და ქსცვდეს
მას და დაქსდქქს თავსა
მისსა ზედა ბრალი მისი.

ხედვთ მხედვდეთ და არა იხილოთ.

ს

ბ

ესე ნათესავი ვერ შესაძლებელი-არს
 განსლუჯად გარნა ლოცვითა და მარხვი- განსლუჯად გარნა ლოცვითა და მარხვითა.
 თა (მარკ. 9, 29).

და მრავალი სხვა მისთ.

ერთი სიტყვით, ამ მხრივაც ისეა შერყენილი ძველი ქართული ენის ძეგლები, რომ კაცს გული აერუვა.

საერთო წესის თანახმად, შალვა-ს ნაცვლად ანტონი შალვა-ს წერს: „თუს წმიდათა დიდთა მოწამეთა ბიძინასი და ორთა ძმათა ერისთავთა ქსნისათა ელისბარისა და შალვა-სი“ (იამბ. 417).

ჰ ბგერის შემცველი ფუძეები

ჰაე საკუთარ სახელთა ფუძეებშიც გვხვდება და საზოგადო სახელებსაშიც. ასეთი საკუთარი სახელებია: აბრაჰამ, ისაჰაკ, აჰრონ, იოჰანე, იოჰანა, ჰეროდე, ჰეროდია, ჰეროდონ. საზოგადო სახელებია: ჰურია, ჰამბაფი. ამათვე უნდა მივათვალოთ განყენებითი ანგაჰრება, ნაწარმოები ანგაჰრ-ისაგან.

ა) აბრაჰამ. ოთხთავის ენაში ეს სახელი ხშირად გვხვდება. მათეს სახარებაში ჯრუჰ-პარხლის ხელნაწერებს აკლია დასაწყისი. აღიშური ხელნაწერი კი ასე იწყება: „წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა აბრაჰამისი. აბრაჰამ შვა ისაკი“. მაგრამ სხვაგან იგივე აღიშური ხელნაწერი უჰაეო ფორმებს იძლევა (აბრაამ), ჯრუჰ-პარხლისაში კი სისტემებრ ძველი ტრადიციისა დატული — ჰაეიანი ფორმებია (აბრაჰამ). ბერძნულში ხმოვნებს ჰ შეიძლება ანლაუტში მიუძღოდეს, ინლაუტში კი არა. ამიტომ აქ ჰ არ არის და ორი ა ზედიზედ მოდის: Ἀβραάμ. აღიშის ოთხთავი ამ სახელის წერაში სწორედ ბერძნულის მიხედვით არის შესწორებული. რადგანაც ჰ არც სლაურშია (Авраам, რომელიც აგრეთვე ბერძნულიდან მოდის), ამიტომ ირაკლისეულ ოთხთავში, ბ-ში, ყველგან უჰაეო ფორმებია გატარებული, ყველგან აბრაამ იკითხება; მაგ., მამა გვვის ჩნ აბრაამი (მათ. 3, 9). სამაგიეროდ სამოციქულოში ჰაესთვის არსად ხელი არ უხლიათ, ყველგან ჰაეიანი ფორმა იკითხება (საქმე, 7, 2; 13, 26; რომ. 4, 1; 4, 12; გალ. 3, 6; 4, 22; ებრ. 6, 13; 7, 1 და სხვ.).

ბ) ისაჰაკ. ამ სახელშიც მოსალოდნელია ჰ (ისაჰაკ), მაგრამ უკვე ძველ ოთხთავში უჰაეო ფორმებია და რა გასაკვირველია, რომ ირაკლისეულშიც აგრე იყოს, მაგ., აბრაამის თანა და ისაჰაკის თანა (მათ. 8, 11).

გ) აჰრონ. ეს სახელი ერთხელ გვხვდება ოთხთავში (ლუკ. 1, 5) და ოთხჯერ — სამოციქულოში (საქმე 7, 40; ებრ. 5, 4; 7, 11; 9, 4) და ყველგან ტ-ში ჰაეთი (ოლონდ ებრ. 9, 4 შეცდომით: კუერთხი იგი ჰარონისი. უნდა: აჰრონისი). ირაკლისეულ ოთხთავსა და სამოციქულოში (ს) ეს სახელი ყველგან ვერეჰა დატოვებული, როგორც პირველ გამოცემაშია, ე. ი. ჰაეიანი ფორმებია გამეორებული. აგრეჰა მომდევნო გამოცემებში (1778), გარდა უკანასკნელისა (17), სადაც ოთხჯერ აჰრონ იკითხება, ერთხელ კი — ბერძნულ-სლაურის მიხედვით გაკეთებული ფორმა აარონ (ლუკ. 1, 5).

ამ სახელის ხალხურ გამოთქმაში არც ჰაე არის და არც ორი ა (არონ), ამისაგანაა ნაწარმოები გვარი ჭანური გაფორმებით (არონიში), რომელსაც ძე დაქრთვია: არონიშიძე.

დ) იოჭანე. ასეთი ფორმა მხოლოდ ხანშეტ ძველშია დადასტურებული და ზოგჯერ აღიშურ, ოთხთავშიც (მათ. 3, 1; 3, 11; 11, 11-13 და სხვ.), მაგრამ ჯრუჭ-პარხლის ოთხთავში იოჯანე იკითხება უფელგან. პირველ გამოცემაში კი იოანე არის და ეგვეუ ფორმაც ვატარებული ო-ში და მომდევნო გამოცემებშიც.

ე) იოჭანა. ეს ქალის სახელი ორჯერ გვხვდება ოთხთავში (ლუკ. 8, 3; 24, 10) და ძველ ხელნაწერებში ორივეგან ჰაეთი. პირველ გამოცემაში იოანა იკითხება, ბერძნულის კვალობაზე. ეგრევეა ო-ში და მერმინდელ გამოცემებში.

ვ) ჰეროდე. ეს სახელი ოთხთავში ბევრჯერ გვხვდება და ძველ ხელნაწერებში ყოველთვის ამ ფორმით: ჰეროდე. პირველ გამოცემაში ამავე ფორმით გვხვდება, მაგრამ ანტონის კურთხევით გამოსულ სახარებაში (ო-ში) ეველგან იროდი არის დაბეჭდილი. შემდგომ გამოცემებშიც იროდი არის, რომელიც ანტონისა და მისი სკოლის წყალობით დამკვიდრებული ფორმაც, რამდენადაც სლავური ბიბლიის გავლენით გამტკიცებული.

უთუოდ აღსანიშნავია, რომ მოციქულთა საქმეში 3 აღდგენილია (ან, უკეთ, ხელ-უხლებელია), მაგრამ ენების ნაცვლად ინები იკითხება: ქელი მიჰყო ჰეროდე მეფემან, 12, 1; ქელთაგან ჰეროდისთა, 12, 11; ჰეროდი შეიმოსა 12, 21 და სხვ. ასე რომ მიღებულია შერეული ფორმა (ჰეროდი), რომელიც არც მთლად ძველია და არც მთლად ახალი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში გადარჩენილია ძველი ფორმა ჰეროდე (საქმე 4, 27 ო), რომელიც მერმინდელ გამოცემებშიც შეორდება (1716).

ზ) ჰეროდა. ჰეროდე კაცის სახელია, ჰეროდა (ან ჰეროდა-და) — ქალისა. ოთხთავში ნახსენები ჰეროდა იყო რძალი (მშის ცოლი) ჰეროდესი. ძველი რედაქციის ოთხთავებში ჩვეულებრივ ჰეროდა გვხვდება, მაგრამ ერთხელ იქაც უჰაეოდ: ეროდადსთვს (მათ. 14, 3 ჯრუჭ-პარხ.). ვახტანგის გამოცემაშიც ჰაეიანი ფორმა იხმარება და პირველ ხმოვნად ე არის (ჰეროდა, ჰეროდადა): მარკ. 6, 17; 6, 19; 6, 22; ლუკ. 3, 19 და სხვ.

ო-სა და მომდევნო გამოცემებში იროდია (ან იროდადა) არის დამკვიდრებული, ოღონდ 1-ში მერყეობაა; იროდია იკითხება მათეს თავში, ჰეროდადა კი — მარკოზისა და ლუკასაში უფელგან.

პ) ჰეროდონ. ეს სახელი ვახტანგის გამოცემაშიც უჰაეოდ არის ნახმარი: კითხვა არქუთ ეროდიონს (რომ. 16, 11). მოსალოდნელი იყო, რომ ირაკლიანულ სამოციქულოში იროდიონ იქნებოდა, მაგრამ არა: იქაც ეროდიონ იკითხება, რომელიც მერმინდელ გამოცემებშიც დარჩა. ხალხში მაინც საყოველთაოდ ინიანმა ფორმამ გაიკაფა გზა: იროდიონ ევლოშვილი, იროდიონ სონდულაშვილი და სხვ.

თ) ჰურია. ახალი აღთქმის ძველ ხელნაწერებში ეს სიტყვა ყოველთვის ჰაეთია წარმოდგენილი; მაგ., სამსავე შატბერდულ ოთხთავში ერთი შემთხვევატ კი არ არის, რომ ჰურია, რომელიც ბევრჯერ იხმარება (განსაკუთრებით იოანეს სახარის, რომ ჰურია, რომელიც ბევრჯერ იხმარება (განსაკუთრებით იოანეს სახარის,

რებაში), უჭაუოდ იყოს. აგრევეა პირველ ნაბეჭდო ოთხთაჲშიც (C-ში). სულ სხვა ვითარება გვაქვს „ღრამმატიკისა კანონსა ზელა“ გამართულ ოთხთაჲში (D-ში). აქ თითქმის ყველგან უჭაუოდ ფორმა იკითხება (ურია), ჰე გადარჩენილა მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში (ჰურია: მათ. 2, 2; 27, 37).

რაც შეეხება სამოციქულოს, იქ ჰაეიანი* ფორმები იკითხება, რაც შეიძლება შემთხვევითი არ იყოს: სამოციქულო რომ დაიბეჭდა (1791 წ.), ანტონი I, ბე აესე მეფისა, უკვე აღარ იყო ცოცხალი და პატრიარქად იყო ანტონი II, ბე ირაკლი მეორისა.

ორიოდე მაგალითი სამოციქულოდან: ვიქმენ ჰურიათა თანა ვითარცა ჰურიაჲ, რა ჰურიათა შევიძინნე (1 კორ. 9, 20. აგრე იკითხება არა მარტო C4L-ში, არამედ D-შიც); ვარქუ პეტრეს წინაჲე უოველთასა: უკეთუ შენ ჰურია ხარ და წარმართებრ და არა ჰურიაებრ სცხონდები, ვითარ აძულე წარმართთა ჰურიაებად? ჩუენ ბუნებით ჰურიათა ვართ და არა წარმართთაგანნი ცოდვილნი (გალ. 2, 14 — 15 C4L; სცხონდები... ცოდვილნი D). C-ში არც ამ მაგალითებშია შენახული ჰ. სხვა მაგალითებს D-დან ვუჩვენებ კონტექსტის გარეშე: ჰურია (რომ. 2, 17; 2, 28; 2, 29; გალ. 2, 14; კოლ. 3, 11, D-თი 3, 8); ჰურიაჲ (რომ. 8, 24); ჰურიისა (საქმე 10, 28; 16, 1; 19, 14; რომ. 1, 16; 3, 1; 10, 12); ჰურიათა (საქმე 18, 12; 1 კორ. 9, 20; გალ. 2, 13); ჰურიათა (საქმე 19, 13); ჰურიათა, საქმე 2, 14); ჰურიაება (გალ. 3, 28); ჰურიაებასა (გალ. 1, 13; 1, 14).

(ჰ)ურია სიტყვის ბელი, ჰაეს ხმარების საკითხში, გაიზიარა მისგან ნაწარმოებშია (ჰ)ურიასტნ-მა, რომელიც D-ში ჩვეულებრივ უჭაუოდ იხმარება: ურიასტანი (მათ. 24, 16; მარკ. 3, 7; 13, 14; ლუკ. 2, 4; 7, 17, 21, 21; 23, 5; იო. 4, 47; 7, 1). აქა-იქ გადარჩენილა ჰაეიანი ფორმაც: ჰურიასტანი (მათ. 2, 1; 2, 5; 2, 22; 3, 5).

ი) ჰამბავი. ეს სიტყვა D-ში უმეტესად ჰაეთი იწყება (მათ. 4, 24; 9, 26; 24, 6; მარკ. 1, 28; ლუკ. 4, 37), მაგრამ გვხვდება უჭაუოდ ფორმაც: ამბავი (მათ. 14, 1; ლუკ. 4, 14). ხ სამჯერ აკლებს ჰაეს: ამბავი (მათ. 14, 1; ლუკ. 4, 14); ამბავნი (მათ. 24, 6). სამაგიეროდ C-ში მხოლოდ ერთხელ გადარჩენილა ჰ: ჰამბავი (ლ. 4, 37), სხვაგან ყველგან ამბავი იკითხება.

ამგვარად, ეს სიტყვა ოთხთაჲში თანდათან გაახალქართულდებულა.

ია) ანგაჰრ-ი და მისგან ნაწარმოები სიტყვები. ზედსართავის ფუძე ანგაჰრ ძველად ყოველთვის ჰაეთი იწყებოდა, რამაც C-შიც იჩინა თავი. ღრამმატიკის კანონებზე გამმართველის აზრით კი ჰაე ამ სიტყვაში არ არის საჭირო; მაგალითები: არა მელჰნე, არა ანგაჰრ, არა საძაველის შემძინელ (1 ტიმ. 3, 3) C4L, არა ანგარ D; შინაგან გულისაგან კაცთასა გამოუღუნან გულის სიტყუანი პოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, კაცის კლვანი, ანგაჰრებანი და უკეთურებანი (მარკ. 7, 21 — 22) C4, ანგარებანი D; ეკრძალენით და დაიცვენით თავნი თქვენნი ყოველისაგან ანგაჰრებისა (ლუკ. 12, 15) C4, ანგარებისა D; ნუ უკუტ რომელი-იგი მივაფლინე თქუენდა, მის მიერ მოშურაჲ განჰგარე თქუენ? (2 კორ. 12, 17). უეჭველია, აქ ბეჭდვის შეცდომაა და ჰ გადმოსმულია. (ეს შეცდომა C4L-შიც არის განმეორებული). თუ მას თავის ალავას აღვადგენთ, გვექნება: მო- შე რაჲ - განგაჰრე, რომელიც სამ-პირიანი ფორმაა ანგაჰრება ზმნისა საარვისო ქცევით. ზოგჯერ უჭაუოდ ფორმები C-შიც

რებაში), უჭაეოდ იყოს. აგრევეა პირველ ნახეჭლ ოთხთავშიც (C-ში). სულ სხვა ვითარება გვაქვს „ღრამმატიკისა კანონსა ზედა“ გამართულ ოთხთავში (D-ში). აქ თითქმის ყველგან უჭაეო ფორმა იკითხება (ურია), ჰაე გადარჩენილა მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში (ჰურია: მათ. 2, 2; 27, 37).

რაც შეეხება სამოციქულოს, იქ ჰაეიანი* ფორმები იკითხება, რაც შეიძლება შემთხვევითი არ იყოს: სამოციქულო რომ დაიბეჭდა (1791 წ.), ანტონი I, ძე იესე მეფისა, უკვე აღარ იყო ცოცხალი და პატრიარქად იყო ანტონი II, ძე ირაკლი მეორისა.

ორიოდე მაგალითი სამოციქულოდან: ვიქმენ ჰურიათა თანა ვითარცა ჰურიაჲ, რა ჰურიანი შევიძინნე (1 კორ. 9, 20. აგრე იკითხება არა მარტო C4L-ში, არამედ D-შიც); ვარქუ პეტრეს წინაშე ყოფელთასა: უკეთუ შენ ჰურია ხარ და წარმართებრ და არა ჰურიაებრ სცხონდები, ვითარ აიძულებ წარმართთა ჰურიაებად? ჩვენ ბუნებით ჰურიანი ვართ და არა წარმართთაგანნი ცოდვილნი (გალ. 2, 14 — 15 C4L; ჰსცხონდები... ცოდვილნი D). I-ში არც ამ მაგალითებშია შენახული ჰ. სხვა მაგალითებს D-დან ვუჩვენებ კონტექსტის გარეშე: ჰურია (რომ. 2, 17; 2, 28; 2, 29; გალ. 2, 14; კოლ. 3, 11, D-თი 3, 8); ჰურიაჲ (რომ. 8, 24); ჰურიისა (საქმე 10, 28; 16, 1; 19, 14; რომ. 1, 16; 3, 1; 10, 12); ჰურიანი (საქმე 18, 12; 1 კორ. 9, 20; გალ. 2, 13); ჰურიათა (საქმე 19, 13); ჰურიახო, საქმე 2, 14); ჰურიაება (გალ. 3, 28); ჰურიაებასა (გალ. 1, 13; 1, 14).

(ჰ)ურია სიტყვის ბელი, ჰაეს ხმარების საკითხში, ვაიზიარა მისგან ნაწარმოებ-მა (ჰ)ურიასტ-მა, რომელიც D-ში ჩვეულებრივ უჭაეოდ იხმარება: ურიასტანი (მათ. 24, 16; მარკ. 3, 7; 13, 14; ლუკ. 2, 4; 7, 17, 21, 21; 23, 5; იო. 4, 47; 7, 1). აქა-იქ გადარჩენილა ჰაეიანი ფორმაც: ჰურიასტანი (მათ. 2, 1; 2, 5; 2, 22; 3, 5).

ა) ჰამბავი. ეს სიტყვა D-ში უმეტესად ჰაეთი იწყება (მათ. 4, 24; 9, 26; 24, 6; მარკ. 1, 28; ლუკ. 4, 37), მაგრამ გვხვდება უჭაეო ფორმაც: ამბავი (მათ. 14, 1; ლუკ. 4, 14). ხ სამჯერ აკლებს ჰაეს: ამბავი (მათ. 14, 1; ლუკ. 4, 14); ამბავნი (მათ. 24, 6). სამაგიეროდ I-ში მხოლოდ ერთხელ გადარჩენილა ჰ: ჰამბავი (ლ. 4, 37), სხვაგან ყველგან ამბავი იკითხება.

ამგვარად, ეს სიტყვა ოთხთავში თანდათან ვახალქართულებულა.

ბ) ანგაჰრ-ი და მისგან ნაწარმოები სიტყვები. ზედსართავის ფუძე ანგაჰრ ძველად ყოველთვის ჰაეთი იწყრებოდა, რამაც C-შიც იჩინა თავი. ღრამმატიკის კანონებზე გამმართველის აზრით კი ჰაე ამ სიტყვაში არ არის საჭირო; მაგალითები: არა მეღუნე, არა ანგაჰრ, არა საქაგელის შემძინელ (1 ტიმ. 3, 3) C4L, არა ანგარ D; შინაგან გულისაგან კაცთასა გამოვლენან გულის სიტყუანი ბოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, კაცის კლჳანი, ანგაჰრებანი და უკეთურებანი (მარკ. 7, 21 — 22) C4, ანგარებანი D; ეკრძალენით და დაიცვენით თავნი თქვენნი ყოვლისაგან ანგაჰრებისა (ლუკ. 12, 15) C4, ანგარებისა D; ნუ უკუტ რომელი-იგი მივაფლინე თქუენდა; მის მიერ მოჰყრაჲ განჰგარე თქუენ? (2 კორ. 12, 17). უეჭველია, აქ ბეჭდვის შეცდომაა და ჰ გადმოსმულია. (ეს შეცდომა 4L-შიც არის განმეორებული). თუ მას თავის ალაგას აღვადგენთ, გვექნება: მო-მე რაჲ -განგაჰრე, რომელიც სამ-პირიანი ფორმაა ანგაჰრება ზმნისა საარვისო ქცევით. ზოგჯერ უჭაეო ფორმები C-შიც

გვხვდება: არცა შიზენითა ანგარებისათა (1 თეს., 2, 5) ო; რა არა მივიანგარ-
ნეთ ჩვენ უმპაკისაგან (2 კორ. 2, 11) ო.

გამოსავალი ფორმის აღდგენა

„ღრამმატიკისა კანონსა ზედა განმართუა“ მოითხოვს, რომ სიტყვის ფორმა
ნათელი იყოს, რომ არ იყოს იგი დაბნელებული ფონეტიკური წესების ჩარევის
გამო. აქედან გამომდინარეობს, რომ გამოსავალი ფორმა იყოს აღდგენილი. ამი-
ტომ არა მაც, გაც, აც, როგორც ეს არის ძველ ხელნაწერებში და პირველ ნა-
ბეჭდ წიგნებში (ო-ში), არამედ მამს, გამს, ამს: უნებელი ზედა-მამს მისლვად
(ლუკ. 14, 18); ჯაჭუ ესე ზედა-მამს (საქმე 28, 20).

მსგავსი ფითარებაა თანა-მაც და ძალ-მიც ზმნათა ხმარებისას: აქაც ო-ში
ც-ს ნაცვლად მს იკითხება: თანა-მამს, ძალ-მიმს. მაგალითი პირველი ზმნისა:
ქსჯულისა ჩუქნისაებრ თანა-ამს სიკუდილი (იო. 19, 7). შდრ. „ესე გუარსა სამიე-
ბოსა თანა-ამს შესაწყობ-ყოფაა მძიებელისა ბუნებისა“ (ღრამ. გ 347); „თანა-გუამს
თქმად“ (იქვე); რაოდენი თანა-გამს უფლისა ჩემისა? (ღრამ. გ 347); „თანა-გუამს
თანა-გამს? (ლუკ. 16, 7); თქვენცა თანა-გამსთ (იო. 13, 14). ეს ფორმები ო-დან
მომდევნო გამოცემებში გადასულია უფელა, გარდა უკანასკნელისა: თანა-გამსთ
ფორმის ბოლო თანხმოვანი თ ო-ში არის, მაგრამ ჩამოშორებულია ხ-ში.
მეორე ზმნა სხვადასხვა პირის ფორმით მრავლად გვხვდება ახალი აღთქმის
წიგნებში. მოვიყვანო რამდენიმე ნიმუშს: ძალ-მიმს დარღვევად ტაძარი ესე
(მათ. 26, 61); ძალ-გამს განწმედად ჩემდა (მარკ. 1, 41); ძალ-უმს აღდგინებად
(ლუკ. 3, 8); ჰრქუა მათ: ძალ-გიმსთა შესუქმად...? ხოლო მათ ჰრქუეს: ძალ-გამს
(მათ. 20, 22).

ეს ფორმებიც უფელა გამოჩნდებიან შემდგომ გამოცემებში. რა თქმა უნდა,
ისინი თვით ანტონის ღრამმატიკიდან მოდიან, მაგ., თანა-გამსთ (გვ. 118), თანა-
ამს (ზედა-დართ. გვ. 44, 45, 52). აქედან ჩანს, რომ ანტონი გაურბის მს კომ-
პლექსის შერწყმას.

ოს დაბოლოება

ბერძნული ოს დაბოლოებიანი საკუთარი და საზოგადო სახელები, ქართულ-
ში შემოსვლისას, მერყეობას იჩენენ: ზოგჯერ რჩება ოს, ზოგჯერ კი იგი ოზ-
ად იქცევა. ჯრუჭ-პარხლის ოთხთავში საკუთარი სახელი ნიკოდემოს უოფელთვის
ოს-ით გვხვდება, მაგრამ აღიშურში ხან ოს-ით არის (იო. 3, 9; 7, 50; 19, 39),
ხანაც ოზ-ით (ნიკოდემოს, იო. 3, 1; 3, 4); ლებეოს-სა და თადეოს-ს ლებეოს-ი
და თადეოს-ი ენაცვლება შესაბამისად (მათ. 10, 3); გვხვდება აგრეთვე როგორც
ძალქოს, ისე ძალქოზ (იო. 18, 10). მსგავსად ამისა, მათეოს-ს (მათ. 9, 9 ჯრ.-ბ.)
ოს-იანი ფორმა ენაცვლება: მათეოს, მატეოს (აღიშ., იქვე). გვხვდება როგორც
არქელაოს (ჯრუჭ-პარხ.), ისე არქელაოზ (აღიშ., პირვ. გამოცემა). სამავთროდ
მარკოზ-ი უფელგან ოზ-ით გვხვდება: სახარებაა მარკოზისი (აღიშ.), სახარებაა
მარკოზის თაფისა (ჯრ.-პარხ.) ან ევანგელქ მარკოზის თაფისა (ძველი
ლექციონარის ერთ ნაწილში: ქართ. ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 168).

ოზ-ითვე დამკვიდრდა საკუთარი სახელი გაიოს. სინა-რათის მამათა მოსრვის ამბავში (სინ. მრავალთავი, 266-279) ვხვდებით ოს-იანი სახელები: ამონიოს (266, 3; 279, 30), თევდოლოს (267, 14; 279, 19), მაგრამ აგრეთვე ოზ-იანიც: ობელიანოზ ან ობლიანოზ (270, 17; 270, 21). საზოგადო სახელთაგან იმავე ძეგლში ვხვდებით როგორც ოს-იანი, ისე ოზ-იანიც: ბარბაროსი (266, 2), სარკინოზი (267, 26; 269, 10). ფილოსოფოსი და ეპისკოპოსი (ეპისკოპოსი) ქართულში საზოგადოდ უფრო ოს-ით იხმარებოდა ძველად, კათალიკოსი კი — ისეც და ასეც (ოს-ით და ოზ-ით). გიორგი მერჩულე ამბობს, რომ ვრ. ხანძთელის „ცხოვრება“ დაიწერა: კათალიკოსობასა მიქელისსა, მაგრამ იქვე: მაგისტროსობასა აღარწერსქსსა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა (83, 7, 10). ხანძთელის ცხოვრებაში საზოგადოდ კათალიკოსი ვხვდება (მაგ., 19, 7; 42, 78; 47, 78), მაგრამ ოს-იანიც არის: იუანე კათალიკოს ქართლისა უოფლისა 42, 117. სამაგიეროდ ეპისკოპოსი უოფელთვის ოს-ით არის: ეპისკოპოს იქმნა აწყურისა 42, 4 და სხვაგან (მაგრამ შდრ.: ქართლისა კათალიკოს იქმნა 42, 7). ლეონტი მროველმა გამოგონილი ეთნარქების სახელებს ოს-ი მისცა დაბოლოებად: ჰაოს, ქართლოს, ეგროს, ლეკოს და სხვ., მაგრამ ერთ ხელნაწერში ლეკოზ-იც იკითხებაო¹.

ანტონი კათალიკოსი მტერი იყო მერყეობისა, მას წესები ჰქონდა შემოღებული და საჭიროდ მიაჩნდა, რომ ბერძნულიდან მომდინარე ოს დაბოლოებათ სახელებში დაცული უოფილიყო ოს და არ ქცეულიყო იგი ოზ-ად. „წუობის სიტყვაობა“-ში ის წერს: „თჳს ნიკოლოს კათოლიკოსისა“² (ამბ. 652). მის ღრამმატიკაში ვერ ვიპოვით რაიმე დებულებას იმის შესახებ, რომ ოს უნდა, მაგრამ მისი ღრამმატიკის კანონთა მიხედვით გამართულ ძეგლებში, კერძოდ სახარებასა და სამოციქულოში, ეს წესი გატარებულია:

გაიოს: გაიოსს საუწარელსა (3 იო. 1, 1).

მარკოს. მარკოს მახარებლისათჳს (შესხმა ღოროთეს მიერ, გვ. 98). მარკოს აღადგინე (2 ტიმ. 4, 11); რომელსა წოდებულ იყო მარკოს (საქმე 12, 25). ახალი აღთქმის პირველ ნაბეჭდში (C-ში) აქ ყველგან ოზ-იანი ფორმებია. იმავე C-ში ოთხთავის მეორე წიგნის გვერდების სათაურად ყველგან „სახარება მარკოზისი“ იკითხება, ირაკლისეულ გამოცემაში კი ოს-იანი ფორმაა ყველგან: სახარება მარკოსისი. ამას გარდა, ზემორე მოხსენებულ პირთა სახელებს (სახარებიდან) ყველას ოს აქვს დაბოლოებად (ნიკოდიმოს, ლებეოს, თადეოს, მატთეოს) და მხოლოდ მალქოზ-ში გადარჩენილა ოზ.

ამ მხრივ უფრო დამახასიათებელია ანგელოზი, რომელიც ძველ ძეგლებსა და ოთხთავის პირველ გამოცემაში ოზ-ით იხმარება. ოთხთავში იგი მრავალჯერ ვხვდებით და არ არის შემთხვევა, რომ ან ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერში, ან აღიშისაში ეგ სიტყვა სადმე ოს-ით იყოს დაწერილი, როგორც აჩენს გამოცემა და ი. იმნაიშვილის შედგენილი სიმფონია³. მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი ოს-

¹ ქართლის ცხოვრება, I (ს. უახშიშვილის გამოცემა), გვ. 4.
² ანტონის მიხედვით უნდა იწერებოდეს „კათოლიკოსი“.
³ მართალია, ამ სიმფონიაში ერთხელ ნაჩვენებია, პარხლას ხელნაწერის მიხედვით, ოს-იანი ფორმაც (გამოჩინებააეცა ანგელოზისა, ლუკ. 24, 23), მაგრამ ხელნაწერში ეს სიტყვა ქარაგმით უოფილა დაწერილი: ანგელისა.

ანუ ოსესის გამართული წიგნებიდან: აჰა ანგელოსი (მათ. 1, 20); ანგელოსი უფლისა ეტყოდა ფილიპეს (საქმე 8, 26); ანგელოსმან უფლისამან (მათ. 1, 24); ქრქა ზაქარია ანგელოსსა მას (ლუკ. 1, 18); ანგელოსისა მის თანა (ლუკ. 2, 13); ანგელოსნი მოვიდეს (მათ. 4, 11); ჰრქუეს მას ანგელოსთა მათ (მო. 20, 13).

ოსიანი ფორმები საბოლოოდ დამკვიდრდა და მომდევნო გამოცემებშიც გატარეს.

მათე

განცალკევებით დგას ეს სახელი, რომელიც ძველ ხელნაწერებში უოველ-თვის მათე-ს ფორმით იწერება. პირველ გამოცემაშიც, რა თქმა უნდა, მათე იკითხება. წინათ არავის ფიქრად არ მოჰსვლია მისი შეცვლა. მაგრამ ბერძნულად იგი ზომ Ματθαῖος არის, საიდანაც მივიღეთ სლავური Matthei (ახალი ორთოგრაფიით Matpell, ხალხური გამოთქმით Matbeŭ). მაშასადამე, ქრისტიანობის ჩვენში გავრცელებისა და დამკვიდრების ხანიდან შემოსული ფორმა მცდარი უოფილა და საჭიროა შესწორებაო, უფიქრია ანტონის. ამან წარმოშვა მატთე, რომელიც ძნელია წარმოსათქმელად, მაგრამ რა ვუფოთ! წესი წესია! ამიტომ ანტონისეულ ოთხთავეში იკითხება: „შესხმა წმიდისა მატთესი, ქმნილი სოფრონის მიერ“. მათეს სახარების ფარგლებში გვერდების სათაურად უფელგან დაბეჭდილია: სახარება მატთესი. 77-ს რამდენადმე გადაუხვევია ანტონის ორთოგრაფიისაგან: აქ სათაურია „სახარება მათესი“, თუმცა შესავალში აქაც იკითხება: „შესხმა წმ. მახარებელისა მატთესი“. 8-ს სათაურად აქვს „სახარება მათესი“, შესავალი კი აქლია. შესავალი არც 1-შია, მაგრამ სათაურია: „სახარება მატთესაგან“.

ახალი ფორმა (მატთე), ბერძნულის მისეღვით გაკეთებული, ისე გამტკიცდა, რომ ეკლესიებში გარკვევით წარმოთქვამდნენ ტთ ჯგუფს (კარვალ მახსოვს ჩემი სოფლის მღვდლის ბესარიონ ჯაშის ტკბილი ბარიტონით და არტიტული გემოვნებით წარმოთქმული: „მატთესაგან წმიდისა სახარებისა საკითხავი“).

ახალი ბერძნული გამოთქმის კვალობაზე

ბერძნულმა ენამ თავის განვითარების ისტორიაში დიდი ცვლილებანი განიცადა როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების გამოთქმის მხრივ.

ხმოვანთაგან დიფთონგები (ჲ, ჳ, ი:) მონოფთონგებად იქცა, ხოლო 7, (ეტა), რომელიც ერთგვარი ე იყო, გრძელი და დახურული, შემდეგში ი-დ იქცა (იტა-დ); თანხმოვანთაგან 3, 7, 4, 7 დაახლოებით ისე გამოითქმოდა ძველად, როგორც ქართული ბ გ ფ ქ (შესაბამისად), მაგრამ შემდეგში მათი გამოთქმა გადაწეულ იქნა უან და მივიღეთ: ვ ღ ძ ხ (შესაბამისად). ბერძნულიდან ძველად შეთვისებულ სიტყვებში 7, ე-დ გაღმოდით (ამენ, ელია, ჰეროდე, იერუსალემ), 3-ბ-დ (ბასილუგები 7, ე-დ გაღმოდით (ამენ, ელია, ჰეროდე, იერუსალემ), 3-ბ-დ (ბასილი), 7-გ-დ (გაბრიელ), 4-ფ-დ (ფილიპე), ხოლო 7-ქ-დ (არქიმანდრიტი). მიუხედავად ბგერათა ცვალებისა, წერა ბერძნულში იგივე დარჩა, როგორც ძველად იყო, თლიონდ ძველ ორთოგრაფიას დაუკავშირდა ახალი ბგერითი წარმოდგენები. შემდეგში, როცა ბერძნულში იცვალა 7, ხმოვნისა და ჩამოთვლილი მოდგენები. შემდეგში, როცა ბერძნულში იცვალა 7, ხმოვნისა და ჩამოთვლილი

თანხმოვნების გამოთქმა¹, ქართულშიც დაიწყო იმავე ბგერების გადმოღება ახალი ბერძნული გამოთქმის თანახმად: აშინ, ილია, იროდი, იერუსალიმ, ვასილი, მიხაილ და მისთ. . . ბგერათა ცვალება ბერძნულში (ძველი ბერძნულიდან ახალი ბერძნულისაკენ გადმოსვლა), სპეციალისტების აზრით, ძირითადად V საუკუნისთვის დამთავრდა², მაგრამ ძველი გამოთქმის ტრადიციები დიდხანს დარჩა ქართულში. ახალი გამოთქმის ასახვა ქართული წყაროების მიხედვით უფრო გვიან, X—XI საუკუნიდან, ხდება შესამჩნევი.

ანტონი კათალიკოსმა ბერძნულიც იცოდა. თ. ქორდანიას მოგვითხრობს, რომ ახალგაზრდა „მეფისწული თეიმურაზი (შემდეგში ანტონი I) სწავლობდა ბერძნულს ენას პამფილიის ეპისკოპოს პართენთან, რომელიც ტფილისში ცხოვრობდა და ასწავლიდა ბერძნულ ენას მოლოზანს მარინეს (ერობაში მაკრინეს), კათალიკოსის მამის დას“³.

პ. იოსელიანის ცნობით, „ოხრებისა გამო თურქთაგან საქართველომასა და ლეკთა ზედა-დაცემისა შიშითა გამოიუჭანეს [დავით-გარესჯის] მონასტრით, ჯერეთ 15 წლისა ჭაბუკი⁴, 1729 წელსა და წარიუჭანეს ოსეთისა მხარესა, სადაცა თანა-ჭუჭა მას დროსა ამას თფილისსა მყოფი პართენი პამფილიისა მიტროპოლიტი და შეისწავებდა მისგან მცირედ ბერძულსა ენასა“⁵.

ეპისკოპოსი პართენი η β γ φ χ ასოებს უთუოდ ახალი ბერძნულის წესით გამოთქვამდა და თავის მოწაფეს იმასვე ასწავლიდა, რაც თვითონ იცოდა. არც ერთმა მათგანმა, არც ოსტატმა და არც შეგირდმა, არ იცოდა ბერძნული ენის ისტორია. მაგრამ ანტონის არ შეეძლო, არ შეენიშნა განსხვავება ძველი ქართული ხელნაწერების წაკითხვასა და პართენის გამოთქმას შორის ბერძნულიდან შემოსულ სახელებში. მას უთუოდ ეჭვი დაებადებოდა ძველი ქართ. ხელნაწერებისა და პირველნაბეჭდი სახარება-სამოციქულოს ზოგი საკუთარი სახელის წაკითხვის სისწორეში. ეს ეჭვი მას კიდევ უფრო გაუძლიერდებოდა პეტრიწონული სკოლის მიმდევართა ნაწერების კითხვისას და შემდეგ ურყევ რწმენად გადაექცეოდა არქიეპისკოპოსად ყოფნისას ფლადიმირში, სადაც ის სლავურ ტექსტებს გაეცნო. სლავების გაქრისტიანება და საეკლესიო წიგნების თარგმნა ბერძნულიდან დაიწყო IX საუკუნეში, როცა ბერძნულში ბგერათა გადაწევა უკვე დიდი ხნის მომხდარი ფაქტი იყო და ბერძნული სიტყვები ახალი გამოთქმის მიხედვით გადადიოდა: არა ბასილი, არამედ Βασίλει, არა აშენ, არამედ Αμιν, არა მიქაელ, არამედ Михаил და სხვ. ყველა ამის გამო ანტონი იმ დასკვნამდე უნდა მისულიყო, რომ ბერძნული სიტყვების (უმთავრესად საკუთარი სახელების) გადმო-

¹ ამ ვეხებით მხოლოდ იმ ბგერების ცვალებას, რომელთაც მნიშვნელობა აქვს ქართლისთვის.

² А. Бодуэн де Куртене. Греческий язык. Гранат-ის ენციკლოპედიურ ლექსიკონში).

³ თ. ქორდანიას. ანტონი I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი (მოგზაური 1901, № 6—7, გვ. 863).

⁴ პ. იოსელიანი ანტონის დაბადების წლად 1714-ს ვარაუდობდა.

⁵ „წუობილ-სიტყვაობის“ წინასიტყვაობა, გვ. V—VI. პ. იოსელიანი დასძენს სქოლიომ: „ესევე პართენი ასწავებდა ბერძულს ენასა მონაზონასა მაკრინას, ირაკლი პირუტლისა ასულსა“ (გვ. VI).

კემა იმ სახით, როგორც ეს ძველ ქართ. ხელნაწერებში იყო, მცდარია და რომ საჭიროა მათი შესწორება, მით უმეტეს, რომ თვით ძველ ქართ. ხელნაწერებშიცა და პირველ ნაბეჭდში არ არის ერთგვარობა, ზოგჯერ იქაც ვხვდებით სიტყვებს ახანისა და მისი სკოლის მოღვაწეობამ საქმაო ცვლილება შეიტანა ძველი ფორმით დაშვადრებულ სახელებში.

ეტას გადმოცემა

უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ ელ-ზე გათავებული ებრაული წარმოშობის სახელები, რომელთაც ბოლო შეეცვალათ და ახალი ბერძნულის გაყვანით ილ-ად ექცათ.

ა) რაქელ (მათ. 2, 18). ძველ ხელნაწერებსა და პირველ გამოცემაში რაქელ იკითხება, ო-ში კი — რახილ, რომელიც ბოლომდე შექრჩა შერშინდელ გამოცემებს (1781).

ბ) ნათანაელ (იო. 1, 46—50). ოთხთავის ძველ ხელნაწერებსა და პირველ გამოცემაში ამ სახელს ელ აქვს, ო-ში კი — ილ (ნათანაილ), რომელიც მეორდება უველა შემდგომ გამოცემაში.

გ) გაბრიელ (ლუკ. 1, 19; 1, 26). ძველი ხელნაწერებისა და პირველი გამოცემის გაბრიელ ო-ში უკვე გაბრილ-ად არის გადასწორებული. აგრევე იკითხება ეს სახელი სახარებისა და სამოციქულოს საძიებელიში: მთავარ-ანგელოსისა გაბრილისი (13 იულისს) და „წყობილ-სიტყვაობა“-შიც: „თუ ღირსთა მამათა ათონისთა იოანესი, მამისა ევთიმისი და გაბრილისი“ (იამბ. 514); „თუ მამისა გაბრილისა ათონელისა“ (იამბ. 723), აგრეთვე ღრამ. (გ 358 თ).

დ) ეშმანუელ (მათ. 1, 23). ძველ ხელნაწერებში ეს სახელი თავში სხვადა სხვანაირად იწერება, მაგრამ ბოლოში უველას ელ აქვს: ეშმანუელ (ჯრ. -პარს.), ეშმანუელ (ადიშ.), ეშმანუელ (პირვ. გამოც.). ო-ში და მომდევნო გამოცემებში ეშმანუილ არის.

ე) ღანიელ (მათ. 24, 15). ამ სახელს ძველად უკანასკნელ მარცვალში უოველთვის ე ჰქონდა, პირველ გამოცემაშიც (ო-შიც) ავრეა. მაგრამ ო-ში უკვე დანილ იკითხება, ისე როგორც მომდევნო გამოცემებში.

ვ) ისრაელ. ეს სიტყვა მრავალჯერ გვხვდება ოთხთავის ტექსტში, მაგრამ ო-ში უმეტესად შემოკლებით იწერება. შემოკლებისას ძველი ორთოგრაფიული წესია დაცული: ი-შლ. სრულად მხოლოდ სამჯერ გვხვდება და სამჯერე ინით: ისრაილისა მიმართ (ლუკ. 1, 80); დიდებად ერისა შენასა ისრაილისა (ლუკ. 2, 32); იგი არს, რომელმან იქსნეს ისრაილი (ლუკ. 24, 21).

თავისთავად ცხადია, ო-ში, თუ სიტყვა სრულადაა დაწერილი, ისრაილი იქნება, მაგ., მათ. 10, 23 ო, ლუკ. 2, 32 ო, ლუკ. 24, 21 ო (ისრაილი) და სხვ.

შერშინდელ გამოცემებშიც უველგან ინიანი ფორმაა გატარებული. საყურადღებოა, რომ თითო-ორილა შემთხვევაში (იშვიათად ხმარებულ სახელებში) მაინც გადარჩენილა ძველი ელ: სალათიელ (მათ. 1, 12; ლუკ. 3, 27).

უანუელ (ქანოელ ო, ლუკ. 2, 36).
ზ) ნიკოდემოს (იო. 3, 1; 3, 4; 3, 9; 7, 50; 19, 39). ამ სახელზე ზემოთ გვექონდა საუბარი ოს დაბოლოებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება შესამე მარ-

ცვლის ხმოვანს, იგი ძველ ხელნაწერებში ე არის, მაგრამ უკვე ვახტანგისეულში ი არის უველგან გატარებული, ამიტომ ანტონის არც არაფერი ქონდა შესასწორებელი.

შ) ღემა. ბერძნული პირთა სახელების ს დაბოლოება ქართულში არ გადმოდის (ლუკა, ანდრია, ელია და სხვ.). ასეთივეა ღემა-ც, რომელიც სამჯერ გვხვდება სამოციქულოში: გიკითხავს ლუკა, მკურნალი საყუარელი, და ღემა (კოლ. 4, 14/15); ღემა დაშიტევა და შეიუარა სოფელი ესე (2 ტიმ. 4, 10); მაგრამ პირველსა და მეორე გამოცემაში (C4-ში) უკვე ი არის უველგან (ღიმა), ხოლო 2-ში, ალბათ სლაურის გავლენით, ერთ შემთხვევაში სანიც დაჭრთვია ბოლოს (ღიმას, კოლ. 4, 14), რომელიც უველგან გაუტარებიათ მომდევნო გამოცემებში (D718).

თ) ელია. ეს სახელი მრავალჯერ გვხვდება ოთხთავში. ძველ ხელნაწერებსა და პირველ გამოცემაში უველგან ე არის, მაგრამ 2-სა და მომდევნო გამოცემებში უველგან ილია იკითხება.

ი) ესაია. ეს სახელი ოთხთავში 13-ჯერ გვხვდება და 2-ში ყოველთვის ენით (ესაია). სამაგიეროდ ირაკლისეულ 2-ში უველგან ი არის (ისაია).

იბ) იესო. ძველის-ძველ ქართულ თარგმანებში ამ სახელს ფუძის ბოლოკიდურად ყოველთვის უ აქვს: იესუ. მაგრამ იმის გამო, რომ უ-ზე გათავებული საკუთარი სახელები ქართულში არა გვაქვს (თითო-ორილა გამოჩაკლისის გარდა, რომლებიც მეგრული ყენიდან მოდის: ლუტუ, უტუ და სხვ.), იესუ იქცა იესო-დ. ამას ხელი შეუწყო, უთუოდ, იმ გარემოებამ, რომ იესუ ჩვეულებრივ შემოკლებით იწერებოდა (ი'ყ). უნიანი ფორმა ბერძნულიდან ლათინურსა, სომხურსა და სლავურში გადავიდა: Iesus, *Исусъ* (ისუს), Исусъ. ძველი გამოთქმიდან ქართულში ე დაგვრჩა მეორე ხმოვნად (იესო), მაშინ როდესაც სლავურში ი არის.

ზეპირ გამოთქმაში ეს სახელი დიდი ხანია იესო უნდა ყოფილიყო და ამ გამოთქმას ვერც ოთხთავის პირველმა გამოცემამ აუარა გვერდი: იქ უველგან იესო იკითხება. ცხადია, შემდეგ გამოცემებშიც იესო იქნება გატარებული. კარგად ცნობილია ეს ახალი ფორმა დ. გურამიშვილის „გოდებიდან“, რომელიც 14 სტროფიანი ლექსია და რომლის ყოველ სტროფს თავი და ბოლო ერთი აქვს:

უბი, რა კარგი საჩინო რა ავად მიფიჩნიესო!

.....
.....

დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

იბ) იერუსალემ. ეგ სიტყვაც ჩვეულებრივ შემოკლებით იწერებოდა: ი'ლქმ (უფრო ხშირად ხმოვნის გადმოსვით: ი'ქლმ). ძველად იგი უთუოდ იერუსალემად იკითხებოდა, ქარაგმით წერამ ხელი შეუწყო, რომ შემდეგ, ახალი ბერძნული გამოთქმის გავლენით, მისი იერუსალიმად გადაკეთება დაჩქარებულიყო. პირველ გამოცემაში ეს სიტყვა გახსნილად იწერება: იერუსალემი (მათ. 2, 3); იერუსალემად (მათ. 2, 1; 21, 1; ლუკ. 13, 22; იო. 5, 1), ქარაგმით კი ბევრჯერ გვხვდება და არ ვიცით, რა ხმოვანია ლასის შემდეგ, მაგრამ ორიოდ შემთხვევაში ქარაგმაც არის და ლასის მომდევნო ხმოვანიც: ერთხელ ე, სამჯერ ი: ი'ქლემად (ლუკ. 16, 28); ი'ქლიმს (იო. 2, 23); წოდებითის ფორმაც: ი'ქლიმ, ი'ქლიმ (ლუკ. 13, 34).

ეს წოდებითაჲს ფორმა სხვაგანაც გვხვდება, მაგრამ არ ჩანს, რა მოხდეს დასს: ელმ, ი-ელმ (მათ. 23, 37). ამ მიმოხილვიდან ჩანს, რომ ვახტანგის გამოცემაში ირაკლის გამოცემაში უკვე ამ სიტყვის უკანასკნელ ხმოვნად ი არის გატარებული, კერძოდ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, სადაც ვახტანგის გამოცემაში ე მოცემებშიც, სახარებაშიც და სამოციქულოშიც.

ბ) ჰეროდე. ამ სახელზე უკვე გვქონდა საუბარი (გვ. 37). იდ) აშენ. ეს სიტყვა ჩვეულებრივ ქარაგმით იწერება (ან), მაგრამ, თუ გახსნილია, ძველ ძეგლებში ყოველთვის აშენ არის. მისი ამინ-ად გადაკეთება, ახალი ბერძნულის გავლენით, გვიან დაიწყო. ოთხთავის პირველ გამოცემაში (C) ეს სიტყვა მრავალჯერ გვხვდება გახსნილად და ამ შემთხვევაში ინიო (ამინ). ეს ადგილები, სადაც ამინ იკითხება: მათ. 5, 18; 5, 26; 10, 15; 11, 11; 13, 17; 16, 28; 18, 18; 23, 36; 24, 34; 24, 47; 26, 13; მარკ. 3, 28; 10, 15; 11, 23; 13, 30; 14, 6; ლუკ. 7, 9; 18, 17; 21, 32. იოანეს თავში ეს სიტყვა ჩვეულებრივ წყვილწყვილად იხმარება (ამინ ამინ) და ამათგან ზოგჯერ პირველი სრულად არის დატოვებული, მეორე — შემოკლებით, ქარაგმის ქვეშ. ეს ადგილებია: იო. 3, 11; 5, 24; 5, 25; 6, 47; 8, 51; 12, 24; 16, 20; 21, 18. აქ უფელგან ამინ ან იკითხება. რაკი ეს სიტყვა ინიო არის ვახტანგის გამოცემაში, არც არის მოსალოდნელი, რომ შემდგომ გამოცემებში აშენ იყოს. აღსანიშნავია მაინც, რომ იასე ტლაშაძე თავის კათალიკოზ-ბაქარიანში* ამ სიტყვას ინიო ხმარობს:

ხატზე შეფიცეს გულ-წმინდათ, მათვე დაუცეს აშენი (70, 1).

იე) ელი. არამეული გამოთქმა ელი, ელი, ან ელიო, ელიო („ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო“) C-ში ერთგან ინიო არის დაბეჭდილი (ელიო, ელიო, მარკ. 15, 34), მეორეგან კი ინიო (ილი, ილი, მათ. 27, 46). ეგვევი ვითარება ღარჩა ყველა მოხდენო გამოცემაში. უკანასკნელ, აღსანიშნავია, რომ ხშირად ხმარებულ სახელთაგან ხალხურ მატყუვლებში ამათში ვადარჩა ე: იესო, ვაბრიელ, დანიელ; საინტერესოა, რომ საყოველთაოდ ილია დამკვიდრდა, მაგრამ ძველი გამოთქმა (ელია) ვადარჩა წინასწარმეტყველის დღეობის სახელში (ელიობა). ამბობენ, რომ ილია ეფუძაძეს ბევრი მეგობარი ესტუმრებოდა ელიობასაო (20 ივლისს ძველი სტილით).

უკან გადაწეული ბერძნული თანხმოვნების გადმოცემა

ამ თანხმოვანთაგან ქარზე უკვე გვქონდა საუბარი და აქ მხოლოდ სხვებს შეეხები.

ა) ჰ ასოს შემცველი საკუთარი სახელები ძველად ნათარგმნ ტექსტებში (დაზოუკიდებლად იმისა, მოდიან ისინი უშუალოდ ბერძნულიდან, ასურულიდან თუ სომხურიდან) ბანს გვიჩვენებენ: აბელი, აბიათარ, აბრაჰამ, ვაბრიელ, ბართლომე, სომხურიდან) ბანს გვიჩვენებენ: აბელი, აბიათარ, აბრაჰამ, ვაბრიელ, ბართლომე, სომხურიდან) ბანს გვიჩვენებენ: აბელი, აბიათარ, აბრაჰამ, ვაბრიელ, ბართლომე, სომხურიდან)

ბ) ასოს შემცველი საკუთარი სახელები ძველად ნათარგმნ ტექსტებში (დაზოუკიდებლად იმისა, მოდიან ისინი უშუალოდ ბერძნულიდან, ასურულიდან თუ სომხურიდან) ბანს გვიჩვენებენ: აბელი, აბიათარ, აბრაჰამ, ვაბრიელ, ბართლომე, სომხურიდან) ბანს გვიჩვენებენ: აბელი, აბიათარ, აბრაჰამ, ვაბრიელ, ბართლომე, სომხურიდან)

ნებში. მაგრამ X საუკუნიდან, უშუალო ურთიერთობისას ბერძნებთან, ქართველებს უთუოდ ზოგი სახელის სხვანაირი გამოთქმა ესმოდათ, ვიდრე ძველად იყო. გიორგი მთაწმიდელი ჯერ კიდევ ბანს იცავდა ბასილის სახელში („ხოლო ბასილი და კონსტანტი მას ქამსა წუთლა ურმა იყუნეს“, ცხოვრ. იოვ. და ეფთ., 16). იმავე გიორგის სიტყვით, ეფთვიმის უთარგმნია „სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისნი“ და „ცხოვრებაჲ წმ. და დიდისა ბასილი კესარიელისაჲ,“ (ქვე, 46), მაგრამ უკველია, რომ იმდროინდელ ბერძნულში ეს სახელი უკვე გასილი იყო. და აბა რა გასაკვირველია, რომ ანტონის ვინთ მოეყვანა ეს სახელი: ქსენება დიდისა ვასილისი (1 იანვ.). თუკ მამისა ვასილისა ბაგრატის ძისა (იანვ. 716). ასეთივეა აგრეთვე გენადიკტე (14 დეკ.) და ხევასტიანე (18 დეკ.).

საზოგადო სახელთაგან შეიძლება ხერუვიში დაფიქსირდეს (ებრ. 9, 5 ორჩხ) ძველი ქერობისის ნაცვლად (გამოსლვ. 25, 17; ეზუკ. 9, 3; 10, 3 და სხვ.). ბაქარასეული გამოცემის წინასწარმეტყველთა წიგნებში (მაგ., ივრ. მე-10 თავში) ჩვეულებრივ ქეროვიშ-ი იკითხება (ე. ი. ქ შენახულია, მაგრამ ბ არა).

ბ) ბერძნული ანბანის შესამე ასოს გიორგი მთაწმიდელი ღ-ღ გამოთქვამდა, როგორც ეს მისი ანდერძიდან ჩანს, რომელთც მან დაურთო მის მიერ ნარედაქციეეს ფსალმუნთა წიგნის ქართულ თარგმანს. ამ ანდერძში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „უკუეთუ ვინცა ამას ჩუენსა შრომით და რუდუნებით ქმნილსა და უოვლითა ჭეშმარიტებითა საფსესა ნაშრომსა და აღწერილსა არა ჯერ-იყოს და კუ იტოდის, ანუ ღარ, გინა ოტი, ანუ ღმერთი და უფალი, გინა თუ რიტორიკა იყოს ანუ ფილასოფოსი, მაშა ჩუენსა ნაშრომსა ზედა ნუ ბრძნობს, ახლად თუთ ვითა გინდა თარგმნნეს სხუანი დაფითნი, არას ფზრუნავ“¹. ქართული ასოებით დაწერილ სამი ბერძნული სიტყვისგან ჩვენთვის საყურადღებოა ღარ, რომელიც ვადმოგვეცემს ბერძნ. γάρ-ს.

პეტრე მოციქულის წამებაში, რომელიც დაბეჭდილია სინური მრავალთავის მიხედვით (გვ. 245 და შემდგ.), სხვა სახელებს შორის აგრიპა-ც გვხვდება (255, 6; 255, 11; 256, 4 და სხვ.); აგრეთვე ფორმით გვხვდება იგივე სახელი მოციქულთა საქმის უძველეს რედაქციაში (26, 13, 22, 24, 25), მაგრამ მერმინდელ რედაქციებში და უძველესი რედაქციის ზოგ ხელნაწერში უკვე აღრიპა იკითხება. ო-შიც აღრიპა არის (და არა აღრიპა, როგორც მოსალოდნელი იყო). ირაკლისეულ ოთხთავში თითქო არ მოიპოვება γ ასოს დანალ ვადმოცემის მაგალითები, მაგრამ საკითხავთა საძიებლებში გვხვდება ევლენი (7 დეკ.), ღერვასი (14 ოქტ.), ჰიდასი (2 ნოემბ.), ადათია (5 თებერვ.), დალაკტიონ (5 ნოემბ.). ეს უფრო სლავურის გავლენით უნდა იყოს.

რაც შეეხება χ ასოს, მისი ხ-ღ ვადმოღების ორიოდე შემთხვევა ოთხთავიდანაც შეგვიძლია დაფიქსირდეს:

რაქელ ო. ამ სახელზე ზემოთ იყო საუბარი მისი მეორე ხმოვნის საკითხთან დაკავშირებით. ო-ში უკვე ოასილ იკითხება და იგი დარჩა უველა შემდგომ გამოცემაში (ორჩხ).

¹ მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა. წ. I (1900), გვ. 109; ქ. ქავთალიძე, ქველ ქართული ლიტერატურის ისტორია I (1960), გვ. 222.

ქორაზინ ლ. ამ აღგილის სახელის ნაცვლად ო-ში ერთგან სორაზინ იკითხება (მათ. 11, 21), მეორეგან კი გადარჩენილა ძველი ქორაზინ (ლუკ. 10, 13). ვაჟუნა გამეორებული ყველა მომდევნო გამოცემაში (1705).

იერიქო, რომელიც 5-ჯერ გვხვდება ოთხთავში და ერთხელ სამოციქულოში (ებრ. 11, 30), გადაურჩა შესწორებას ო-ში.

ბერძნულიდან შემოსული სანიანი სახელები მრავლად მოიპოვება ქართულში (პროტორე, ხარლამპი, ხარიტონ და სხვ.). ზოგჯერ, ვიწრო (ე ი) ხმოვნების წინ, ო-დ გამოდიოდა (არშიმანდრიტი, დოშიარი¹ და სხვ.). მაგრამ ჩვენთვის ამჟამად ის არის საყურადღებო, რომ ანტონის სკოლა ხ-ს ხმა-რობდა იმ სიტყვებში, რომლებშიც ძველად ქ იყო. მაგ., გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების სათაურია: „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმ. და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ“; ამ ძეგლში სხვაგანაც ვერ იკითხება: ნეტარი გრიგოლ არქიმანდრიტი (იქვე 42, 20)² და სხვ. სინური მრავალთავი დაიწერა 864 წ. „ღღუთა თველოსი პეტრე-ქისათა“, ანტონის მოწაფეებს შორის კი იყვნენ ტრიფილე არხიმანდრიტი, ზაქარია არხიმანდრიტი და ვარლამ არხიეპისკოპოსი. ხოლო თვით ანტონი კათალიკოსი იყო უოფლისა საქართველომსა პატრიარსი. ქართ. ბიბლიის ბაქარისეულ გამოცემაშიც კი მიქია იკითხება, ანტონი კი წერს: „იტყვის წინასწარმეტყველი მიხია“ (მზა-მეტე. 13).

მორფოლოგიის საკითხები

მდედრობითის ფორმები

ქართულს არ გააჩნია ფორმები, რომ გარჩეულ იქნეს ბუნებრივი სქესი ერთი ფუძისაგან ნაწარმოებ ალაშიანის ხელობისა თუ თანამდებობის აღმნიშვნელ სახელებში ან მიმღეობის ფორმებში, როგორც ეს ზოგიერთ ენაშია. მაგ., ქართულად შეჟე კაციც შეიძლება იყოს და ქალიც (ვახტანგ მეფე, თამარ მეფე), მაშინ როდესაც ზოგ ენაში საამისოდ წუვილ-წუვილი შესატყვისი მოიპოვება, ერთისა და იმავე ფუძისაგან ნაწარმოები, რომელთა მიხედვით გარჩეულია კაცი და ქალი; მაგ., rex — regina, βασιλεὺς — βασίλισσα, царь — царица, არაბ. ك (მალიქ-უნ) — ك (მალიქათ-უნ) და სხვა.

ელინოთვილოური მიმართულების დროს, XII საუკუნეში, პეტრიწონული სკოლის მიმდევრებმა ხელოვნურად შემოიტანეს ქართულში, ბერძნულის ვაჟუნით, მდედრობითის ფორმები. საამისოდ გამოიყენეს ა სუფიქსი, რომელიც დაერთვის სახელის ფუძეს. მარტივი ფუძე კაცს (მამრს) აღნიშნავს, ა სუფიქს-დართული კი — ქალს (მდედრს). მაგალითი: მ.ჟე კაცია, შეჟეა (შეჟია) კი — ქალი. ასეთი ფორმები ბიბლიის წიგნებშიც გვხვდება; მაგ., იერიქიას წინასწარმეტყველების წიგნის ბაქარისეულ გამოცემაში იკითხება: „და მყოფელთა ვუთ უოფელი სიტყუაჲ, რომელი გამოვიდეს პირისაგან ჩუენისა კუჟეკად შეჟიას ცინახა და ზორვად“.

¹ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში.

² ნ. მარის გამოცემით.

მისა საზოგადოება (იერ. 44, 17); აქ „კუმევედ მეფუას ცისასა“ გადმოგვცემს ბერძნული ტექსტის შემდეგ სიტყვებს: *ἡμεῖς τὴν παλαιάν τὴν ἐργασίαν*. ვხვდებით მოთქმა მეორედება ცოტა ქვემოთ ასეთი ფორმით: კუმევედ მეფუას ცისასა (იერ. 44, 25). მსგავსად ამისა, ებრაელ-ი არის კაცი, ებრაელა-ე კი — ქალი (იერ. 34, 6). ამგვარი მდებრი ფორმები არ გამოეპარა მხედველობიდან საღვთო წერილის წიგნებში დიდად ჩახელულ სულხან ორბელიანს, რომელიც თავის ქართულ ლექსიკონში შენიშნავს: „მამალ-დედღურითა ენითა ვაჟისათვის ითქმის ყრმა(ა) და ქალისათვის — ყრმა(ა)“¹ (ყრმა(ა)კ-თან). იგივე ლექსიკოგრაფი სხვაგან ამბობს: „უფალი — პატრონი ვაჟი, უფალა — პატრონი ქალი“ და იმოწმებს ესაიას (24, 2), სადაც იერუსალიმის ხელნაწერის მიხედვით იკითხება: „და იყოს ერი ვითარცა მღღელი, და მონაჲ იგი — ვითარცა უფალი და მჭეველი — ვითარცა დედოფალი“ (Blake — Briere-ის გამოცემით). აქ უფალი და დედოფალი ბერძნულში გამოხატულია ერთი ძირის სიტყვებით, რომლებიც ერთმანეთისაგან დაბოლოების მიხედვით განსხვავდებიან (*ὁ κύριος*, *ἡ κυρία*; *κύριος*, *κυρία*; *κύριος* ἢ *κύριος*; *κύριος* ἢ *κύριος*; *κύριος* ἢ *κύριος*; *κύριος* ἢ *κύριος*). აგრეთვე ერთი ძირის სიტყვებით შეიძლება გადაცემულ იქნეს იგივე სიტყვები ლათინურად (*dominus*, *domina*) და სლავურად (*господин*, *госпожа*) და ზოგ სხვა ენაზე. ქართულად კი ამგვარი რამ არ ხერხდება, მაგრამ ელინოფილებმა ხელოვნურად მოახერხეს: და იყოს ერი ვითარცა მღღელი და ყრმა — ვითარცა უფალი და მჭეველი — ვითარცა უფალა (ბაქარის გამოცემით). იგივე სულხანი კიდევ სხვაგან ამბობს: „იგი კაცისათვის ითქმის, იგიაჲ — დედაკაცისათვის“ და იმოწმებს ნაუმის წიგნს, სადაც ბაქარის გამოცემით იკითხება: „იგიაჲ აღვიდოდა და მჭეველი მისნი უძლოდეს“ (ნაუმ 2, 7). აქ იგიაჲ აღვიდოდა გადმოგვცემს ბერძნული ტექსტის სიტყვებს: *αὐτὴ ἐξέρχεται*.

ანტონი სწორედ ამ ადგილს იმოწმებს ნაუმიდან და ამბობს: „ამას შინა იგიაჲ უკუწ არს მღღელობითი“. თანაც დასძენს: „ხოლო თუ სადამე შესამისა მიმართ პირისა ითქმის მღღელ-ყოფა, სხუათა მიმართ პირთაცა ითქმის, გარნა უხშირეს ჩუწულ ვართ თქმად საზოგადოდ, მაგალითებრ: მკ, შენ, იგი არიან საზოგადონი, ამისთვის ვითარმედ მამრსაცა ზედა და მღღელსაცა მოიღებიან“ (ღრამ. გვ. 221).

ვერ ვიტყვით, რომ მღღელობითი ფორმების შემოტანა ქართული ენის ბუნების ცოდნის მაჩვენებელი იყოს, მაგრამ იგი ფაქტია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ანტონიც ბრძად მისდევს მას და ამგვარ ფორმას თავის ნაწერშიც ხმარობს. მაგ., ღვთისმშობელ მარიამს იგი უწოდებს „ყოფლ-გულის-ხმიერთა და მნებებელთა არსებათა უფალას“ (ღრამმატიკის დასასრულს, გვ. 298)².

ანტონის ღრამმატიკის გვ. 186 მიძღვნილია სწორედ ამ საკითხისადმი. იქ ნათქვამია: „არა რადმე აქუს ნიშანი ჩუწნისამებრ ენისა სახელსა არსებითსა მამრობითად თქმულსა და არცაღა მღღელობითად თქმულსა. ხოლო ზედ-შესრულთა

¹ მხედველობაში აქვს, ალბათ, იერ. 34, 9, სადაც ბაქარისეულ გამოცემაში შეცდომებაა დაშვებული.
² ასეთი ფორმები ვრცლად გარხეულია კ. დონდუას წერილში: *Феминизмъ в гласный в грузинском: Язык и мышление*, III — IV, 245 — 257.

სახელთა მღვდრობითად აქვს რომელთაზე დამახოლოებელი ა. მაგალითები: ვა-
საია 2, 3), უფალა (ისაია 24, 2), შეუა (იერემ. 44, 17), წინასწარ-მეტყუქლო
ერაელა (იერემ., იგივე თაუ, რიცხვ 3), მოაბელა (ისაია 15, 1)¹. მასალაზე
სა, ეშესაბამების² მღვდრობითი³.

ანტონი კათალიკოსის სკოლამ გზა გაუხსნა მღვდრობითის ფორმებს სახარე-
ში, სადაც პირველი გამოცემით ასე იკითხება: და იყო ანნა წინასწარ-
მეტყუქლო (წწ ული), ასული თანოელისი, ტომისაგან ასერისა. ო-ში ამას ასე-
თი სახე მიუღია: და იყო ანნა წინასწარ-მეტყუქლო, ასული კანოელისა, ტომისა-
გან ასერისა (ლუკ. 2, 36). ეს ფორმა დარჩა მომდევნო გამოცემებშიც და მხო-
ლოდ ო-შია აღდგენილი წინასწარ-მეტყუქლო.

მსგავსად ამისა, მარიამ მაგდალინელა იკითხება ო-ში უფლებან და არა
პარტო სახელობითში (მათ. 27, 56; 27, 61; 28, 1; მარკ. 15, 47; ლუკ. 8, 2; 24,
10; იო. 20, 1; 20, 18), არამედ მოთხრობითშიც (მარიამ მაგდალინელამან, მარკ.
16, 1).

3 და ს პრეფიქსები ზმნებში

უფელაზე უფრო დამახასიათებელია ანტონის ორთოგრაფიულ შეხედულებათა
კატარება პრეფიქსული ქაესი და სანის ხმარების წესების საკითხში. ამაზე მე უწერ-
ლი 1920 წ. გამოსულ წიგნში⁴, მაგრამ ორიოდე სიტყვის აქაც ვიტყვი. ანტონის
შეხედულებით, ზმნაში პრეფიქსული 3 უფელგან საჭიროა, სადაც მისი გამოთქმა
შესაძლებელია; იგი უფელა პირშია თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში, ხოლო,
თუ ზმნას პრეფიქსად ს უნდა მოუდიოდეს, მასაც წინ უჩნდება 3 (ქს). ამას
ვარდა, თუ ზმნა იწყება ერთ-ერთით ამ ცხრა ბგერათაგანით (ტ ღ თ; წ ძ ც;
ჭ ჯ ჩ), მის წინ უფელა პირში იხმარება 3ს ჯგუფი, მიუხედავად ამისა, რამდენ
პირიანია ზმნა და რომელი სერიისაა მისი ფორმა. მაგ., ვრბი ზმნა ასეთ ფორ-
მებს გვაძლევს ო-ში: ვჭრბი, ჭრბიელ, ჭრბიოდა, ჭრბიოდეს; სათანადო მოწმობა:
ჰე უჭრბი აწ ესრეთ ვჭრბი ო (ვრბი ო, 1 კორ. 6, 26); რომელნი-იგი ასმარუნსა
შინა ჭრბიედ, უოფელნიეე ჭრბიედ ო (რბიედ... რბიედ ო, 1 კორ. 9, 24); მიპრბიო-
დეს თხრობად ო (მიპრბიოდეს ო, მათ. 28, 8); პრბიოდა და მოვიდა სვმონ-პეტ-
რესა ო (რბიოდა ო, იო. 20, 2); პრბიოდეს ორნიეე ზოგად (რბიოდეს ო, იო.
20, 4).

¹ ანტონის ციტაცია ზოგჯერ არ არის ზუსტი. „ქველ დაბეჭდილ საწინასწარმეტყუქლოდ“
უკულისხმება, ალბათ, ვახტანგის დაბეჭდილი საწინასწარმეტყუქლო, რომლისაგან ჩვენამდე მო-
დწია მხოლოდ სამნა ცალმა.

² დაბეჭდილია: უშესაბამების.

³ ა. შან იძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე
პირისა ქართულ ზმნებში. თბ. 1920, § 58. გადაბეჭდილია ჩემს „ქართ. ენის სტრუქტურისა და
ისტორიის საკითხებზე“, 1 (1957), 221 — 223.

⁴ ჰე. ქართ. ენის კათედრის შრომები. მ.

სხვა მაგალითები ერთ-პირიან ზმნათა ფორმებისა ო-დან: „აღდგომა“ ზმნა ასეთ ფორმებს გვიჩვენებს: აღჰსდგა (მათ. 2, 14; 28, 6); აღ-რა-ჰსდგა შექდრებით (იო. 21, 14); მაშინ აღჰსდგეს უოვენლი იგი ქალწულნი (მათ. 25, 7); და ლაძინის და აღჰსდგის (მარკ. 4, 27); აღჰსდგა და წარვიდე (ლუკ. 15, 18); აღჰსდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა (მათ. 24, 7). ბრძანებითის ფორმები: აღჰსდგ და ვიდოდე (მათ. 6, 5). აღჰსდგ და წარვიდე (ლუკ. 17, 19); აღჰსდგით და წარვიდით ამიერ (მარკ. 14, 42) და მრავალი სხვა მისთანა.

ორ-პირიან ზმნათაგან მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს „პოვნა“ და „თქუმა“ ზმნათა ფორმებისას II სერიიდან:

პოვნა: ვჰპოვე ცხოვარს ჩემი წარწუმედული (ლუკ. 15, 6); არარა ვპოვა მას შინა (მათ. 21, 19) და ვპოვნა იგინი მძინარენი (მარკ. 14, 37; 14, 40. ორსავე შემთხვევაში ორი ნ არის: ვპოვნა! აგრეა აგრეთვე მათ. 16, 40); ესე ვპოვეთ (ლუკ. 23, 2); და შეჰკრიბეს უოველი რაოდენი ვპოვეს (მათ. 22, 10); და ვპოვნეს კრებულად ათერთ-მეტნი იგი (ლუკ. 24, 33); ეძიებნ განსტენებასა და არა ვპოვის (მათ. 12, 43); რომელი ეძიებდეს, ვპოვოს (მათ. 7, 8); მოვიდეს უფალი მათი და ვპოვნეს იგინს მღუძარენი (ლუკ. 12, 37); რათა ვპოვონ, ვითარმცა შეასმინეს იგ (ლუკ. 6, 7).

ამ ზმნისაგან ბრძანებითის ფორმები მე-2 პირისა არ გვხვდება ოთხთავში. მის ნაცვლად მოვიყვან „შეკრება“ და „შეკრვა“ ზმნებისას: შეკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეკვართ ძნეულად (მათ. 13, 30); ყველა მოყვანილ მაგალითში ვ არ არის საჭირო და არც მოიძოვება პირველ ნაბეჭდში (C-ში).

თქუმა: მე ვჰსთქუ (იო. 10, 34), შენ ვსთქუ (მათ. 26, 25), მათთვის ვსთქუ იგავი იგი (მარკ. 12, 12); არა კეთილად ვსთქუთა (იო. 8, 48); თქუენ რა ვსთქუთ ჩემთვის? (მარკ. 8, 29); ვსთქვან და არა ვკვან (მათ. 23, 3) და სხვ.

ბრძანებითი: ვსთქუ, რა ქვანი ესე პურ იქმნენ (მათ. 4, 3); მოვიითხეთ აც და ვსთქუთ (მათ. 10, 12).

სხვა ზმნებიდან მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვან. მაგალითები მათუდან: ვსძეს 27, 19; განჰსთენა 27, 1; განჰსთენდებოდა 28, 1; ზრახუა-ჰქუტეს 28, 12; შეჰსძრწუნდეს 28, 9; შეჰსთხზეს 27, 28; რათა მოჰკლან 27, 1; შეჰკრიბეს 28, 12; დაჰსჯდა 27, 19; 28, 2 და მისთ. მაგალითები მოციქულთა საქმიდან: ვჰსდგა 27, 6; ვჰსდგა (= იდგა 27, 41); ვჰსცხონდებოდი 26, 5; შევეჰსხელით 27, 4; დავეჰსცუენით 26, 13; განჰსძღეს 27, 38; ვჰქროდა ქარი 27, 13; მოჰკრიბეს 26, 17; აღჰსძრეს ერი 8, 11 და მისთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰაეს ხმარება სხვა ობიექტური პრეფიქსის შემდეგ: მჰკრქუა (საქმე 27, 24), მჰკრქვან (საქმე 7, 22), ვიდრემდე ვჰკრქუა შენ (მათ. 2, 13) და სახელებსა და ზმნებში სანის წინ: რაჰცა შესაძლო იყო ჩემდა განჰსჯაჲ, განშიჰსჯიეს (დრამმატიკის შეუქანილებაში), მჰსგავს (მათ. 11, 16); ვსჯულო (მათ. 7, 12; ლუკ. 16, 16 და სხვაგან); საჰსჯელი (მათ. 3, 29; 23, 33 და სხვაგან) და მისთ.

მოყვანილი მაგალითები საკმარისია იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა არეუ-დარევა შეუტანია ანტონის დრამმატიკის კანონების მოხმარებას ძველი ქართული ენის ძეგლებში. ანტონი ვერ ერკვეოდა ქართული ენის აგებულების სა-

კითხვებში, მას მცდელობა წარმოადგენდა ჰქონდა მის ძირითად თავისებურებათა შე-
სახება. ჰაე და სან პრეფიქსების რაობისათვის რომ ვერ შეუგნია, მას გაუფრტო-
მათი ხმარება უოველგვარი ზმნის ფორმაზე, სადაც კი არის საშუალება მათი ვა-
მოქმისა.

არეულია მოქმედებითისა და ვნებითი გვარის ფორმები

ახალი აღთქმის ნაბეჭდ წიგნებში ხშირია შეცდომები ზმნის გვარის ფორმე-
ბის ხმარებისას: საჭიროა მოქმედებითის ფორმა და იკითხება კი ვნებითისა,
ან პირუკუ. ეს მოვლენა პირიან ზმნებშიც გვხვდება და მიმდებარებულიც.

ა) შე- ხოლო თუ -გზო საზოგადოება მისსა, ვცხოვრებ (მათ. 9, 21). აქ ზმნა
შემოკლებით არის დაბეჭდილი ო-ში და პირდაპირ არ ჩანს, შევასო იკითხება, თუ
შევესო. ჯრუჭ-პარხლისა და აღიშის სახარებათა მიხედვით მოქმ. გვარის ფორმა
უნდა (შევესო), მაგრამ ო-ს ვნებითად გაუგია და ასე გაუხსნია: შე -ხ- თუ -ვესო.
ამგვარადვეა მომდევნო გამოცემებშიც: ორბ.

ბ) ეფედრე უფალსა, მი- ხოლო თუ -გიტოს შენ უმჯულოება გულისა შე-
ნისა (საქმე 8, 22). ო-ში აქ მოქმ. გვარის ფორმაა (მი- ხოლო თუ -გიტოს,
რომელიც მეორდება შემდგომ გამოცემებში (ლორბ.), უნდა კი ვნებითისა, რო-
გორც ეს ჩანს სხვა ფრისიებიდან და ძველი ქართული თარგმანიდანაც. პირველი
გამოცემის (ო-ს) ტექსტი რედაქციულად ემთხვევა იმ ხელნაწერებისას, რომლებიც
გამოყენებული აქვს ი. აბულაძეს (თბილისისა, ქუთაისისა და ათონის ხელნაწე-
რები). სინაზე დატულ ხელნაწერებში სხვა რედაქციის ტექსტი უოფილა, როგორც
ეს ჩანს ქ. ვარითის გამოცემიდან: ეფედრე უფალსა, მი- ხოლო თუ -გაბიანან უფ-
თურებანი ეგე ზრახვათა გულისა შენისათანი.

გ) და ვითარცა გარდაცვალა იგი, აღუღვინა იგი მათ დავით მეფულ (საქმე
13, 22). როგორც სხვა ფრისიებიდან ჩანს, აქ მოქმ. გვარის ფორმა უნდა, მაგრამ
ო-ში შეცდომით ვნებითი გვარისაა (გარდაცვალა). რომელიც ო-სა და მომდევ-
ნოებში მეორდება ორთოგრაფიის შეცვლით (გარდაცვალა). აღსანიშნავია მაინც,
რომ ო-ს მხარს უჭერს ერთი სინური და ერთი თბილისური ხელნაწერი.

დ) ამისთვისცა დავეკანე (ო და შემდგომნი უმატებენ: მრავალ ზმნის) მისლ-
ვად თქუენდა (რომ. 15, 22) ო. ინიანი ვნებითის ფორმა ო-ში (დავეკანე) ამჟამად
შეცდომად, შეიძლება კორექტურული სასიათისაც.

ე) რაქვას აღვსრულოს თქუენი ეგე მორჩილება (2 კორ. 10, 6). ეფელა გა-
მოცემაში სწორად არის, უკანასკნელში კი (ო-ში) აღასრულოს იკითხება.

ვ) ხოლო მეშინის, ნუკუე, ვითარცა-იგი გველმან აცთუნა ევა ზაკულებითა
თვისითა, ეგრეთცა განისრწნენ გონებანი თქუენნი სიწრფოებისაგან ქრისტეს მ-
მართ (2 კორ. 11, 3). ამ აღგილს კ. დანელიამ მიამტია უურადლება: ო-ში ზმნა
აქტივის ფორმით არის მოცემული (განხორწნეს), მაშინ როდესაც პასივად მოს-
ლოდნელით. მართლაც, შემოწმებამ დაადასტურა, რომ არა თუ ო-ში, არამედ
ეფელა გამოცემაში აქტივის ფორმაა: განხორწნეს (ო), განხორწნეს (ო),
ძველ ხელნაწერებშიც კი მოქმ. გვარის ფორმები უოფილა: განრეუნეს ან გან-
ხრწნეს, როგორც ეს ო-დან ჩანს.

ზ) მოკლა მტერობა იგი მას შინა (ეფეს. 2, 16) ᄀ-ში ვნებითი გვარის ფორმაა (შოიკლად), რომელიც სხვა გამოცემებშიც შეორდება. შეცდომა აღვიღებთ გამოჩნდება, თუ ვაფიქვალისწინებთ კონტექსტს და სხვა ვერსიებს (ბერძნულში, მაგ., მიმღეობაა მოქმ. გვარისა ἀπαχρῆσαι, რომელიც რუსულში დეფინიციისტიული ფორმით არის გადმოცემული: ყნух). ძველ ხელნაწერებში უოფილა მოკლა, რომელიც შედის შერწყმულ წინადადებაში: განაქარვა... მოკლა... მოვიდა და გახარა (ძ-ს მიხედვით).

ჟ) მრავალ-ფერი იგი სიბრძნე ღმრთისაა, რომელი ქმნა ქრისტე იესოს მიერ (ეფეს. 3, 11). აქ ქვეშდებარედ ღმერთმან იგულისხმება, ფორმა სწორად არის დაბეჭდილი ᄀ-სა და მომდევნო გამოცემებში, თუმცა ᄀ-ში და მისგან დამოკიდებულებში ქმნა-ს ნაცვლად ჰქმნა ჩნდება. შეცდომა კი ბველ ხელნაწერებში უოფილა (რომელი იქმნა), როგორც ეს ძ-დან ჩანს.

თ) რომელი პირველად ვიუავ მგმოძარ და მღვწელ და მაგინებელ; არამედ შევიწყალე, რამეთუ უმეცრებით ვიუავ ურწმუნობასა შინა (1 ტიმ. 1, 13). პირველ გამოცემაში (ᄀ-ში) აქ ვიუავ ორჯერ გვხვდება, რაც შეცდომაა: მეორე შემთხვევაში აქტივის ფორმაა საჭირო (უმეცრებით ვიუავ), მაგრამ შეცდომა ვერ შეუნიშნავთ და ყველა შემდგომ გამოცემაში გაუმეორებიათ (ღმრთის).

ი) არამედ რომელი-იგი ქმუნის დედათა, რომელთა აღუთქვას ღმრთის მსახურება საქმეთა მიერ კეთილთა (1 ტიმ. 2, 10) ასე იკითხება ყველა გამოცემაში, ვარდა უკანასკნელისა, სადაც შეცდომაა: აღუთქვას ᄀ.

ია) თვისთა ნებითა და მადლითა, რომელი მომეცა ჩუენ ქრისტე იესოს მიერ (2 ტიმ. 1, 9). რომ მომეცა უნდა, ამაში ეჭვი არ არის, რადგანაც ბერძნულში იკითხება: ᄀᄀ' ᄀᄀ'αυ ᄀᄀ'βᄀ'αυ ᄀᄀ'αυ ᄀᄀ'βᄀ'αυ ᄀᄀ'αυ. მაგრამ ᄀ-ში შეცდომაა: მომეცა ჩუენ, რაც გამეორებულია შემდგომ გამოცემებში (ღმრთის).

იბ) ვითარ-მე ჩუენ განფერნეთ, უკუეთუ ესოდენი-ესე უღებ-ყოთ ცხოვრება, რომელმან-იგი დასაბამი მიიღო უფლისა მიერ, მსმენელთა მათგან ჩუენდა მომართ დაბტკიცნა (ებრ. 2, 3). აქ "დაბტკიცნა" ვნებითია, უღრის დღევანდელ "დაბტკიცდა"-ს. მის ნაცვლად ᄀ-ში დაბტკიცნა იკითხება, რომელიც მოქმედებითია, მაგრამ ისეთი, რომელსაც პირდაპირ ობიექტად სახელი უნდა ქონდეს ნა-რთან მრ. -ში, ვთქვათ ასეთი: დაბტკიცნა სიგულნი. მაგრამ ასეთი ობიექტი მოუვანილ წინადადებაში არ არის, არც იგულისხმება. ბერძნულისა და სხვა ვერსიების მიხედვით აქ ვნებითია მოსალოდნელი, რადგანაც აზრი ასეთია: ხსნა ("ცხოვრება") მტკიცე შეიქნა. საკმარისია, ორი ანიდან ერთი ამოვიღოთ, რომ ფორმა გასწორდეს (არა "დაბტკიცნა", არამედ "დაბტკიცნა"). აღსანიშნავია, რომ ძველი რუდაქციის ხელნაწერებში (ძ) განბტკიცნა წერებულა. პირველი გამოცემის შეცდომა (დაბტკიცნა) ყველა მომდევნოს გაუმეორებია.

ივ) განტეუებად მომსრალთა განტეუებითა (ლუკ. 4, 18). მომსრალი ვნებითი გვარის მიმღეობაა "მო-სრ-ვა" ზმნისაგან (მე მო-ესარ, მან მო-სრა). ეს "მო-მ-სრ-ალ-ი" იმგვარადვეა ნაწარმოები, როგორც მო-მ-კულ-არ-ი, და-მ-შრ-ალ-ი და სხვა. მოქმ. გვარის მიმღეობა იქნება "მო-მსრულ-ი" და სწორედ ეს ფორმაა პირველ გამოცემაში (განტეუებად მომსრულთა განტეუებითა ᄀ), რაც შეცდომაა. მაგრამ

შეცდომისთვის არაფის მიუქცევია უურადღება და იგი არხეინად დამკვიდრებულა უველა შემდგომ გამოცემაში (427178).

იღ) სმენად უოველსა ბრძანებულსა შენდა უფლისა მიერ (საქმე 10, 33) ო. ასე იკითხება მომღვეწოებშიც, გარდა უკანასკნელისა, სადაც არის: უოველსა ბრძანებულსა, რაც უთუოდ რაღაც გაუგებრობის გამოა წარმოშობილი.

აღსანიშნავია, რომ ძველის-ძველ ხელნაწერებში სამგვარი ვარიანტია: სმენად უოველსა ბრძანებულსა, სმენად უოველისა ბრძანებულსა (ი. აბულაძის გამოცემის მიხედვით), სმენად უოველისა, რაჲ იგი ბრძანებულ არს (ქ. ვარიანის გამოცემის მიხედვით).

იე) ერთი მსხუერბლი სრულ იქმნა სამარადისოდ განწყვეილთა მათთვის (ებრ. 10, 14). ო-ში შეცდომაა, იკითხება განწყვეილთა, რომელიც შეორდება უველა მომღვეწო გამოცემაში: 427178.

არეულია მწკრივთა ფორმები

ოდ სავრცობიანი ზმნების ფორმათა წარმოება ძველად განსხვავებული იყო დ სავრცობიანი ზმნების ფორმათა წარმოებისაგან სამქ მწკრივში: უწყვეტელში, I კავშირებითში (I მყოფადში) და I ბრძანებითში¹. განსხვავების მოშლა დაიწყო XI საუკუნეში და დამთავრდა XII-ში, ოდ სავრცობიანთა ფორმები სავსებით გაუთანასწორდა დ სავრცობიანებს. მას შემდეგ უველა ზმნა ერთნაირად აწარმოებს აღნიშნულ მწკრივებს.

ნიკოლაოზი ორბელისძეს საერთოდ კარგად დაუბეჭდავს ტექსტი ძველი ნორმების მიხედვით, მაგრამ იოანე ოსესძე ვერ გარკვეულა ძველი უნის საკითხებში და ძველი ფორმები ახალი ქართულისაზე გადმოუყვანია ორსავე მის ნარედაქციევ კრებულში — სახარებასა და სამოციქულოში. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება ორ მწკრივს: უწყვეტელსა და I კავშირებითს (I მყოფადს). რაც შეეხება I ბრძანებითის ფორმებს, იოანე მათ არ შეჰხედავს, რადგანაც ისინი, მისი შეხედულებით, I კავშირებითის ფორმები იყო. იგივე ითქმის მცა ნაწილაკიანი ზმნის ფორმების შესახებ, რომლებიც ხელ-უხლებელი დარჩა. მაგალითები ნათლად წარმოგვიდგენს საქმის ფთარებას²:

ვიცოდე — ვიცოდი

უწყვეტელი

- ა) მე არა ვიცოდე იგი (იო. 1, 31; 1, 33) ო, მე არა ვიცოდი იგი ბრძნ.
- ბ) [შენ] იცოდე, რამეთუ მე კაცი ვარ სასტიკი (ლუკ. 19, 22) ო, [შენ] იცოდი ბრძნ.

¹ ა. შანიძე. სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში. საქ. მწკრივ. აკად. მოამბე, ტ. VI (1945), გვ. 835 — 844.

² მაგალითებში ბ-ხთვის წვეულებრივ მარტო ზმნის ფორმებია ნაჩვენები. სხვა გამოტოვებულია.

ამას გარდა, უოველთვის არ არის ნაჩვენები მერმინდელი გამოცემა, რომელიც საერთოდ ამ საკითხში ბ-ს ფორმებს იმეორებენ.

შეცდომისთვის არაფის მიუქცევია უურადლება და იგი არხეინად დამკვიდრებულა უველა შემდგომ გამოცემაში (42717ხ).

იღ) სმენად უოველსა ბრძანებულსა შენდა უფლისა მიერ (საქმე 10, 33) ო. ასე იკითხება მომღვეწოებშიც, გარდა უკანასკნელისა, სადაც არის: უოველსა მბრძანებულსა, რაც უთუოდ რაღაც გაუგებრობის გამოა წარმოშობილი.

აღსანიშნავია, რომ ძველის-ძველ ხელნაწერებში საზგვარი ვარიანტია: სმენად უოველსა ბრძანებულსა, სმენად უოველისა ბრძანებულისა (ი. აბულაძის გამოცემის მიხედვით), სმენად უოველისა, რაჲ იგი ბრძანებულ არს (ქ. გარითის გამოცემის მიხედვით).

იე) ერთი მსხუერპლი სრულ იქმნა სამარადისოდ განწმედილთა მათთვის (ებრ. 10, 14). ო-ში შეცდომაა, იკითხება განწმედელთა, რომელიც მეორდება უველა მომღვეწო გამოცემაში: 42717ხ.

არეულია მწკრივთა ფორმები

ოდ საფრცობიანი ზმნების ფორმათა წარმოება ძველად ვანსხვავებული იყო დ საფრცობიანი ზმნების ფორმათა წარმოებისაგან სამ მწკრივში: უწყვეტელში, I კავშირებითში (I მყოფადში) და I ბრძანებითში¹. ვანსხვავების მოშლა დაიწყო XI საუკუნეში და დამთავრდა XII-ში, ოდ საფრცობიანთა ფორმები სავსებით გაუთანასწორდა დ საფრცობიანებს. მას შემდეგ უველა ზმნა ერთნაირად აწარმოებს აღნიშნულ მწკრივებს.

ნიკოლოზ ორბელისძეს საერთოდ კარგად დაუბეჭდავს ტექსტი ძველი ნორმების მიხედვით, მაგრამ იოანე ოსესძე ვერ გარკვეულა ძველი ენის საკითხებში და ძველი ფორმები ახალი ქართულისაზე გადმოუყვანია ორსავე მის ნარედაქციევ კრებულში — სახარებასა და სამოციქულოში. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება ორ მწკრივს: უწყვეტელსა და I კავშირებითს (I მყოფადს). რაც შეეხება I ბრძანებითის ფორმებს, იოანე მათ არ შეჰხვებია, რადგანაც ისინი, მისი შეხედულებით, I კავშირებითის ფორმები იყო. იგივე ითქმის მცა ნაწილაკიანი ზმნის ფორმების შესახებ, რომლებიც ხელ-უხლებელი დარჩა. მაგალითები ნათლად წარმოგვიდგენს საქმის ვითარებას²:

ვიცოდე — ვიცოდი

უწყვეტელი

ა) მე არა ვიცოდე იგი (იო. 1, 31; 1, 33) ო, მე არა ვიცოდი იგი 717ხ.

ბ) [შენ] იცოდე, რამეთუ მე კაცი ვარ სასტიკი (ლუკ. 19, 22) ო, [შენ]

იცოდი 717ხ.

¹ ა. შანიძე. სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველს ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI (1945), გვ. 835 — 844.

² მაგალითებში ო-სთვის ჩვეულებრივ მარტო ზმნის ფორმებია ნაჩვენები, სხვა გამოტოვებულია.

ამას გარდა, უოველთვის არ არის ნაჩვენები მერმინდელი გამოცემები, რომლებიც საერთოდ ამ საკითხში ო-ს ფორმებს იმეორებენ.

| კავშირებათი

ვ) რათა გიგოდიან შენ (იო. 17, 3) Ⴀ, რათა გიგოდეჲ შენ ႠႡႢႣ.

დ) საუურადღებოა, რომ, თუ წინადადებაში ნახმარია შვა ნაწილაკი, რომელიც კავშირებითის ფორმას ვერ იგუებს, არამედ თხრობითს მოითხოვს, თხრობითის ფორმა ხელ-უხლებელი რჩება Ⴀ-ში, მაგალითი: უკუთუშვა იგოდე შენ ნიჭი ႠႡ (იო. 4, 10). ეს იმიტომ, რომ შვა ნაწილაკის სინტაქსური თვისება აღარ ესმოდათ, უთუოდ ეგონათ, თითქო აქ კავშირებითის ფორმა იყოს და ხელი არ ახლეს. ასეთივე მაგალითი: უკუთუშვა შვიგოდეჲ შე, მამაცამცა ჩემი იგოდეჲ ႠႢ (იო. 8, 13; 14, 7).

აქ, მართალია, Ⴀ დაემთხვა Ⴀ-ს, მაგრამ Ⴀ-ში ძველი ფორმაა დატოვებული, Ⴀ-ში კი ეს ძველი ფორმა ახლებურად არის გააზრებული.

უნყოფე — უნყოფი

უწვევატალი

ა) უნყოფა [შე], რ' ფიცხელი კაცი ხარ შენ (მათ. 25, 24) Ⴀ, უნყოფი ႠႡႢႣ.

ბ) უნყოფა [შენ], რ' მოვიმეი, სადა არა დავსთესი (მათ. 25, 26) Ⴀ, უნყოფი ႠႡႢႣ.

| კავშირებათი

ვ) მოვიდეს უფალი იგი მონისა მის დღესა, რომელსა არა მოულოდის, და ჭამსა, რომელი არა უწყოდის Ⴀ (მათ. 24, 50), მოულოდეს... უწყოდეს Ⴀ.

დ) რ'ა უწყოდის, რაჲ-იგი ივაჭრეს Ⴀ (ლუკ. 19, 15). უწყოდეს Ⴀ.

ე) არაფინ უწყოდის, თუ ფინ არს (იო. 7, 27) Ⴀ, უწყოდეს Ⴀ.

ვ) უკეთუ ვინმე უწყოდის, სადა არს (იო. 11, 57) Ⴀ, უწყოდეს ႠႡႢႣ.

ზ) რათა უწყოდის სოფელმან (იო. 17, 23) Ⴀ, უწყოდეს ႠႡႢႣ.

თ) რ'ა უწყოდით [თქვენ], რ' კელმწიფება აქუს (მარკ. 2, 10; ლუკ. 5, 24; 9, 6) Ⴀ, უწყოდეთ Ⴀ.

ი) თუთ უწყოდით (ლუკ. 21, 30) Ⴀ, თუთ უწყოდეთ Ⴀ (ბრძანებითის ფორმად ესმის).

ი) რ'ა სცნათ და უწყოდით (იო. 10, 38) Ⴀ, უწყოდეთ Ⴀ.

ვტიროფე — ვტიროფი

უწვევატალი

ა) ვიგოდებდით თქვენ და არა სტიროფეთ (ლუკ. 7, 32) Ⴀ. ქარავმით დაბეჭდილი ფორმა ასე უნდა იყოს წაკითხული: სტიროფეთ, მაგრამ იგი ასე ვაუხსნიან Ⴀ-ს: მსტიროფით.

| კავშირებათი (იშვოვადი)

ბ) ვაჲ თქვენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოუდეთ და სტიროფით (ლუკ. 6, 25) Ⴀ, მსტიროფეთ Ⴀ.

გ) სტიროდით და ჭკობებდეთ თქუენ, ხ' სოუელსა უხაროდის და თქუენ სწუხდეთ (იო. 16, 20) ო, ჰსტიროდეთ... უხაროდეს ო.

| ბ რ ძ ა ნ ვ ბ ი თ ი

დ) ნუ სტიართ ჩემზედა, არამედ თავთა თქუენთა სტიროდეთ და შუღთა (ლუკ. 23, 28) ო, ჰსტიროდეთ ო.

ვიტყოდე — ვიტყოდი. ვერყოდე — ვერყოდი

უ წ ვ ა ე ბ ი თ ი

ა) სიტყუასა რომელსა ვიტყოდე, მან საჯოს იგი (იო. 12, 48) ო, ვიტყოდი ო.

ბ) შე თავით თუსით არარას ვიტყოდე (იო. 12, 49), ვიტყოდი ო.

გ) ესე იგი სიტყუანი არიან, რომელთა ვერყოდე თქუენ (ლუკ. 24, 44) ო, ვერყოდი ო.

დ) ამას ვერყოდე თქუენ (იო. 14, 25; 15, 11; 16, 1; 16, 4; 16, 23) ო, ვერყოდი ო.

ე) ამას რა ვერყოდე თქუენ (იო. 16, 6) ო, ვერყოდი ო.

ვ) სიტყუთა მით, რომელსა ვერყოდე თქუენ (იო. 15, 3) ო, ვერყოდი ო.

ზ) შე განცხადებულად ვერყოდე სოუელსა... ხოლო ფარულად არარას ვერყოდე... აჰა, ამათ იცვიან, რასა იგი ვერყოდე მათ (იო. 18, 20 — 21) ო. ო-ში აქ უფელგან ვერყოდი არის.

თ) უკეთუ ბოროტსა ვერყოდე, წაზე ბოროტისათუს (იო. 18, 23) ო. ამ წინადადებაში უკეთუ არის, მასთან ზმნის ფორმა | კავშირებითად ესმის ო-ს და აჰის გამო არ ასწორებს (ვერყოდე), მეორე ზმნა კი ამ ფორმით მოჭყავს: ქწამე.

| კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

თ) აღვადო იგავით პირი ჩემი და ვიტყოდი დაფარულთა (მათ. 13, 35) ო, ვიტყოდე ო.

ი) არლარა მრავალსა ვიტყოდი თქუენ თანა (იო. 14, 30) ო, ვიტყოდე ო.

ია) არა თქუენ იყვნეთ შეტყუებულნი, არამედ სული მამისა თქუენისა, რომელი იტყოდის თქუენ შორის (მათ. 10, 20) ო, იტყოდეს ო.

იბ) ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რ' მოგეცეს თქუენ მას ქამსა შინა, რასა-იგი იტყოდით, რ' არა თქუენ იყვნეთ შეტყუებულნი, ალ სული მამისა თქუენისა, რომელი იტყოდის თქუენ შორის (მათ. 10, 19 — 20) ო, იტყოდეთ... იტყოდეთ... იტყოდეს ო.

იგ) არა იტყოდის თავით თუსით, არამედ რაოდენი-რაჲ ესმეს, იტყოდის (იო. 16, 13) ო, იტყოდეს... იტყოდეს ო.

იდ) ნუ წინასწარ ჰზრუნავთ, ნუცა იწურთით, რასა იტყოდით (მარკ. 13, 11) ო, იტყოდეთ ო.

იე) და რომელსა უწრსა ვერყოდით საუნჯეთა შინა, იქადაგოს ერდოთა ზედა (ლუკ. 12, 3) ო, ვერყოდეთ ო.

ივ) იწყით კარსა ზედა რუკად და ვერყოდით (ლუკ. 13, 25) ო, ვერყოდეთ ო.

იზ) მრავალნი მოვიდოდნან სახელითა ჩემითა და იტყოდიან (მათ. 24, 3; მარკ. 13, 6; ლუკ. 21, 8) ო, მოვიდოდენ... და იტყოდენ ო.

იწ) უოველი სიტყუა უქმი, რომელსა იტყოდიან კაცნი (მათ. 12, 36) ო იტყოდენ ო.

იო) ენათა ახალთა იტყოდიან (მარკ. 16, 17) ო, იტყოდენ ო.

კ) უოველსა უქმს რაოდენსა ბატყოდიან თქუშნ დამარხვალ, დამარხეთ უა ვაფთ (მათ. 23, 3) ო, ბატყოდენ ო.

კა) ვაჲ თქუენლა, რაქამს კეთილსა ბატყოდიან თქუშნ კაცნი (ლუკ. 6, 26) ო, ბატყოდენ ო.

მიხაროდის

ქვემოთა მხარე

ა) უფროს უხაროდის მის ზელა (მათ. 18, 13) ო, უხაროდეს ო.

ბ) რა მთესვარსა და მომკალსა ერთბამად უხაროდის მის თან (ოთ. 4, 38) ო, უხაროდეს ო.

გ) და უხაროდის გულთა თქუშნთა (ოთ. 16, 22) ო, უხაროდეს ო.

გეშინოდის

ქვემოთა მხარე

ა) გიჩუშნო თქუშნ, ვისა გეშინოდის (ლუკ. 12, 5) ო, გეშინოდეს ო.

ბ) გნუბავს თუ, რა არა გეშინოდის ჭელმწიფებისგან, კეთილსა იქმოდ (რომ. 13, 3) ო, გეშინოდეს ო.

იქმოდის

ქვემოთა მხარე

უოველსავე რასაცა იქმოდით, გულითად იქმოდეთ (კოლ. 3, 23) ო, იქმოდეთ... იქმოდეთ ო.

როგორც ვხედავთ, იქმოდით გადმოკეთლა, ხოლო იქმოდეთ დარჩა, და როგორც ბრძანებითის ფორმას, მახვილი დაესვა.

ვიჭირვოდეთ

უწინაბალო

უოველითავე ვიჭირვოდეთ: გარეშე ბრძოლანი, შინაგან შიშნი (2 კორ. 7, 5) ო, ვიჭირვოდით ო.

ადგებოდის

ქვემოთა მხარე

რომელი ადგებოდის ჭელმწიფებასა, ღმრთისა ბრძანებასა ადგების; და რომელი-თვი ადგებოდინან, თავისა თვისისა სასჯელი მიიღონ (რომ. 13, 2) ო, ადგებოდენ... ადგებოდენ ო.

მოყვანილი მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ C-ში დაცული ძველი ქართლის ფორმები B-ში ახალი ქართლის ფორმებზეა კადმოყვანილი. ამიტომ შეორებული. ასეთია, მაგ., ეს აღვლილი: და უკეთეს სახლი იგი ირის იუოს, მოვიწყა აქ ბრძანებითა მე-მ პირისა, მაგრამ B ვერ ამჩნევს შეცდომას და იშორებს მას. შემდგომი გამოცემები კი ბრძალ მისდევნენ B-ს.

სინტაქსის საკითხები

სინტაქსური შეცდომები ახალი აღთქმის წიგნებში სხვადასხვა ხასიათისაა. ზოგი წარმომდგარია ძველი კონსტრუქციების უცოდინარობისაგან, ზოგიც დაუღწერობის ბრალია გადაწერისა თუ ბეჭდვის დროს.

შეცდომები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

ა) და მამამ შენი რომელი ქხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად (მათ. 6, 4; 6, 6). ახალი ქართული ენის ნორმათა თვალსაზრისით, მოყვანილი წინადადება გაუმართავია. ჩვენ ვიტყვით ან ასე: მამაშენი, რომელიც ქხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად; ან ასე: მამაშენმა, რომელიც ქხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად, ე. ი. ორში ერთი: ან მამაშენი მოგაგოს, ან მამაშენმა მოგაგოს, თანახმად წესისა, რომელიც გარდაჩვეულ ზმნასთან შეწყობილი გრამატიკული სუბიექტისაგან ბრუნვა-ცვალებადასს მოითხოვს. ვაცემა რომ თქვას, ეს წესი ძველ ქართულშიც აგრე იყო, მაგრამ ერთი შეზღუდვით: თუ სუბიექტი განსაზღვრული იყო მომდევნო დამოკიდებული წინადადებით, ასეთ ქვეწყობილ წინადადებაში მისი ბრუნვა ანგარიშს უწევდა დამოკიდებული წინადადების ზმნას¹. ამის კარგი მაგალითია ზემორე მოყვანილი წინადადება, რომელიც უნაკლოა ძველი ქართული ენის სინტაქსის თვალსაზრისით. სხვათა შორის, ამიტომ ძველი ტექსტების გამოცემის დროს მიღებული გვაქვს წესად, რომ ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების წინ მძიმე არ დაიწეროს.

რას ვხედავთ პირველ გამოცემაში? აქ 6, 4-ში მცდარი ფორმა იქითხება: და მამამან შენმან რომელი ქხედავს დაფარულთა მოგაგოს შენ ცხადად C. გამოცემაში მძიმეები არ არის ნახმარი, მაგრამ, თუ ვიხმართ, წინადადება წარმოგვიდგება დღევანდელი წესების მიხედვით: და მამამან შენმან, რომელი ქხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად. სწორედ ასეა ვამართული ეს რთული ქვეწყობილი წინადადება ყველა შემდგომ გამოცემაშიც (თანაც 17-ში „ცხადად“ იქითხება). რაც შეეხება მათ. 6, 6-ს, იქ სხვა ვითარებაა: თუ ორთოგრაფიას არ მივხედავთ ურადლებას, წინადადება სწორად არის წარმოდგენილი ძველი ქართული ენის წესის კვალობაზე: და მამა შენი რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად C4. აგრევეა 27:13-შიც (ოღონდ აქ ყველგან ჰხედავს არის). უკა-

¹ ლიტერატურა ამ საკითხის შესახებ: ვ. ერთელიძე, სამართებთი ნაცვალსა-ხედავს შემტველ წინადადებათა ქვეწყობა ძველ ქართულში (თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 65, 1957); მ. ს. ივ. რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში. I. სინტაქსის საკითხები. 1962, 17-19.

ნასკნელ გამოცემაში კი ძველი სინტაქსური წესი დაურღვევიათ და წინადადება ახალი ქართული ენის წესების მიხედვით გაუმართავეთ: და მაშაძან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაკოს შენ ცხადად ო.

დ) უოველმან სემან რომელმან არა უოს ნაყოფი კეთილი, მოეკუქეთოს და ცეცხლსა დაედვას (მათ. 7, 19). ეს წინადადება ისეთიფუა, როგორც ზემოთ განვიხილეთ, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ იქ დამოკიდებული წინადადების განლაშაფალი ზმნა | სერიის ფორმით იყო წარმოდგენილი (რომელი ჰხედავს), აქ კი მეორე სერიის ფორმაა (რომელმან არა უოს). ამიტომ აქ ქვეშეღებარე მოთხრობითშია და არა სახელობითში, როგორც იქ.

მოუფანილი წინადადება ფველა გამოცემაში სწორად არის წარმოდგენილი, გარდა უკანასკნელისა, სადაც იკითხება: უოველი ხე, რომელმან არა ჰუოს ნაყოფი კეთილი, მოეკუქეთოს და ცეცხლსა დაედვას ო.

შგავსი წინადადებაა მათ. 3, 10-ში და ლუკ. 3, 9-ში, მაგრამ ორგანუ ძველი ფორმა ხელ-უხლებელია.

მცა ნაწილაკიანი წინადადება

მცა ნაწილაკის გარეფას წინადადებაში გარკვეული წესი ქქონდა ძველ ქართულში: ამნაირი წინადადების ზმნა აუცილებლად თხრობითი კილოს ფორმა უნდა ეოფილიყო (და არა კავშირებითისა!). ეს წესი კარგად იყო შემონახული ვეფხის ტყაოსნის დაწერის დროს და კარგა ხანს შემდეგაც. მაგრამ მე-17 საუკუნეში საკმაოდ შერეული იყო ეს წესი, ხოლო მე-18 საუკუნის დასაწყისში, როდესაც პირველად დაიბეჭდა ახალი აღთქმის წიგნები, ბევრს უჭირდა სისწორით გადმოწერა ძველი ტექსტების აღვილებისა, სადაც მცა ნაწილაკი იყო ნახმარი, და უნებურად არღვევდნენ წესებს — ზმნის ფორმა კავშირებითის მწკრივში გადაქყაფდათ. ხშირი იყო აგრეთვე მცა და ცა ნაწილაკების არევა, რასაც ახალი აღთქმის წიგნებშიც ვხედავთ.

ა) არა ღირს ვარ მე, რაჟთამცა სართულსა ჩემსა ქუეშე შემოხუედ (მათ. 8, 8). ეს წინადადება სწორად არის წარმოდგენილი Ⴀ-ში და Ⴀა-ში (თუ ორიოგრაფიას არ მივაქცევთ უურადლებას), მაგრამ გადაუსწორებიათ Ⴀყ-ში, სადაც იკითხება: რამცა სართულსა ქუეშე ჩემსა შემოხუედ. Ⴀ-ში აღდგენილია შემოხუედ, ხოლო მომდევნო გამოცემებში ისევ მცდარი ფორმაა: შემოხუედ Ⴀ, შემოხუედ Ⴀ.

ბ) არაფინ ფარულად რასმე იქმნ და ეძიებნ, რაჟთამცა განცხადებულ იო (იო. 7, 4). ეს წინადადება ფველგან სწორად არის წარმოდგენილი, უკანასკნელ გამოცემის გარდა: რაჟთამცა განცხადებულ-იოს Ⴀ.

გ) ევოდენ არაფინ არს... რომელმან მცა შეუძლო განკითხვად შორის მშის თვისისა (1 კორ. 6, 5). ეს წინადადება სწორად არის დაბეჭდილი აღრიწდელ გამოცემებში (Ⴀ4Ⴀ), შემდეგ კი შერეულია, მცა-ს ნაცვლად ცა დაუბეჭდვით: რომელმანცა ႠႠႠ.

დ) არაფინ არს, რომელმან მცა ქმნა სიტკობობაჲ (რომ. 3, 12). პირველ გამოცემაში რომ გაპარულა შეცდომა (რომელმანცა), იგი შემდეგ ფველგან გაუმწორებიათ (4ႠႠႠ).

ე) აწ ეგრეთ შემირატხეს თავი, ვითარცა მანდა მეოფსა (1 კორ. 5, 3).
 აგრეთვე 1 კორ. 7-ში მ ჩაუმატებიათ (ვითარცა) და იგი მომღვწეო გამო-
 ცემებშიც გადასულა (ხ).

მამა-დედასა თუ მამა-დედათა?

მოუწოდეს მამა-დედათა მისთა (იო. 9, 18). ასეა 1-ში და მომღვწეობებში, უკა-
 ნასკნელის გარდა, სადაც იკითხება: მოუწოდეს მამა-დედასა მისთა 1. „მისთა“
 ვერ მივიჩნევთ, რადგანაც იქვე, ცოტა ქვემოთ, იმავე 1-ში იკითხება: მიუგეს
 მამა-დედაჲს მისჲს (იო. 9, 20); ამისთვის ქსთქუეს მამა-დედაჲს მისჲს (იო. 9,
 23). მაშასადამე, წინა გამოცემებში სწორად დაბეჭდილი ტექსტი შეგნებულად
 არის „გასწორებული“ 1-ში.

პირდ. ობიექტი სუბიექტად იქცა

შეწვევისაებრ სიმტკიცისა ძლიერებისა მისისა, რომელ ქმნა ქრისტეს თანა,
 რამეთუ აღადგინა იგი მკუდრეთით (ეფეს. 1, 19—20). რომელ აქ პირდ. ობიექტად,
 1-ში კი იგი სუბიექტად არის წარმოდგენილი: რ'ღნ. შეცლომა გადასულა უფელა
 სხვა გამოცემაში, მაგრამ ისე, რომ 1-ში რ'ღნ შემოკლებითვეა დაბეჭდილი,
 სხვებში კი სრულად: რომელჲს ქმნა 1-ში (ზმნის ფორმა „ქმნა“ 1-დან
 მოდის).

რომელი-ესე თუ რომლითა-ესე?

უკუეთუ ჩუენ დღეს განვიკითხვით ქველის-საქმესა ზელა კაცისა უძღურისა-
 სა, რომლითა-ესე ცხოვნდა (საქმე 4, 9). უფელა გამოცემაში (1-დან 1-მდე) არის
 რომელი-ესე, მაშასადამე, დამოკიდებული წინადადებით განსაზღვრულია „კაცს“ და
 არა „ქველის-საქმე“, რაც შეცლომაა. ბევლ რედაქციებში რომლითა-ესე იკითხე-
 ბა და სხვა ვერსიებიდანაც ეს ჩანს.

თანა-ზიარ თუ ზიარ?

უკუეთუმცა ვიუფენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ვიუფენით მათ
 თანა ზიარ სისხლსა მას წინააღსწარმეტყუელთასა (მათ. 23, 30). 1-ში კარგად არის
 დაბეჭდილი ეს მუსლი: „თანა“ ახლავს „მათ“ სიტყვას („მათ თანა“) და არა
 „ზიარ“-ს (თანა-ზიარ). 2-ში კი „ზიარ“-ის შემდგომ მძიმეა (ზიარ), რომე-
 ლიც 1-შიც მეორდება. მძიმე ამოღებულია 2-ში და აღდგენილია 1-ს იკითხ-
 ვისი, მაგრამ 1-მ ზიარ-ს თანა დაუკავშირა ქვენაშით (თანა-ზიარ), რის გა-
 მოც შეირყვნა ტექსტი. „თანა-ზიარ-ი“ რომ ყოფილიყო ტექსტში, საჭირო იქნე-
 ბოდა რელატიური ფორმა ზმნისა: არამცა ვიუფენით მათ თანა-ზიარ სისხლსა...
 აღიშის ოთხთავში თანა და ზიარ გაყოფილია ზმნით და ვაუგებრობას ადვილი არ
 შეიძლება ჰქონდეს: არამცა ზიარ ვიუფენით მათ თანა სისხლსა მას წინააღს-
 მეტყუელთასა.

სიტყვების მცდარი განაწილება წინადადებაში

ა) სხუანი აცხოვნა, თავი თვისი ვერ ძალ-უც ცხოვნებად ქრისტესა, მეუფესა ისრაელისასა. გარდამოქედინ აწ ჯუარით, რაათა ვიხილოთ და გურწმენეს (მარკ. 15, 31 — 32). მოყვანილი ადგილი ცუდად არის დაყოფილი მუხლებად: 32-ე მუხლი უნდა იწყებოდეს ან „სხუანი“ სიტყვით, ან „გარდამოქედინ“ სიტყვით, იწყება კი „ქრისტესა“-თი, რის გამოც გაწყვეტილია წინადადება: თავი თვისი ვერ ძალ-უც ცხოვნებად ქრისტესა, მეუფესა ისრაელისასა. რაკი „ცხოვნებად“ წინა მუხლს ეუთვნის, უნებურად მის შემდეგ წერტილს დასვამს კაცი და შემდგომ სიტყვებს მომდევნო ზმნას დაუკავშირებს: ქრისტესა, მეუფესა ისრაელისასა, გარდამოქედინ აწ ჯუარით. მაგრამ ამ შემთხვევაში რაღაც შეუსაბამობა გამოდის. ამიტომ უკანასკნელ გამოცემაში ასე გაუმართავეთ ტექსტი: სხუანი აცხოვნა, თავი თვისი ვერ ძალ-უც ცხოვნებად ქრისტე, მეუფე ისრაელისა, გარდამოქედინ აწ ჯუარით, რაათა ვიხილოთ და გურწმენეს ო.

ბ) უკეთუ ცხენსა აღჯრნი აღუსხნით დამორჩილებად ჩუენდა იგი, და უოველი გუამი მისი მოვაქციით (იაკ. 3, 3). ლ. კიკნაძემ შენიშნა, რომ მძიმე არ არის დასმული თავის ადგილას ქ. ლორთქიფანიძის გამოცემის ერთი რუდაქციის ტექსტში, სადაც იკითხება: ...დამორჩილებად ჩუენდა, იგი და უოველი გუამი მისი მოვაქციით. იმავე გამოცემის სხვა რუდაქციის ტექსტში „იგი და“ არ არის, ამიტომ მძიმე თავის ადგილზეა, ამას გარდა, აქ „აღუსხნით“ არის (და არა „აღუსხნით“). ლ. კიკნაძის შენიშვნა სწორია, რადგანაც „იგი“ პირადპირი დამატებაა „დამორჩილებად“ ზმნისა (დამორჩილებად ჩუენდა იგი, ე. ი. რომ დავიმორჩილოთ ჩვენ იგი). შეცდომის სათავეა პირველი გამოცემა, სადაც იგი შემდგომი ზმნის დამატებად არის წარმოდგენილი გუამ-თან ერთად (იგი და უოველი გუამი მისი მოვაქციით). ამ გამოცემაში ჩუენდა სიტყვის შემდეგ წერტილი ზის, რომელსაც მძიმის მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე წერტილისა, ო-ში უკვე მძიმეა, რომელიც გასდევს უფელა შემდგომ გამოცემას (1781). გაუგებრობა იმისაგან წარმომდგარა, რომ და აქ კავშირად გაუგიათ და არა ნაწილაკად, რომელსაც აქ უდრის ბერძნულში, მაგრამ მას ცა-ს მნიშვნელობა აქვს: დამორჩილებად ჩუენდა იგი, უოველი გუამიცა მისი მოვაქციით.

„უნდა“ ზმნის თავისებურება

„უნდა“ ზმნამ ძველ ქართულში შეიძლება სხვა ზმნის საწყისი ნათ. ბრუნვაში შეიწყოს¹, მაგ.: და მისცეს მას ძმარი ნაველითა აღზავებული და, კემ რაა იხილა, არა უნდა სუშის (მათ. 17, 34). სხვა მაგალითი: რომელსა უნდეს სესხების შენგან, ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა მისგან (მათ. 5, 42, ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერთა რუდაქციით). იგივე წინადადება ასე იკითხება აღნიშურ ოთხთავში: რომელსა უნდეს ვასხებაჲ შენგან, ნუ გარე-მიიქცევ პირსა. პირველ გამოცემაში და სხვებში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: რომელსა უნდეს სესხება შენგან, ნუ გარე-მიიქცევი, ამგვარადვეა სხვა ნაბეჭდ ახალი აღთქმის წიგნებშიც.

¹ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნეთა ფუნქციები ძველ ქართულში (1957), გვ. 180 — 183.

მსგავსი ვითარებაა მათ. 11, 27-ში: არცა მამაა ვინ იცის, გარდა ძემან, და რომლისაა უნდეს ძესა გამოცხადების (აღიშ.). პირველ გამოცემაში (C-ში) აღიშუ-ფორმა შეუსწორებიათ: გამოცხადების, რაც შემდგომ გამოცემებშიც დამკვიდრე-ბულა (ГНХ).

„გამოცხადების“ საწყისის ფორმაა, ნათ. ბრუნვაში დაუენებული, ხოლო „გა-მოცხადების“ პირიანი ზმნაა ენებ. გვარისა აწმუოს შესამე პირის მხ. რიცხვის ფორმით და მას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. საერთოდ ეს ადგილი თავიდანვე საგონებელში აგდებდა, ალბათ, გადამწერლებს და რედაქტორებს და პროტოკულ-გატის რედაქციაში, რომელიც ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერებით არის წარმოდგენი-ლი, ეს ადგილი გაუაზრობანებიათ პირიანი ფორმის დართვით: რომლისა უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს, რომელიც პირველად, ალბათ, გლოსა იყო, შემ-დგ კი გლოსა ტექსტში გადასულა და გვერდში ამოსდგომია საწყისის ფორმას (ამ ადგილს უურადლება მოაქცია ლ. კიკნაძემ).

ჩემდა თუ ჩემგან?

უკეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანა-წარსლვად ჩემდა, რათამცა არა შევსუ იგი, იუაენ ნება შენი (მათ. 26, 42) C. ჩემდა აქ შეცდომაა, უნდა ჩემგან, მაგრამ შეცდომა ვერაფერ შენიშნა და გამეორლა უველა მომდევნო გამო-ცემაში უკლებლივ.

შეცდომა უთუოდ ძველი ხელნაწერებიდან მოდის: ჩემდა იკითხება ორსავე უძველეს რედაქციაში: ჯრუჭ-პარხლისა და აღიშისაში. მაგრამ უნდა მივუყვანო ურ-რადლება მათ. 26, 39-ე მუხლს, სადაც მსგავსივე გამოთქმაა, თუმცაღა კი „თანა-წარსლვა“ ზმნის ნაცვლად „თანა-წარსლვა“ არის ნახმარი: უკეთუ შესაძლებელ არს, თანა - წარმკედინ სასუმელი ესე ჩემგან (ჯრ.-პარხ.); მარჯუე თუ არს, თანა - წარმკედინ ჩემგან სასუმელი ესე (აღიშ.). სამაგიეროდ იგივე „თანა-წარსლვა“ იკითხება ოთხთავის სხვა ნაწილების პარალელურ ადგილებში, რომ-ლებიც „ჩემგან“-ს უჭერენ მხარს: თანა-წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან (მარკ. 14, 36; ლუკ. 22, 42).

დაუბრძანებდეს?

ანგელოზთა მისთადა უბრძანებდეს (ლუკ. 4, 10). ეს რომ ახალ ქართულზე ვითარგმნოთ, ამას მივიღებთ: მისი ანგელოზებისთვის უბრძანებია. C-ში „მისთა-და“ გადატანილია ერთი სტრიქონიდან მეორეზე, მაგრამ გადატანის ნიშანი ამ გა-მოცემაში, ძველი ხელნაწერების მსგავსად, არსად არ არის ნახმარი. მისი ხმარე-ბა პირველად შემოღებულია L-ში (სამოციქულოში). ამიტომ C-ს ტექსტი შეიძ-ლება ასე წაიკითხოს კაცმა: ანგელოზთა მისთა და უბრძანებდეს, ასეც არის და-ბეჭდილი R-ში გარკვევით („მისთა და უბრძანებდეს“ აქ ერთ სტრიქონზეა მო-თავსებული), მაგრამ B-ში „მისთადა“ ერთ სიტყვად არის წარმოდგენილი, რაც

სწორია, სამაგიეროდ თანდებული „და“ ზმნისწინადად არის გაკვეთილი და ზმნის
მიკვეთიებული ორ უკანასკნელ გამოცემაში: ანგელოზთა მისთა დაუბრძანებოეს ხ.

რომელთადა

არა უოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთადა მიცემულ არს
(მათ. 19, 11). აგრე იკითხება ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში და პირველ გამოცემაში.
სამაგიეროდ აღიშურ ოთხთავშია: არა უოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ
რომელთა მიცემულ არს. ორივე ფორმა შესაძლებელია, მაგრამ ხ-ში დაუკ-
ლიათ „და“ თანდებული და რთული თანწყობილ წინადადების მეორე ნაწილში
აღიშური ტექსტი მიუღიათ.

ვისნი ნაშობნი?

ეწამებით თავთა თვსთა, რამეთუ ნაშობნი ხართ მკლველთა წინასწარმე-
მეტკუელთანი (მათ. 23, 31). ასეა დაბეჭდილი ყველა გამოცემაში უკანასკნელის
გარდა. ჯრუჭ-პარხლის რედაქციაშიც თითქმის იგივეა: ამით სწამებით თავით
თვსით, რამეთუ ნაშობნი ხართ მკლველთა წინასწარმეტკუელთანი. აზრი ბუნდოვან-
ია, ისე გამოდის, თითქო ამის თქმა უნდოდეს: მკვლელი წინასწარმეტკუელების ნა-
შობნი ხართო. მაგრამ არა. აღიშურ რედაქციაში სხვანაირად არის გაკვეთილი
წინადადება და აზრი ნათლად არის გამოთქმული: ან თქვენვე ეწამებით თავთა
თქვენთა, რამეთუ ნაშობნი ხართ (იგულისხმება: იმათი), რომელთა მოწყვდნეს წი-
ნაღსწარმეტკუელნი. პირველი რედაქცია რომ ძალაში დაგუტოვებინა. ბუნდოვ-
ანობის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნებოდა მცირეოდენი შესწორება: ცდი-
ლან კიდევაც, შეესწორებინათ ტექსტი, მაგრამ ასე გამოსულიათ: ნაშობნი ხართ
მკლველთა წინასწარმეტკუელთათა ხ. ვერ არის კარგად გასწორებუ-
ლი, რადგანაც მსაზღვრელი არ არის შეთანხმებული საზღვრულთან. საჭირო იყო:
ნაშობნი ხართ მკლველთა წინასწარმეტკუელთაღსანი.

შფოთის ყოფასა თუ შფოთისა ყოფისათვს?

აღილე ეგე და მომიტევე (მოგუტევე ლ) ჩუენ ბარაბა, რომელი შფოთისა
ყოფასა ქალაქსა შინა და კაცის-კლვისათვს შეგდებულ იყო საპურობილესა (ლუკ.
23, 18 — 19). ასე იკითხება ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერებში და პირველ გამოცემა-
შიც (ლ). „შფოთისა ყოფასა“ დროის გარემოებად უნდა გავიგოთ (შფოთის უო-
ფაში, შფოთის ყოფის დროს). „ქალაქსა შინა“ კი ადვილის გარემოებაა. თუ ავ-
რება, მაშინ „და“ კავშირი ხედმეტია. აღიშურ ოთხთავში კი იკითხება: რომელი-
იგი აღძრვისათვს რაღსმე ქალაქსა შინა და კაცის-კლვისათვს შეუენებულ იყო სა-
პურობილესა. ამის მიხედვით გამოდის, რომ ბარაბას საპურობილესა ჩასმის მიზე-
ზი ის ყოფილა, რომ მას ქალაქში აღძრვა მოუხდენია (ე. ი. არეულობა გამოუ-

წვევია) და კაცის მოკლავს. აქ „და“ თავის ადგილზეა. იგი თავის ადგილზე აღ-
მოჩნდება პირველი რედაქციით მოუფანილ ტექსტშიც, თუ „უოფა“ სიტყვის ფორ-
მა ნათესაობათი იქნება და არა შიცემითი: რომელი შფოთისა უოფისა ქალაქსა
შინა და კაცის-კლვისათჳს საპურობილესა შეგლებულ იქმნა. აქ თჳს თანდებულ
შფოთის უოფა-სთანაც იგულისხმება: შფოთისა უოფისა(თჳს) ქალაქსა შინა და
კაცის-კლვისათჳს. პირველ ნაბეჭდ ოთხთაეში (L-ში) უთუოდ შეცდომაა, რომე-
ლიც ყველა მომდევნოს გაუზიარებია.

III. ლექსიკური ცვლილებანი

ლექსიკური ხასიათის ცვლილებათაგან ახალი აღთქმის ნაბეჭდ წიგნებში ზოგი წარმომდგარია რედაქციული სწორების შედეგად, ზოგი კი — ტექსტის შერყენისაგან.

რედაქციული ხასიათის შესწორებანი

ა) მღვდელთ მოძღუარი. ლექსიკურ ცვლილებათაგან, რომლებიც მოიპოვება ახალი აღთქმის წიგნების ირაკლისეულ გამოცემაში (Ծ-ში), ვახტანგისეული გამოცემისაგან (Ը-საგან) განსხვავებით, პირველ უოვლისა უნდა აღინიშნოს მღვდელთ მოძღუარ სიტყვის განდევნა და მის ნაცვლად მღუდელთ-მთავრის შემოღება.

როგორც ი. იმნაიშვილის შედგენილი სიმფონია-ლექსიკონიდან ჩანს, მღვდელთ მოძღუარი ჯრუჭ-პარხლისა და აღიშის ოთხთავეში 76-ჯერ გვხვდება: მათეს თავში 22-ჯერ, მარკოზისაში 19-ჯერ, ლუკასაში 15-ჯერ და იოანესაში 20-ჯერ. ვახტანგის გამოცემაშიც ყველგან მღვდელთ მოძღუარი იკითხება, ირაკლის გამოცემაში კი — ყველგან მღუდელთ-მთავარი (შემოწმებული მაქვს ყველა შემთხვევა).

რაც შეეხება ირაკლისეულ სამოციქულოს, საზოგადოდ იქაც მღვდელთ მოძღუარი გადასწორებულია მღუდელთ-მთავრად (საქმე 9, 1; 9, 14; 22, 5; 22, 30; 23, 2; 23, 4; 23, 5; ებრ. 3, 1; 4, 14; 4, 15; 5, 1; 5, 5; 5, 10; 6, 20; 7, 26; 7, 27; 7, 28; 8, 1; 8, 3; 9, 7; 9, 11; 9, 25; 13, 11), მაგრამ გადაუსწორებლად გადარჩენილა აქა-იქ (საქმე 4, 6; 4, 23; 5, 17; 7, 1).

აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი: 1765 წლისა და 1791 წლის სამოციქულო (Ը და Ծ) ეკლესიაში სახმარი წიგნებია, რომლებშიც დღესასწაულთა საკითხავებია აღნიშნული და მითითებულია, თუ რომელი დღის საკითხავი სად იწყება და სად თავდება. მაგალითად, ებრ. მე-5 თავის ნაწილი შედის დიდმარხვის მე-3 კვირა-კის საკითხავში, რომელიც იწყება ებრ. 4, 14-დან და თავდება ებრ. 5, 6-ზე. ამასთანავე ებრ. 5, 4-დან იწყება საკითხავი მღვდელთ მოძღუართა ხსენების დღისა და თავდება ებრ. 5, 10-ზე. ამის გამო Ը-ში სქოლიოში მითითებულია დასაწყისისათვის: „საზიარო მღვდელთ მოძღუართა“, ხოლო 5, 10-ის შემდეგ: „დასასრული მღვდელთ მოძღუართა“ შესატყვის ადგილას Ծ-ში იკითხება: „საზიარო მღუდელთ-მთავართა“ და „დასასრული მღუდელთ-მთავართა“. მსგავსივე მითითებანია ებრ. 7, 26 — ებრ. 8, 2 ნაწილსათვის იმავე Ը-სა და Ծ-ში.

როგორც აღვნიშნეთ, ჯრუჭ-პარხლისა და აღიშის ოთხთავეს ხელნაწერებში ყველგან მღვდელთ მოძღუარი სწერია. ი. იმნაიშვილმა ჩემი თხოვნით შეამოწმა შესატყვისი ადგილები სხვადასხვა ოთხთავესა, რომელთაგანაც უმეტესობა გამოუცემელია: ქსნისა (A—509), ოპიზისა, ტბეთისა, ურბნისისა (A—28), მესტიისა, ბერთისა, პალესტინური (1048 წ., H—1741), ალაფურდისა (A—484), თველორესი (A—98), „ანბან-ლილი“

(ცენტრ. არქივის ხელნაწ. ფონდი 293) და გამოარქვია, რომ ყველგან მღვდელთ მოძღვარი იკითხება¹.

რაც შეეხება გიორგი ათონელის ნარედაქციევო ოთხთაეს, იქაც მღვდელთ მოძღვარი იკითხება (შე თვითონ შევაშოწმე ზოგი ადგილი ენის სახარებისა და Q-900-ის მიხედვით).

მაშ როდის და ვისი წყალობით განაღდა მღვდელთ მოძღვრის ნაცვლად მღვდელთ მოძღვარი? ეს საკითხი საგანგებოდაა შესასწავლი. აქ კი აღვნიშნავ შეშლევს: ებრ. 9, 7-ში იკითხება: „ხოლო შინაგანსა მას ერთი გზის წელიწადსა მღვდელთ მოძღვარი იგი ხოლო შევიდის“, მაგრამ იგივე ადგილი ასე აქვს დამოწმებული ეფრემ მცირეს: „ხოლო მხოლოდ მღვდელთ მოძღვარი შევიდოდა წმიდასა წინდათასა და ესე წელიწადსა შინა ერთ გზის“². მაშასადამე, უკვე ეფრემ მცირე გადასულა მღვდელთ მოძღვარ ტერმინზე.

სუმიონ კათალიკოსი, რომელიც, კ. კველიძის ვარაუდით, XI საუკუნის მოღვაწე იყო, „მღვდელთ-მთავარ“-საც ხმარობს და „მღვდელთ-მოძღვარს“-საც. იგი ასე მიმართავს არქიელებს: „წმიდათ მღვდელთ-მთავართ, პირველად მაწუწურელო და რომელთააცა ღმერთმან ინებოს... ქამის-წირვად ამითვე ქამის-წირვითა... შე ქრისტეს მიერ სუმიონ ქართლისა კათალიკოსმან დაწერენ წმიდანი ესე ქამის-წირვანი სამღვდელთ-მოძღვროდ საწირავად.“³

ბერძნ. „არქი“-ს „მთავრად“ გადმოლება სხვა კომპოზიტებშიც ვგაქვს: არქიდიკონ-ი მთავარ-დიაკონია, არქანგელოს-ი მთავარ-ანგელოზია (ან ანგელოზთ მთავარი⁴), არქისტრატეგ-ი (ან არხისტოტიგ-ი) მხედართმთავარია, პატრიარქი-მამათმთავარია.

გ) რიცხვ. ლექსიკური ცვლილების მაგალითად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე „რიცხუ“ სიტყვის ნაცვლად „რვა“ სიტყვის ხმარება იოანეს გამოცხადებას 2, 17-ში, რასაც ლევან კიკნაძემ მიაქცია ყურადღება. როგორც ცნობილია, იოანეს გამოცხადება IX საუკუნემდე არ უოფილია თარგმნილი ქართულად. მისი თარგმანი ეკუთვნის ეფთვიმე ათონელს. აღნიშნულ ადგილას ძველ ხელნაწერებში იკითხება: და მივსტე რიცხვ სამეტკვი და რიცხესა მას თანა სახელი ახალი დაწერილი (გამოცხ. 2, 17)⁵. ამგვარადვე იკითხება იგი ვახტანგისა და პაქარის გამოცემებშიც (CL-ში).

სამოციქულო 7 და სამოციქულო 8 — ორივე დანიშნულია ელესიაში საკითხავად (ორივე „სამღებდელთ სამოციქულო“-ა) და, რადგანაც იოანეს გამოცხადებიდან არც ერთი საკითხავი არ არის განკუთვნილი რომელიმე ღლისთვის, ამიტომ ეს წიგნი არ არის შეტანილი ამ გამოცემებში. ვახტანგის გამოცემის შემდეგ

¹ ბროუ. ი. იმნაიშვილს მაგლობას მოვახსენებ ამისთვის.
² ს. ენუქაშვილი. ბეტრე იბერიელი (ფსევდო-დომისე არეობაველი). შრომები. ურბრემ მცირის თარგმანი. 1981, გვ. 243, 9 — 10.
³ კ. კველიძე, Древнегрузинский архиепратикон. თბილ. 1912, გვ. 141—142.
⁴ ეფრემ ასურის, სინანულისათვის ი. იმნაიშვილი, ქ. ისტ. ქრესტ. II, 13, 37.
⁵ იოანეს გამოცხადება და მისი თარგმანება. ძველი ქართული ვერსია. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა (ძველი ქართ. ენის კათედრის შრომები. 7, 1981).
მ. ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები. 9.

გამოცხადების ტექსტს პირველად ვხედავთ ახალი აღთქმის სრულ გამოცემაში, რომელიც დაბეჭდა მოსკოვს 1816 წ. ძველი ქართ. ასოებით (7) და გადაბეჭდა ორი წლის შემდეგ (1818) პეტერბურგს ახალი ქართ. ასოებით (7). 7-ში აღნიშნული ადგილი იმგვარადვე იკითხება, როგორც ძველ ხელნაწერებში და გამოცემათაგან 14-ში: „და მიჴსცე მას რიცხვ სჴეტაკი და რიცხვსა მას თანა სახელი ახალი დაწერილი“¹. მაგრამ 7-ში „რიცხვის“ ნაცვლად „ქჴა“ არის დაბეჭდილი: და მიჴსცე მას ქჴა სჴეტაკი და ქჴასა მას ზელა სახელი ახალი დაწერილი რა მომდევნო გამოცემები (ხ) ქვას გვიჩვენებს. საღ „რიცხვი“ და საღ „ქჴა“ რა ამბავია? — ის ამბავი, რომ ვილაცას შეუდარებია იოანეს გამოცხადების წიგნი სლავურ თარგმანთან და, რადგანაც სლავურში каменъ არის, ამიტომ ქართულადაც „ქჴა“ ჩაუწერია. ბერძნულში კი ამ ადგილას φηφοჲ არის, რაც კენჭს ნიშნავს: καὶ ὁὠτως ἀπὸ φηφοῦ λέσθηεν καὶ ἐπὶ τὴν φηφοῦ ἔσθηεν καὶ οὐκ ἔσθηεν. ეს „ფსეფი-ი,“ რომლისაგან ქართულში „სეფი“ გვაქვს, დამოწმებული ბეთლემის წარწერაში მოზაიკის მნიშვნელობით („მომსხმელი ამის სეფისაჲ“²), კენჭს ნიშნავს და ძნელი წარმოსადგენია, რომ, რადგან ძველი ხელნაწერები რიცხვს გვიჩვენებს, ეს რიცხვი არ მოდიოდეს თვით ეფთვიმესაგან, რომელიც ჩინებული მცოდნე იყო ბერძნულისა და ქართულისა.

ამ ბერძნული „ფსეფის“ ადგილას სხვაგანაც გვხვდება „რიცხვი“:

ს

ლ

მე მეგონა თავით ჩემით სახელისათჳს იესუ ნაზორეველისა მრავალი ძკრი საქმელ, რომელი-იგი ვჴაჳცა იერუსალმს: რამეთუ მრავალნი წმიდანი მე საპურობილედ მივსცენ, რამეთუ კელმწიფებაჲ მდღელთ მოძღუართაგან მომელო, მოვსრუელ მათ და მომელო რიცხვ (საქმე 26, 9 — 10).

მე უკუე მენება თავით ჩემით სახელისათჳს იესუ ნაზარეველისა მრავლისა ძკრისა საქმელ, რომელ-იგი ვჴაჳცა იერუსალმს შინა: და მრავალნი წმიდანი თაგანნი მე საპურობილესა შევაჴუნენ, რამეთუ კელმწიფებაჲ მოვილე მდღელთ მოძღუართაგან მოსრვად მათდა და მომელო რიცხვ.

ეს ნაწივეტი „მოციქულთა საქმიდან“ მოყვანილია ილია აბულაძის გამოცემის მიხედვით. ქ. გართის გამოცემა ემუარება სინურ ხელნაწერებს, რომელთა ტექსტი ამ ნაწილში არებითად იგივეა, რაც ილია აბულაძის გამოყენებული ხელნაწერებისა, იქაც იკითხება: და მომელო რიცხვ. ეს „მომელო რიცხვ“ ვაღმოგვეცემს იმავე აზრს, რასაც ბერძნული ტექსტის სათანადო ადგილი: κατἴσθηεν φηφοῦ. მაგრამ ქართული უფრო ახლო ღვას სომხურ ვერსიასთან: բերքի համար.

¹ ვახტანგის გამოცემაშიცა და მოსკოურ გამოცემაშიც იკითხება რიცხვსა მას თანა. მაგრამ ეს შეიძლება ბეჭდვის შეცდომა კი არ იყოს, არამედ ძველი ხელნაწერებიდან მოდიოდეს, ხადაც, აღბათ, უ-ს ნაცვლად ჳ იყო დაწერილი.

² „დაწერილი“ აქ გაუთვლილადა დაბეჭდილი („და წერილი“), რაც სხვა ვაგებას იძლევა. ეს დაუოფილად დაწერა 7-დან გამოსულა 7-ში, მაგრამ უფრო ადრე 4-შიც არის.

³ მ. თარხნიშვილი, Le iscrizioni musive del monastero di Bir el- Qutt (P. Virgilio Corbo-ს წიგნი: Gli scavi di kh. Siyar el-Ghanam (Campo dei pastori) e i monasteri dei dintorni. იერუსალიმი 1955, გვ. 135, ტაბ. 34.

საუკრადლებოა, რომ სამ ხელნაწერში ამ ადგილას „რიცხვის“ ნაცვლად „განჩინება“ ყოფილა: მოშელო განჩინებაა¹. რიცხვის მოღება (resp. განკას, თანხმობას).

„რიცხვი“ სხვა შემთხვევაში ანგარიშს ნიშნავს. აღიშის ოთხთავეში ვითხუვითარცა განმბნეველი ნაყოფთა მისთაჲ. მოუწოდა და ჰრქუა მას: რაჲ არს ესე, ჟად ხარ ჩემდა ეზოას მოძღუარ (ლუკ. 16, 1 — 2). „მოჰეი რიცხვ სანწოასა შენისაჲ“ აქ გადმოგვეცემს სათანადო სიტყვების აზრს სომხურ ვერსიაში: *თուր ფრამარ თნთისიიქსან ჟიკ*, ე. ი. ანგარიში ჩამაბარე შენი სანწოსით. ჯრუჰპარხლის ტექსტში კი იკითხება: მოშეც ზე სიტყუაჲ სანწოასა შენისაჲ, სადაც „სიტყუაჲ“ იმავე ნიშნულობით არის ნახმარი, რაც სათანადო ბერძნულ სტყვის აქვს: *ძარბიჲ ἄν λήγει τῆς οἰκονομίας σου*. აქ ბერძნული სტყვის და ქართ. „სიტყუაჲ“ აღნიშნავს ანგარიშს: სიტყუაჲ მოეც — ანგარიში ჩამაბარე.

გვხვდება აგრეთვე სიმართლის რიცხვის შიგნა გამოართლების მნიშვნელობით: ენაჲ იოანაჲსი მსაჯულსა მას რიცხუსა მისცემდა სიმართლისასა და უნებლიათ ძლევა-სცემდა მსაჯულსა მას და საშჯელსა შინა განამართლებდა მართლ მსაჯულსა².

სამოციქულოს წიგნების რიგი

სამოციქულოში შემავალი წიგნების რიგი გარკვეულია, გარდა ერთისა: კათოლიკე ეპისტოლეებს ხან პავლეს ეპისტოლეების წინ ათავსებენ, ხან კი შემდეგპირველ გამოცემაში (C-ში) რიგი ასეთია: საქმე მოციქულთა, პავლენი, კათოლიკენი. ეს რიგი შეცვლილია უკვე L-ში, სადაც ჯერ კათოლიკენია მოთავსებული და შემდეგ — პავლენი. სწორედ ასეთი რიგით არის წარმოდგენილი სამოციქულოს წიგნები ერთ ძველ ხელნაწერში (A—584), რომელიც გადაუწერია გიორგი ათონელის მოწაფეს გიორგის 1083 წელს: საქმე მოციქულთა (გვ. 1 — 68), კათოლიკენი (68—100), პავლენი (გვ. 100—207)³. ამ რიგს მისდევს B-ც, ხოლო შემდგომ გამოცემებში (V-VI) აღნიშნული წიგნების ბოლოს მოთავსებულია იოანეს გამოცხადება.

წიგნების რიგის შეცვლა ახალი აღთქმის კრებულში ტექსტის საკითხს არ ეხება სრულებით, მაგრამ რედაქტორის საქმე კი არის. L-ს გამომცემელი იყო ტფილისის მიტროპოლიტი ათანასი ამილახვარი, ხოლო რედაქტორი — დიმიტრი ციციშვილი და წიგნების რიგი, ალბათ, მათ შეცვალეს.

¹ ამათჲან ორი თბილისში: A—187 და A—577, ხოლო ერთი — ლენინგრადში, აღმოხვედეთის ერთი ინსტიტუტში.

² ეფრემ ასურცი, ონაჲსთჲს (ი. იმნაიშვილი, ქართ. ენის ისტ. ქრესტ. II, 47, 10).

³ თ. ქორდანია. Описание рукописей Тифлисского церковного музея. Ки. 2. Тифлис, 1902, стр. 97 — 98.

კითხვითი ნაწილაკი „მე“ და მისგან წარმომდგარი გაუგებრობანი

კითხვითი ნაწილაკი „მე“ შეიძლება ფოუნდგვარ სიტყვას დაერთოს და, სხვათა შორის, „ვითარ“-საც, „არა“-საც. თუ იგი „ვითარ“-ს დაერთო, „ვითარ-მე“-ს მოგვეცემს, ხოლო თუ „არა“-ს — „არა-მე“-ს, მაგრამ ძველი ქართულის უცოდინარობის გამო მათ კავშირებში რეუდნენ: ვითარ-მე → ვითარმედ, არა-მე → არამედ. ამის გამო აქა-იქ ტექსტი შერყვნა.

ვითარ-მე → ვითარმედ

ა) და ვითარ-მე აღესრულნენ წერილნი? (მათ. 26, 54) **სვლ. 17**. აქ ვითარ-მე სწორია, მაგრამ ამ სწორ ფორმას დ დაჭრთვია ბოლოს: ვითარმედ **ხ**.

ბ) ვითარ-მე იტყუან მწიგნობარნი? (მარკ. 9, 11). აქ კითხვითი წინადადება და უნდა „ვითარ-მე“, მაგრამ **ს**-ში შეცდომით დაუბეჭდავთ „ვითარმედ“ (**ვ**ლ), შემდეგში შეცდომა ფერაფის შეუნიშნავს და ყველგან „ვითარმედ“ დამკვიდრებულა, შემოკლებულად (**ვ**ლ **ს**) ან სრულად (ვითარმედ **ხ**).

გ) და ვითარ წერილ არს ძისა კაცისათჳს? (მარკ. 9, 12) **სვლ. 18**. თუმცა აქ პირველ გამოცემაში „ვითარ“-ს არ ახლავს „მე“ ნაწილაკი, მაგრამ იგიც შერყვნა „ხოვ მერმინდელში: ვითარმედ **ხ**“.

დ) ვითარ-მე (ვრ-მე) ჳელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა კორცი თჳსი ჳამად? (იო. 6, 52). ეს „ვითარ-მე“ სწორი ფორმაა და იგი ყველა გამოცემაშია, გარდა უკანასკნელისა, სადაც დ დაჭრთვია: ვითარამედ **ხ**.

ე) ხოლო უკეთუ ვინმე თაფისა თჳსისა სახლისა განგება არა იცის, ვითარ-მე (ვრ მე) ეკლესიათა ღისათა მოლუაწება აგოს? (1 ტიმ. 3, 5). ეს „ვითარ-მე“-ც ყველგან კარგად არის დაბეჭდილი, გარდა უკანასკნელი გამოცემისა, სადაც დ დაჭრთვია ბოლოს: ვითარმედ **ხ**.

არა-მე → არამედ

ა) ანუ ვით ეუტა არა შესლვად განსასუენებელსა? არა-მე ურჩთა მათ? (ებრ. 3, 17). აქ შეცდომაა ყველა გამოცემაში პირველიდან უკანასკნელამდე. ყველგან „არამედ“ იკითხება, ქარაგმით (**ა**ლ **სვლ. 18**) ან სრულად (არამედ **ხ**)¹.

¹ ასეთვე შეცდომაა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ერთ ადგილას, სადაც მოწმობაა **ფს. 23, 3 — 4**-დან: ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადვილსა წმიდასა მისსა, არამედ უბრალოა ჳელითა და წმიდაა გულითა“. აქ, რა თქმა უნდა, საჭიროა „არა-მე“, რომელიც კითხვასე მასუსს კითხვითი სიტყვით იწყებს: ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა? არა-მე უბრალოა ჳელითა და წმიდაა გულითა?

ყველა გამოცემა გრ. ხანძთელის ცხოვრებისა (ნ. მარისა 1911, პ. ინვოროუჯასი 1949, ს. უზანეიშვილისა 1945, ხელნაწერთა ინსტიტუტისა („ძველი ქართ. ავთოგრაფული ძეგლები“, ილია აბულაძის რედაქციით 1, 1983, გვ. 250) აქ არამედ-ს ბეჭდავს. შეცდომა ხელნაწრიდან მოდის, სადაც „ა“ლ“ სწერია (შევაზოწმე ფოტოპირის მახედვით).

ნაცვალსახელი ნაწილაკად იქცა

გაუგებრობისავე ბრალია, რომ „მე“ ნაცვალსახელი ნაწილაკად იქცა. სამოცეტულოში იკითხება: უკეთუ არა გარდასტუდეს რტონი იგი, რა ათა მე დავემუნა, კეთილ (რომ. 11, 19 — 20) ო. აჯობებდა, რომ მე-19 მუხლი „კეთილ“ სიტყვით დამთავრებულიყო (როგორც ეს ო-შია), მაგრამ იგი ჩვეულებრივ მე-20-შია გადატანილი. ამიტომ ბუნებრივია, რომ კითხვის დროს მის წინ შეჩერდეს კაცი, წერის დროს კი წერტილი დასვას. ამ შემთხვევაში „მე“ არა ნაცვალსახელად წარმოგვიდგება, რომ ცალკე დაიწეროს და დაიბეჭდოს, არამედ კითხვით ნაწილაკად და იგი „რაათა“-ს მიეკვრება: რაათა-მე დავემუნა? ო-ში „რა მე“ ცალკეა დაბეჭდილი; ცალკ-ცალკეა ისინი ო-შიც, მაგრამ ო-ში ქარაგმა გახსნილია და „რაათამე“ ერთად არის დაბეჭდილი, ხოლო დავემუნა-ს კითხვითი ნიშანი უზის. აგრევეა ო-შიც, ოღონდ უკითხვის-ნიშნოდ; ო-შიც „რაათამე“ ერთ სიტყვად არის წარმოდგენილი, მაგრამ კეთილ გადატანილია მე-20 მუხლში.

ამგვარად, ნაცვალსახელი „მე“ კითხვით ნაწილაკად ქცეულა.

შემოკლებულ სიტყვათა მცდარი გახსნა

ზოგი შეცდომა წარმომდგარა ქარაგმიანი სიტყვის ცუდად გახსნის შედეგად. ასეთებია:

ა) აჰა ესერა ესე ღგ^ს დაცემად და აღდგინებად შრაუალთა (ლუკ. 2, 34) ო. ქარაგმიანი სიტყვა უნდა გახსნილიყო ამგვარად: ღგას, ო-ს კი ასე გაუხსნია: დგას და წინ დაუმატებია ჰს, რის გამოც მიღებულია ჰსღგას. რომელიც შეორდება უფელა მომღვენო გამოცემაში: ო-შიც.

ბ) ქარაგმით დაწერილი „თა“, რა თქმა უნდა, „თანა“ არის, მაგრამ პირველ გამოცემაში ერთ აღვილას „თა“-ზე ქარაგმა შეცდომით არის დასმული: ოღეს მოვიდეს დიდებითა თუსითა და მამისათა და წმიდათა ანგელოზთათა (ლუკ. 9, 26) ო. უკანასკნელ სიტყვას ქარაგმა არ უნდა და იგი ასე უნდა წაფიქვითხოთ: ანგელოზთათა (ძველის-ძველი ქართულით: დიდებითა მამისათა და წმიდათა ანგელოზთათა). ო-ში ქარაგმიანი „თა“ არ არის გამოყოფილი სიტყვისაგან, მაგრამ ო-ში იგი გამოყოფილია: ანგელოსთა თა; გამოყოფილია იგი ო-შიც და ქარაგმაც უზის. ო-ში კი გამოყოფა დარჩა, მაგრამ ქარაგმა გახსნილია: ოღეს მოვიდეს დიდებითა თუსითა და მამისათა და წმიდათა ანგელოსთა თანა. ამგვარად, მიღებულია სულ სხვა აზრი, რომელიც ო-შიც გადასულა.

გ) რა გამოუცხადოს იქლსა (იო. 1, 31) ო. რა თქმა უნდა, „იქლსა“ სხვანაირად არ შეიძლება წაკითხულ იქნეს, თუ არ „ისრაქლსა“ („ისრაელსა“), მაგრამ ო-ში ასე გაუხსნიათ: იერუსალიმსა. შეცდომა ვერ შეუნიშნავთ და შემდეგაც აგრე განუგრძვიათ ბეჭდვა ო-ში.

დ) და მიგს^დნე თქუ^სნ მიერ კერძო ბაბილ^{ან}სა (საქმე 7, 43)¹. ეს სიტყვა ო-შიც შემოკლებით არის დაბეჭდილი და ხანითვე (უნდა კი ჯ: მიგქ^დნე=მიგ^დქ^დნე)

¹ წინადადება წარმოდგენს ციტატას (ამოს. 5, 27).

ქაღნე). საინტერესო ისაა, რომ ო-შიც, ረ-ს მსგავსად, ბაბილონის იკითხება (ქარაგმით, და არა ბაბილონისა), მაგრამ ረ-ში ორივე ქარაგმიანი სიტყვა გახსნილია და მთელი წინადადება ამგვარად იკითხება: და მიგსედე თენ მიერ კურძო ბაბილოანს. ეგვე მეორდება ረ-შიც, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ረ-ში გეოგრაფიული სახელისთვის ბრუნვის ფორმა შეუსწორებიათ: ბაბილონისა.

ე) კორცთასა ზრახვენ (რომ. 8, 5) ረ. სწორად გაუხსნია ረ-ს (ზრახვენ), მაგრამ არა სწორად ረ-ს: ზრახვენ, რომელიც მეორდება შემდგომ გამოცემებში: ረ-ში.

ვ) ძე უკუ განსრულებული (ებრ. 7, 28) ረ. ეს ასე უნდა იქნეს წაკითხული: ძე უკუნისამდე განსრულებული, მაგრამ უკუნისამდე-ს ნაცვლად უკუ განსრულება ረ-ში.

ასოს გამოკლება-დამატებისგან წარმომდგარი შეცდომები

ა) ნავი თუ ნიავი? და შემოღობად ერთისა დღისა იყო სამხრით ნავი და ორ დღე მოვედით პონტოლეს (საქმე 28, 13) ረ. აქ „ნავი“ აშკარა შეცდომაა, უნდა „ნიავი“ („იყო სამხრით ნიავი“), მაგრამ შეცდომა ვერ დაუნახავთ და გაუმეორებიათ უფელა დანარჩენ გამოცემაში ერთი განსხვავებით: პონტოლეს ረ-ში, პონტოლეს ረ-ში.

შეცდომის დამკვიდრებას წიგნში ხელი შეუწყო, ალბათ, იმ გარემოებამ, რომ „მოციქულთა საქმის“ ბოლო თავებში ზღვაზე მოგზაურობაა აწერილი და ნავი არა ერთხელ არის ნახსენები.

ბ) ცოდვისა თუ ცოდვისა? საგზალი ცოდვისა სიკუდილ არს (რომ. 6, 23). რომაელთა მიმართ ეპისტოლის მე-6 თავის მთავარი თემაა ცოდვა: და-მე-ვაღვრეთა ცოდვასა მას ზელა? (6, 1); რაათა არღარა ვჭმონებდეთ ჩვენ ცოდვასა (6, 6); რომელი-იგი მოკუდა, განმართლებულ არს ცოდვისაგან (6, 7); ცოდვა თქვენ ზელა არა უფლებდეს, რამეთუ არა ხართ სჯულსა ქუეშე, არამედ მადლსა (6, 14) და სხვ. უეჭველია, ზემორე მოყვანილ ნაწყევტშიც (6, 23) ცოდვისა უნდა, როგორც ეს ბერძნული ტექსტიდანაც ჩანს. მაგრამ პირველ გამოცემაში ცოდვისა დაუბეჭდავით და იგი მომღეწოებშიც გადასულა (4. ረ-ში).

გ) კედრებისა თუ კედრისა? „ვედრი“ სხვაა და „ვედრება“ სხვა, მაგრამ პირველ გამოცემაში „ვედრის“ ნაცვლად „ვედრება“ დაუბეჭდავთ შეცდომით: რამეთუ ძალ-უც კედრებისა მის ჩემისა დამარხვად მერმესა მას დღესა (2 ტიმ. 1, 12) ረ. მასვე იმეორებენ ረ და მომღეწოებიც, ოღონდ ესენი ორთოგრაფიას ასწორებენ: ძალ-უც... დამარხვად ረ-ში. უნდა კი არა კედრებისა მის ჩემისა დამარხვად, არამედ: კედრისა მის ჩემისა დამარხვად (მღრ. იქვე: კეთილი იგი კედრი დამარხე, 2 ტიმ. 1, 14).

ცალკეული შემთხვევები

ა) სლდომა თუ კლომა? არა უკლებოლის, არცა ლალადებდეს [მათ. 12, 19 (20)]. პირველი ზმნა ასე იკითხება ረ-ში: არა კსლდებოდეს. თავი დავანებოთ იმას, რომ | მყოფადი ე-თია ნაწარმოები. თვითონ ზმნა სრულიად შეუფერებელია, როგორც ეს პირველად ი. იმნაიშვილმა შენიშნა. მართლაც, „ქლომა“ ნიშ-

ნავს ცილობას, კამათს, „ხლდომა“ კი — ხტომას, ხტუნვას (მაგ., ვილოდა და რედაქციაში (ჯრუჭ-პარხლისა და აღიშისაში) არა უკლებოდის იკითხება, პირველ არვისო ქცევა) ემუარება, ალბათ, რომელიც 4-შიც მეორდება. ოს ფორმა (სათხთავთავგან მას აღიშისა უჭერს მხარს სხვა აღვილებში, სახელდობრ: რასა გამოკვივით ურთიერთას? (მარკ. 9, 16; ჯრუჭ-პარხ. და პირველი გამოკვივა: რასა ურთას? (ლუკ. 24, 17; ჯრუჭ-პარხ. და პირველი გამოკვივა: რომელთა ჰკვებით ურთი-

ბ) შეება თუ შობა? შერმესა მას შობანა, რაქამს დაჯდეს ძე კაცისაა საუ-
დართა ზედა დიდებისა მისისათა (მათ. 19, 28 აღიშ.). ჯრუჭ-პარხლის რედაქცია აქ სხვა ზმნას ხმარობს: შერმესა მას მოსლვანა, რაქამს დაჯდეს ძე კაცისაა საუ-
დართა დიდებისა თვისისათა. პირველ-ნაბეჭდი პირველ ნაწილში აღიშურ ტექსტს მისდევს, მეორე ნაწილში — ჯრუჭ-პარხლისას: შერმესა მას შეებასა, რაქამს დაჯ-
დეს ძე კაცისა საუდართა დიდებისა თვისისათა. ცხადია, „შეება“, როგორც შე-
ნიშნა პირველად ლ. კიკნაძემ, კალმის შეცდომაა, უნდა „შობანა“, როგორც აღი-
შურ რედაქციაში იკითხება. „შერმე შობა“ ტერმინით აქ ვადმოცემულია ბერძნუ-
ლი „პალინგენესია“. სომხურშია: *ի միս անգամ դարսան* („მეორეჯერ მო-
სვლისას“, როგორც ეს არის ჯრუჭ-პარხლისაში). პირველი გამოკვივის შეცდომა (შეებასა) ფერაფინ შენიშნა და უფელა შემდგომში გაიშეორა.

ვ) რა თუ არა? უკუეთუ სიტყვული ჯერ-არს, შე- არა -ჰგავს ჩემდა (2 კორ. 12, 1). შეცდომა პირველსავე გამოკვივაში მოსულათ (შერაჰგავს) და იგი უფელა შემდგომს გაუმეორებია.

„შე-არა-ჰგავს“ ისეა ნაწარმოები, როგორც „შე- არა -ხუალთ“ (მათ. 23, 14).

დ) მოცემა თუ მოცვა? დამასკევს შინა მთავარსა არეტა მეფისასა მოცევა ქა-
ლაქი დამასკელთაჲ (2 კორ. 11, 32). უფელა გამოკვივაში მოცევა არის, უკანასკნელ-
ში კი — მოცვა, რაც ალბათ ბეჭდვის შეცდომაა.

ე) მოცემა თუ გამოცემა? და ამათ თანა მივაველინეთ ძმაჲ ჩუენი, რომელიც
გამოგუევადა მრავალსა შინა მრავალ გზის (2 კორ. 8, 22). ეს ერთი იმ აღვილ-
თავანია, რომლებიც ძალიან შერყვნილა გამოკვივებში. ო-ში იკითხება: რომელი
მოცევა და, ე. ი. თავში დაკარგულა ზმნისწინის ნაწილი (ცა), ხოლო ბოლოში
მარცვალი „და“ გამოყოფილად დაუბეჭდავთ, თითქო იგი კავშირი იყოს. ეს ან
ძველი ხელნაწერიდან მცდარად ვადმოწერის ბრალ-ია, ან არა და ბეჭდვის დროს
მოსული შეცდომაა. არავის მოსვლია ფიქრად, რომ შეემოწმებინა ხელნაწერ-
ის ტექსტთან და გაესწორებინა შეცდომა, რომელიც ვადადიოდა ერთი გამო-
კვივიდან მეორეში, ო-დან ო-მდის. საინტერესო ისიც არის, რომ „დრამმატი-
კისა კანონსა ზედა გამართულს“ ო-ში მოგუშტა-ს შემდეგ მძიმე ზის, რომე-
ლიც ქეოთს მას „და“-საგან და რომელიც ვადასულა ო-შიც.

ვ) რჩეული თუ რჩული? პირველ გამოკვივას, რა თქმა უნდა, მრავალი ნაედი
ახლავს. კორექტურული შეცდომები შიგ ბერია. მაგრამ ასეთად ვერ მავთვლით
„რჩეული“-ს ამ წინადადებიდან: ვპოთ-მეა რჩეული, რომელსა უნდეს ჩემდა უო-
ყად კეთილისა, რამეთუ მე ბოროტი წინა-მიც? (რომ. 7, 21) ო. იგივე მეორდება

4-ში, მაგრამ 7 უკვე ასწორებს: რჯული. უნდა ვიფიქროთ, რომ პირველი გამოცემის ხელნაწერ დედანში ეწერა რჩეული, რომელიც უთუოდ გაუგებრობის გამო წარმომდგარა რჩელ-ისაგან. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ დედანში „რჩული“ ეწერა და 7-ში მოხდა ენის ჩამატება. ამჟამად ძნელია იმის დადგენა, თუ ვინ ჩაუმატა ე და „რჩულ“-ისაგან „რჩელ-ი“ მიიღო, მაგრამ ის კი უკვე უნდა იყოს, რომ ჩამატება მომხდარა გააზრიანების ნიადაგზე: ვიპოვი კი რჩელ კაცს, რომელსაც უნდოდა ჩემთვის კეთილის ყოფა, რადგანაც მე ბოროტი მომელის? თითქო აზრი კარგად გამოდისო, მაგრამ აქ უთუოდ „რჩული“ (ან „რჯული“, „სჯული“) უნდა, რომელზედაც საუბარია რომაელთა მე-7 თავის მუხლთა დიდ უმეტესობაში (14-ში 25-იდან).

ზ) ილოცვიდეს თუ პლოცვიდეს? და ვითარ იგინი ილოცვიდეს უმეტესსა-რე ჟამსა დადგრომად მათ თან, არა ინება (საქმე 18, 20) 7. აქ „ილოცვიდეს“ აშკარა შეცდომაა, რომელმაც პირველსავე გამოცემაში იჩინა თავი და შემდეგ ავტორალმატურად გაჰყვა მომდევნოებს, უნდა „პლოცვიდეს“: და ვითარ იგინი პლოცვიდეს უმეტესსა-რე ჟამსა დადგრომად მათ თანა, არა ინება. ეს ნიშნავს: ისინი რომ ეხვეწებოდნენ (პავლეს), უფრო დიდ ხანს დარჩენილიყო მათთან, მან არ ინდობა. აზრობლივ შეცდომას ორთოგრაფიულიც დაერთო: ილოცვდეს 7777-ში.

ჟ) რას მიეკუთვნება „თანა“? პოვა ერთი მისი თანა-მონაჲ (მათ. 18, 28). თანა-მონაჲ — თანამოძღვრე. მის ნაცვლად ძველ ვერსიებში მოკუასი ივითხება. თანა-ს მნიშვნელობა ვერ გაუგიათ და ასე დაუბეჭდავთ: მისთა მონა 7, მისთა მონაჲ 4, მისთა მონაჲ 77, მისთანა მონაჲ 77, მისთანა-მონაჲ 7. აღვილი ყველა გამოცემაში შერყენილია.

იხილეს რა თანა-მონათა მათ მისთა (მათ. 18, 31). ეს აღვილიც შერყენილია გამოცემებში: მისთა მონათა მათ 777, მისთა მონათა მათ 7, მის-თანა მონათა მათ 777, მის თანა მონათა მათ 7.

თ) კეთილ-მონა? კეთილ, მონათ სახიერო და სარწმუნო (მათ. 25, 21; 25, 23). პირველ გამოცემაში „კეთილ“ სიტყვის შემდეგ არავითარი ნიშანი არ არის, მაგრამ სხვათაგან წინადადება სწორია. „კეთილ“ აქ ნახმარია მოწონების ნიშნად და მისი აზრი ეს არის: კარგი! მაგრამ ვერ გაუგიათ და მომდევნო სიტყვასთან დაუკავშირებიათ ქვენაშთით: კეთილ-მონათ 7. ეს ნიშანი გაჰყოლია შემდგომ გამოცემებსაც (7777).

ი) აკლია ზმნა. და ყოველსა დღესასწაულსა მიუტევის მათ ერთი პურობილი (მარკ. 15, 6). 7-ში წინადადებას ზმნა აკლია: და რა დღესასწაულ (არნ?), მიუტევის მათ ერთი პურობილი 7. შეცდომას იმეორებენ სხვებიც: და რა დღესასწაულ 7777.

ია) წინა-დაცუეთილება თუ წინა-დაუცუეთილება? და წინა-დაუცუეთილებითა მათ ყორცთა თქვენათა მის თანა განგაცხოველნა თქვენ (კოლ. 2, 13) 7777. უკანასკნელ გამოცემაში უთუოდ შეცდომაა: წინა-დაცუეთილებითა 7. აღსანიშნავია, რომ 77-ში წინა-დაუცუეთილებითა ივითხება, რასაც ხანშეტი ლექციონარი უჭერს მხარს (გალ. 6, 15).

დასკვნა

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორი ვითარებაა ახალი აღთქმის დაბეჭდილ წიგნებში, განვიხილეთ მთავარი საკითხები ორთოგრაფიული, გრამატიკული და ლექსიკური ხასიათისა¹ და დავერწმუნდით, რომ ძველი ქართულის ძეგლებმა საკმაო ცვალილება უშავდა რა, მაგრამ ანტონის ჩარევის შემდეგ სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე: გამმართველებს (დღევანდელი ტერმინოლოგიით, რედაქტორებს), პირველ ყოვლისა თვით ანტონის და შემდეგ მის მოწაფეებს, გარკვეული თვალსაზრისი ქქონ-ღათ შემუშავებული და ამ თვალსაზრისით ასწორებდნენ ძველ ტექსტებს. ამის გამო სულ შეიცვალა და შეირყვნა ძველი ძეგლების ორთოგრაფია. მაგრამ ეს არის ერთი მხარე. მეორე მხრით, რომ ჯერ ერკვეოდნენ ძველი ქართულის თავისებურებებში, შეცდომას ხედავდნენ იქ, სადაც შეცდომა არ იყო, და ძველ ფორმებს ახალი ქართულის ფორმებით ცვლიდნენ. ასეთია, მაგ., ბრუნვათა ფორმების გამარტივება აა და ოა დიფთონგების მოშლით, რაც უკვე პირველ გამოცემას (C-ს) ახასიათებს ნაწილობრივ, მწკრივების ფორმათა არევა, რაც უფრო გვიანდელი მოვლენაა და ანტონის გავლენას უნდა მიეწეროს. მრავალია შეცდომა, წარმომდგარი საზოგადოდ უცოდინარობისაგან და დაუდევრობისაგან. ამიტომ მეცნიერული მიზნებისათვის, ძველი ქართულის საკითხების შესწავლა-გამორკვევისათვის ეს ნაბეჭდი წიგნები უვარგისია და, თუ კრიტიკულად არ იქნა გამოყენებული, შეიძლება გაუგებრობა წარმოიშვას.

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგის გამოცემა (C), რომელსაც ხელმძღვანელობდა ნიკოლაოზ ორბელიძე, თავის დროისთვის უთუოდ კარგა იყო და, მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა, საკმაო მიახლოებით ვაღმოსცემდა ძველი ქართულის ფორმებს. გვარძანი იყო აგრეთვე ბაქარისა (4) და ამილახერის (5) გამოცემები, მაგრამ შემდგომ გამოცემებში, რომელთაც ანტონის „ღრამატიკის კანონთა“ ბეჭედი აწის, სულ არეულია საქმე. შეიძლება შეირყვნას ტექსტი, მაგრამ ძნელია, წარმოიდგინოს კაცმა იმგვარი შერყვნა, როგორც ანტონის ხელიდან ან მის სკოლის მოწაფეთა ხელიდან გამოსულ წიგნებს ახასიათებს.

აფსუს! იყო წიგნების მოთხოვნილება, იყო მათი გამოცემის საშუალება, მაგრამ არ იყო ნამდვილი ცოდნით აღჭურვილი კაცი, რომ გამოცემის ტექსტი სათანადოდ გაემართა, რომ ეს ტექსტი გამოსადეგი უოფილიყო სამეცნიერო მიზნებისთვისაც. ო უპრეტენზიო იყო და გვარძანი, ო კი — პრეტენზიანი, ანტონის ცრუ-მეცნიერული ორთოგრაფიით გაქლენთილი და ზედმეტი ნიშნებით დატვირთული. შემდგომი გამოცემები სულ უფრო და უფრო მდარე ხარისხისა

¹ აქ არ არის განხილული ზოგიერთი საკითხი, მაგ., საკუთარი სახელების შესახებ სამოცქედლოში (ვთქვათ, ფ ლ ე ბ ო ნ უ ლ ე ბ ო ნ ი ს ნ ა ც ე ლ ა დ, რომ. 16, 14, ს რ უ ფ ო ს ა ნ ტ ო ნ ი ფ ო ს ა -ს ნ ა ც ე ლ ა დ, რომ. 16, 12 და სხვ.), რაც საეტიკურ გამოკვლევას მოითხოვს.

იყო, რადგანაც, თუ ემატებოდა შეცდომები, თორემ არ აკლდებოდა. ერთად-ერთი წინ წაღებული ნაბიჯი მხედრული ასოებით დაბეჭდილ წიგნებში იყო ზოგიერთი ანტონისეული ნიშნის უკუგდება, პირველ ყოვლისა 2 ნიშნისა, რომლის შემოღება ქართულში არაფის მოუვიდოდა ფიქრად, გარდა უცნაური კაცისა, რომელიც ენობრივ საკითხებში არ იყო სათანადოდ გარკვეული და ბრმად გადმოჰქონდა სომხურიდან ისეთი ორთოგრაფიული მოვლენა, რომელსაც სომხურში გამოართლება ქქონდა და აქვს, ხოლო ქართულში სრულიად მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. სომხური რომ ისწავლა ანტონიმ და იცოდა, ეს კარგია, მაგრამ ამ ცოდნას გონივრული მოხმარება უნდოდა. ამას გარდა, პირველ-მავე მხედრულ-მა გამოცემამ, 7-მ, უარყო ანტონის შემოღებული ორი გასარჩევი ნიშანი — კლე-ბული და მასვილი — მაგრამ დაიცვა სიბრჯუვის ნიშანი, რომელიც გაჰყვა ყველა შემდგომ გამოცემას. სამაგიეროდ უე ჯგუფის გადმოცემა უც-თი, რაც ძველის-ძველი ამბავია და მე-12 საუკუნიდან მოდის ძველი ასოებით დაწერილ წიგნებში, უკუაგლო უკანასკნელმა გამოცემამ, 1-მ. სხვაფრთვ მხედრულად დაბეჭდილი ახალი აღთქმის წიგნებიც საერთოდ იმავე ვითარებას გვიჩვენებს, რასაც ანტონისეული 2 და მისგან დამოკიდებული 7. მახსოვს, 1913 წ. ზაფხულში პეტერბურგში დაბრუნებულს საუბარი მქონდა ძველი და ახალი აღთქმის დაბეჭდილი წიგნების უნუგეშო მდგომარეობაზე დეკანოზ კალისტრატე ცინცაძესთან (რომელიც შემდეგ კათალიკოსი გახდა, 1932 — 1952 წწ.). მან მკითხა: როგორ მოგწონს ახალი აღთქმის 1912 წლის გამოცემა? მე ვუპასუხე, რომ არც ის შემადგენს გამოჩვეულების საერთო წესიდან-მეთქი. მ. კალისტრატემ წარბები შეიკრა. მაშინ მე არ ვიცოდი და თურმე ერთ-ერთი რედაქტორი ამ გამოცემისა (თუ ერთად-ერთი არა) ის ვოფილიყო, როგორც შემდეგ მითხრეს. ჩემი პასუხი გა-მოწვეული იყო უმთავრესად უმსგავსი ორთოგრაფიული შეცდომებით, რომლებიც თავს აჩვენებდა 1912 წლის გამოცემაში (ქმჭა, შული, ჰსთქქა, აღჰსდგა და მისთ.). მე რას წარმოვიდგენდი, თუ შეგ მრავალი იყო სხვა შეცდომებიც გრამატიკული თუ ლექსიკური ხასიათისა! ²

¹ შეიძლება თუ არა ახალი აღთქმის 1912 წლის გამოცემის ტექსტი ვიორგისეული რედაქციის ტექსტად მივიჩნიოთ? ამ საკითხს ურცლად აქ ვერ განვიხილავ, მოვიყვანოთ რა-ღალითს:

- ა) ხეშოთ (გვ. 84—85) ენახეთ, რომ ვიორგისეულ ხელნაწერებში ძველის-ძველი ტურმინი მდებარეობს მომღუარო იხმარება, რომელიც ანტონისეულ რედაქციაში (2) მღუღელთ-მთავრად არის გადაკეთებული და ეს სიტყვა შემდეგ გამოცემებშიც დარჩა, მათ შორის 1912 წლისაშიც.
- ბ) მათეს სახარების ორ მუხლთაგან (23, 13 — 14) პირველი ხელ არ მოიპოვება აღმოს-თხთავეში, ისე როგორც ბევრ ბერძნულ ხელნაწერში, არ მოიპოვება იგი არც ზოგიერთ ძველ სომხურ ხელნაწერში. ამ მუხლთაგან პირველი (მე-13) ეხება ქვრივების სახლების შექმას, მეორე კი (მე-14) — ცათა სასუფეველის დახშვას. ასეთია რიგი ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერებში, ვიორ-გისეული რედაქციის ხელნაწერებში (A—1335, Q—900) და პირველ გამოცემაში (C-ში). იგივე რიგია დაცული 7-შიც და მისგან დამოკიდებულ 7ხ-შიც. მხოლოდ 1912 წლის გამოცემაში (1-ში) ეს მუხლები გადახმული ერთიმეორის აღვიდას. მე კი ვწერდი: ეს მუხლები ვიორგისეულ რედაქციაში შებრუნებული-მეთქი (ქართული ოთხთავეის ორი ძველი რედაქცია, გვ. 034). არა, რიგი შებრუნებული ვოფილა 1912 წლის გამოცემაში, რომელიც შეგონა, რომ ვიორგისეულ ტექსტს შეიცავდა. თურმე ვცდებოდი.

როგორც ვნახეთ, ახალი აღთქმის წიგნების ენის შერევა უმთავრესად ანტონის ჩარევის შედეგად მოხდა. მაგრამ ეს ჩანს ეხლა, ჩვენს დროს. თავის დროს კი ეს ნაკლი, რა ვიცო, ალბათ იმდენად არ ჩანდა. ანტონი I-ს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რადგანაც, გარდა იმისა, რომ იგი იყო ბაგრატიონი, იესე მეფის ძე და ირაკლი მეფის მამიდაშვილი, თანაც საქართველოს ეკლესიის საჭეთმყრობელი, დიდად განათლებული და თანაც დიდად მშრომელი კაცი იყო, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა: მოაწესრიგა საეკლესიო წესებში, იზრუნა სწავლა-განათლებისათვის, თარგმნა წიგნები და დაწერა ორიგინალური თხზულებანი. მის ღვაწლს საეკლესიო მწერლობის დარგში დღესაც დიდად აუასებენ. საზოგადოდ უნდა ითქვასო, ამბობს განთქმული სპეციალისტი ქართული მწერლობის ისტორიისა, რომ შეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონი კათალიკოსის ეპოქა, ისე დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ამ მწერლობის დარგშიო¹. ეს ანტონის ღვაწლი უდავოა, მაგრამ საკითხი ისმის: რა უყო მან ძველი სალიტერატურო ენით დაწერილ ძეგლებს და რა მიმართულება მისცა სალიტერატურო ქართულის შემდგომ განვითარებას? უნდა ითქვას გარკვევით, რა არის ანტონის ენობრივ პოლიტიკაში დადებითი და რა არის უარყოფითი.

დადებითად უნდა შეფასდეს უურადლების გამახვა ანტონისაგან სასუფიანიშნებისაკენ და, კერძოდ, მძიმის შემოღება.

მოსაწონია აგრეთვე შემოღება კითხვითი ნიშნისა, ე. წ. მოხრილისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ წინ წადგმული ნაბიჯი თვითონ ანტონიმ რამდენადმე შებორკა, რადგანაც ამ ნიშანს მან ძახილის ნიშნის მნიშვნელობაც მისცა.

უთუოდ მოსაწონია და უყოყმანოდ მისაღები კომპოზიციების ნაწილების მართებული ნიშნის შემოღება, ე. წ. გარემორთხმულისა, რომელიც მანამდე ქართულ ნაბეჭდ წიგნში არ იხმარებოდა.

დადებითად შეიძლებოდა შეგვეფასებინა აგრეთვე უმარცვლო უნის გარჩევა მარცვლიანისაგან სიბრჯუის ნიშნის საშუალებით, რომელიც ანტონიმ შემოიღო. მაგრამ ამ მოსაწონ ორთოგრაფიულ სიახლეს ანტონიმვე გამოუთხარა ძირითადით, რომ უმარცვლო უნს გაუთანაბრა თანხმოვნის შემდეგ მდგომში ვინი.

უარყოფითად უნდა შეფასდეს ანტონის 2 ნიშნის შემოღება, რომელიც როგორც არა ერთხელ აღვვინიშნავს, სომხურიდან არის გადმოღებული ქართულში, სადაც მას არავითარი გამართლება არ მოეპოვება. მიუღებელია აგრეთვე გასარჩევი ნიშნების შემოღება: კლებულისა და მახვილისა, რომელთა სმარება მხოლოდ ართულებს საქმეს.

